





## მერაბ ტიკაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2021 წლიდან აღარ იქნება ისეთი, როგორც უნდა იყოს. მერაბ ტიკაძე, ადამიანი, რომელმაც არაბული ქვეყნების ისტორია შეასწავლა მრავალ თაობას, სამწუხაროდ, 2020 წელს გარდაიცვალა.

ბატონი მერაბი დაიბადა 1939 წლის 28 აგვისტოს. 1957 წელს დაამთავრა თბილისის 47-ე საჯარო სკოლა. 1962 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი არაბული ქვეყნების ისტორიის სპეციალობით. 1973 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 2003 წელს კი - სადოქტორო დისერტაცია არაბული ქვეყნების ისტორიის საკითხებზე.

ბატონ მერაბს გამოქვეყნებული აქვს 43 ნაშრომი და მათ შორის სამი სახელმძღვანელო (არაბული ქვეყნების ისტორია V-XV სს., არაბული ქვეყნები ოსმალთა ბატონობის პერიოდში (XVI ს. - XIX ს. დამდეგი) და არაბული ქვეყნების ახალი ისტორია (XIX-XX სს.).

1966 წლიდან ბატონი მერაბი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის მასწავლებელი, 2003 წლიდან 2006 წლამდე აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის პროფესორი და კათედრის გამგე, 2020 წლამდე კი ასოცირებული პროფესორი კონტრაქტით.

სტუდენტები არასდროს დაივიწყებენ მის გაწეულ ამაგსა და შრომას, მის ლექციებზე მოსმენილ საინტერესო ფაქტებსა და ისტორიებს. სამწუხაროა, რომ დედა-უნივერსიტეტის ისტორიაში კიდევ ერთი გვერდი გადაიფურცლა, მაგრამ თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ბევრჯერ მოგვიწევს უკან დაბრუნება და სწორედ ამიტომაც იქნება ბატონ მერაბ ტიკაძის სახელი უკვდავყოფილი...

## სარჩევი

### ისტორია

<i>მედეა გვინჩიძე. ივდითი და გენერლის მოკვეთილი თავი</i> .....	6
<i>მათე ქარდავა, თამთა შონია, ანა ბალიაშვილი. ბარ კოხბას აჯანყება</i> .....	19
<i>ლაშა მაჭარაშვილი, ცისი კორკოტაძე. არაბების მიერ პირენეის ნახევარკუნძულის დაპყრობა</i> .....	24
<i>ხატია ნონიაშვილი. მონღოლების მიერ ხორეზმის დაპყრობა</i> .....	32
<i>გიორგი ახალკაციშვილი. ჯაჰან შაჰის პირველი ლაშქრობა საქართველოში</i> .....	38
<i>სოფო მოლაშხია, არჩილ ცარახბაია. უზუნ-ჰასანი და მისი ლაშქრობები საქართველოში</i> .....	45
<i>ნიკოლოზ სარაჯიშვილი. შუა აზიის სოვიეტიზაცია</i> .....	52
<i>მარიამ ნადირაძე. 1962 წლის სინო-ინდური ომი</i> .....	56

### ლიტერატურა

<i>ნინო ბუტიკაშვილი. 1001 ღამე</i> .....	62
<i>ნინო ფეიქრიშვილი. მაჰმუდ დარვიში - „ზაფხული და ზამთარი“</i> .....	67

### რელიგია

<i>გვანცა ტვილდიანი. რელიგია და ადამიანი</i> .....	70
<i>სალომე მაჭარაშვილი. სუფიზმი – ასკეტურ-მისტიკური მიმართულება ისლამში</i> .....	79

### კულტურა და ცივილიზაცია

<i>საბინა კაზიმოვი. ნიკლის გალერეაში შენახული ბორჩალოური ხალიჩის ანალიზი</i> .....	89
<i>სალომე მაჭარაშვილი, სოფო მოლაშხია. კაიროს ალ-აზჰარის უნივერსიტეტი</i> .....	98
<i>მარიამ ნადირაძე. კოლონიალიზმის ბრიტანული ხელოვნება ინდოეთში</i> .....	104
<i>ნიკოლოზ ოვსიანიკოვი. მატენადარანი - ძველ ხელნაწერთა საცავი სომხეთში</i> .....	109

### პოლიტიკა

<i>ფუად მუსაევი, მათე ქარდავა, თამთა შონია. საქართველოსა და თურქეთის სოციალურ-ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები XX საუკუნის 90-იან წლებში</i> .....	115
<i>სოფო გუჯარაიძე. ჩინეთი, როგორც გლობალური აქტორი</i> .....	122
<i>თაკო ბეროძე. ქალის როლი მუსლიმურ სამყაროში</i> .....	127

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი



სარედაქციო კოლეგია:

მათე ქარდავა

გიორგი ახალკაციშვილი


ნიკოლოზ სარაჯიშვილი

რედაქციის მისამართი:

საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი #36, ოსუ, V  
კორპუსი.

ტელ: 591 94 32 19; 599 87 24 31

ე. ფოსტა: Axloagmosavleti632@yahoo.com



## ივდითი და გენერლის მოკვეთილი თავი

ჰანუქას დღესასწაული დღეს მსოფლიოს ყველა იმ კუთხეში აღინიშნება, სადაც ებრაელები სახლობენ და სიტყვა- სიტყვით „ხელახლა მიძღვნას“ (“re-dedication”) ნიშნავს. ის ქრისტეშობამდე ორი საუკუნით ადრე დაწესდა, მას შემდეგ, რაც ებრაელთა მცირერიცხოვანმა ჯარმა სირიული არმია დაამარცხა და ბიბლიის მიხედვით, საკუთარი სალოცავი, პირველი ებრაული ტაძარი იერუსალიმში – ბეთჰამიგდაშის ტაძარი გაათავისუფლა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ებრაელები ჰანუქას იუდასა და მაკაბელების ისტორიის გადმოცემით განიხილავენ, არ უნდა გამოგვრჩეს შემორჩენილი ბერძნული ხელნაწერები, რომლებიც ივდითისა და მის მიერ მოკვეთილი გენერლის თავის შესახებ მოგვითხრობენ. საინტერესოა, რომ ივდითის ამბავი არ არის შეტანილი ებრაულ წმინდა წერილში, რაც მასში მოთხრობილი მრავალი ისტორიული უზუსტობით უნდა იყოს განპირობებული. წინამდებარე სტატიაში ჩვენ ივდითის ამბავს მიმოვიხილავთ და ვეცდებით გავარკვიოთ ის რეალური და მცდარი ფაქტები, რომლებმაც მასში ჰპოვეს ასახვა.

ძვ. წ. 604/5 წელს ბაბილონის სათავეში ნაბუქოდონოსორ II მოვიდა, რომელიც, ივდითის წიგნის მიხედვით, თავის სამფლობელოს ქალაქ ნინევიიდან მართავდა. ჩვენი ისტორია მისი მეფობის მე-12 წელს, ე. ი. ძვ. წ. 593/2 წელს იწყება. ბაბილონის მმართველი ამ დროს მიდიელების მეფე არფაქსადს ებრძოდა, რომელიც მიდიელებზე ქალაქ ეკბატანიდან ბატონობდა.

ნაბუქოდონოსორთან მტრობის დროს არფაქსადმა საგრძნობლად გააძლიერა ქალაქი და მასზე გარშემორტყმული ზღუდეები, აღმართა ასწყრთიანი გოდოლები და კარიბჭეები. შეიძლება ითქვას, რომ მიდიელების მმართველი ყველანაირად მოემზადა ბაბილონელი მეფის ნებისმიერი სახის თავდასხმისათვის.

მეფეები ერთმანეთს პირველად რელუს ველის საზღვრებში დაუპირისპირდნენ. ნაბუქოდონოსორმა მრავალ ხალხს მიმართა დასახმარებლად და სპარსეთის, კილიკიის,

ლიბანის, ეგვიპტისა და სხვა სამეფოებისა თუ პოლიტიკური ერთეულების მთავრებს მოციქულები გაუგზავნა. მიუხედავად ამისა, ყველა მათგანმა ზურგი აქცია. ისინი თვლიდნენ, რომ ერთი კაცის წინააღმდეგ ბრძოლა არ გაუჭირდებოდათ, დახმარებაზე უარი განუცხადეს და მეფის მოციქულები სულ ლანძღვა-გინებით გაწბილებულები გააბრუნეს უკან. ამას ბრძოლის შედეგებზე გადაწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია, ვინაიდან ხუთი წლის შემდეგ, ძვ. წ. 588/7 წელს, ნაბუქოდონოსორმა არფაქსადის საკუთარი ძალებით დამარცხება მოახერხა და მოწინააღმდეგე თავისივე შუბით განგმირა. ბრწყინვალე გამარჯვების მოპოვების შემდეგ განრისხებულმა ნაბუქოდონოსორმა საკუთარი ტახტი და ტიტული დაიფიცა, რომ ყველა იმ სამეფოს გაანადგურებდა, რომელმაც დახმარებაზე უარი განუცხადა და ზურგი აქცია მას. ომში გამარჯვების შემდეგ მეფე 120 დღის განმავლობაში ილხენდა თავის ლაშქართან ერთად.

ძვ. წ. 587 წელს ნაბუქოდონოსორმა შურისძიების კამპანიის განხორციელება მის ყველაზე ერთგულ გენერალს, ოლოფერნეს დაავალა, რომელიც მეფის შემდეგ პირველი პირი იყო ქვეყანაში და წამყვან ლაშქარსაც სწორედ ის სარდლობდა. ოლოფერნე არმიასთან ერთად დაიძრა, „როგორც მიწის მტვერს, მათ სიმრავლესაც არ ჰქონდა სათვალავი“. მათ გზად ყველა სამეფო თუ პოლიტიკური ერთეული გაანადგურეს, რომელთაც არამცთუ დახმარებაზე უთხრეს უარი, არამედ რაიმე სახით მაინც შეუშალეს ხელი ბაბილონის მეფის გეგმებს.

ოლოფერნეს ყველა წმინდა ჭალის გადაწვა ჰქონდა დავალებული, რათა ერთადერთი დმერთი, რომლის სახელზეც ხალხი ილოცებდა, ერთადერთი კერპი, რომელსაც მსოფლიოს ყველა მოსახლე ეთაყვანებოდა თავად ნაბუქოდონოსორი ყოფილიყო.

გზად ყველა სამეფოს გადაწვისა და განადგურების შემდეგ მრავალმა განწირულმა მთავარმა მიუგზავნა ოლოფერნეს მოციქულები და ნაბუქოდონოსორისაგან შენდობა ითხოვა. მოსალოდნელი განადგურების თავიდან ასაცილებლად, ისინი ათასი საჩუქრითა და ძღვენით ანებივრებდნენ ასურელებს. დღეიდან ჩვენი საცხოვრებელი თქვენია, ჩვენ კი თქვენი მონები ვართო.

ოლოფერნეს მათი შენდობა მიზნად არ ჰქონია და თავისი გეგმის შესრულებას მიჰყვება, არაფრად ჩააგდო ათასი ძღვენი, თხოვნა და მუსრი გაავლო ყველასა და ყველაფერს.

შედეგად, ასურელთა ლაშქარი იუდეველთა სამეფოს მიადგა და ერთი თვე იუდას დიდი მთავრეხილის წინ დაბანაკდა, რათა ლაშქრისათვის საჭირო მარაგი დაეგროვებინა.

ოლოფერნეს მთავარ მიზანს ამჟამად იერუსალიმის დაპყრობა და განადგურება წარმოადგენდა, მაგრამ შესასვლელ გზას მას ბეთულიას პატარა ქალაქი უღობავდა.

მოსახლეობამ იცოდა, როგორ თავზარსაც სცემდა ასურელთა არმია მთელ სამყაროს, მტრის დასახვედრად სათანადო ზომებს მიმართეს და ყველა ის მნიშვნელოვანი მთის მისადგომი დაიკავეს, რომლის მეშვეობითაც მტერი ქალაქში შესვლას შეძლებდა. შეიძლება ითქვას, რომ

ისრაელიანები ასურელთა ნებისმიერი სახის თავდასხმისათვის მზად იყვნენ. ლოდინის ჟამს მუხლმოდრეკილი მოსახლეობა ღმერთს დაცვასა და დახმარებას სთხოვდა. ქალაქში

მცხოვრები ყველა სულიერი არსება ტაძრის წინ დაემხო და უფლის წინაშე ძაძები გაფინა.

ამასობაში ამონიტელმა მთავარმა მეთაურმა აქიორმა ოლოფერნეს ისრაელიანების მზადყოფნის ამბავიც შეატყობინა.

აქ ისრაელიანების წარმომავლობაზე საინტერესო მონაცვეთსაც ვაწყდებით. აქიორი მხედართმთავარს ამცნობს, რომ აქაურები ადრე შუამდინარეთში მცხოვრებ ქალდეველთა შთამომავლები არიან, რომლებმაც წინაპართა გზებს გადაუხვიეს, თავიანთ ღმერთებს უღალატეს და თავყვანისცემა ცათა ღმერთს დაუწყეს. ცათა ღმერთი მუდმივად არიგებდა რჩეულ ხალხს და შუამდინარეთიდან ქანაანის ქვეყნისაკენ წასვლა დაუბარა, სადაც მათ დიდძალი ოქრო-ვერცხლი აღმოაჩინეს და გრძელვადიანი საცხოვრისიც დაიდეს. მათდა საუბედუროდ, ქანაანის ქვეყანაში დიდი შიმშილობა დაიწყო, რის გამოც ნაბდის აყრა და ეგვიპტეში გადასახლება მოუწიათ, სადაც ისინი უმალ გამრავლდნენ. სამწუხაროდ, მეფესთან გადამტერებისა და მონებად ჩავარდნის გამო, მათი ცხოვრება რადიკალურად განსხვავებულად წარიმართა, თუმცა კონკრეტულად ამ თემაზე საუბარი შორს წაგვიყვანს.



ქალდეველთა შთამომავლები დიდი ხნის განმავლობაში ევედრებოდნენ თავიანთ ღმერთს დახმარებასა და მონობისაგან გათავისუფლებას. მალე ეგვიპტე მრავალმა განუკურნებელმა სენმა მოიცვა, „ღვთის რჩეულმა“ ხალხებმა თავი გაითავისუფლეს და ახალი სამშობლოს ძიება დაიწყეს. საბოლოოდ, მდინარე იორდანეს მიადგნენ და მის გარშემო მთელი მთიანეთი დაიკავეს. თავიანთი ჭეშმარიტი ღმერთის წყალობით, მათ მოახერხეს და ერთი ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხი გააერთიანეს, უკაცრიელი მთიანეთის ტერიტორიებზე დასახლდნენ და იერუსალიმიც აიღეს.

აქიორმა თხრობის დასრულების შემდეგ ოლოფერნეს მიმართა, თუ კი ამ ხალხის ცოდვას ხედავთ და თვლით, რომ ღმერთის წინაშე დანაშაულს სჩადიან, მაშ შევებრძოლოთ მათ, ხოლო თუ უდანაშაულონი არიან, ჩვენი მხრიდან თავდასხმა სირცხვილის ტოლფასი იქნებაო. აქიორი დადუმდა, ბანაკი კი მღელვარებამ მოიცვა. მეომრები ახმაურდნენ და ერთმანეთს ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ, ისრაელიანებს როგორ უნდა შევუშინდეთო.

ოლოფერნემ მიუგო, „ვინ არის ღმერთი, თუ არა ნაბუქოდონოსორი, იგი მოგვივლენს თავის ძალას და აღგვის მათ პირისაგან მიწისა. ვეღარ დაიხსნის მათ მათი ღმერთი.“

მხედართმთავარი წინააღმდეგობის გამწევ ნებისმიერ ადამიანს სიკვდილით დაემუქრა, ორატორი კი დააჭერინა და ხელებზე ბორკილებდადებული აქიორი ისრაელიანებს ბანაკის შესასვლელთან მიუგდეს. ბრძოლისათვის განწირულმა ხალხმა აქიორს ბორკილი ახსნა, ყოველი სიტყვისათვის მადლობა გადაუხადა და ყველამ გულმხურვალე ლოცვა განაგრძო.

ოლოფერნემ მეორე დღეს ბეთულიასაკენ წასვლისა და ბრძოლის განკარგულება გასცა. ასურელთა ლაშქარი საუკეთესო მეომრებისაგან იყო დაკომპლექტებული, რომელთაც მთის ბილიკების გამაგრება და ებრაელებისათვის ბრძოლის გამართვა დაევალოთ. მათი შემხედვარე ბეთულიელები შეშინდნენ, საბრძოლო იარაღით აღიჭურვნენ, გოდოლების თავზე ცეცხლი დაანთეს და მთელი ღამე ქალაქის შესასვლელს დარაჯობდნენ.

იერიშის განსახორციელებლად ოლოფერნემ ქალაქის მისადგომები დაზვერა და თავისი მეომრები წყაროებთან ჩააყენა. ამასობაში გენერალს ესავიანთა მთავრები, მოაბის

ტომის წინამძღოლები და ზღვისპირეთის მხედართმთავრები ესტუმრნენ, რომლებმაც გენერალს დროებითი უკანდახევა და ბანაკში დაბრუნება სთხოვეს, სანაცვლოდ კი გაცილებით უკეთესი გეგმა შესთავაზეს.

ოლოფერნეს გეგმის თანახმად, ასურელთა ლაშქარს მთის მწვერვალებზე ასვლა და იქ ჩასაფრებულ ჯარებთან მოუწევდა ბრძოლა, რომელიც დიდი მსხვერპლის ფასად დაუჯდებოდა. მთავრების გეგმა კი შემდეგში მდგომარეობდა: ასურელთა ლაშქარი ყველა იმ წყაროს დაიკავებდა, რომელიც ებრაელთა მოსახლეობას წყალს აწვდიდა. ეს საუკეთესო შურისძიება იქნებოდა. შედეგად, მწყურვალნი ხალხი თავად ჩააბარებდა ოლოფერნეს ქალაქს. მხედართმთავარს მოეწონა შემოთავაზებული გეგმა და ყველაფერი ზუსტად მის მიხედვით განახორციელა.

მტრის გარემოცვაში მყოფი ისრაელიანები დახმარების სათხოვნელად ღმერთის გარდა ვერავის მიმართავდნენ, აქამდე არსებული მხნეობაც წაუხდათ და სასოწარკვეთაში ჩავარდნენ.

34 ტანჯული დღის შემდეგ ბეთულია უკვე მზად იყო დასანებებლად, როცა ქალაქის მაგისტრატმა – ყუზიამ, იმ იმედით, რომ ღმერთი აუცილებლად დაეხმარებოდათ, ხალხს დამატებით 5 დღით მოცდა ურჩია.

სწორედ აქ და ამ დროს ჩნდება ჩვენი მთავარი პერსონაჟი, სიმეონთა საგვარეულოს წარმომადგენლის, მერარის ასული ივდითი, ბეთულიაში მცხოვრები ახალგაზრდა ქვრივი ქალი, განთქმული თავისი სილამაზითა და ღვთისმოსავობით. მისი მეუღლე მენაში, რომელიც ასევე სიმეონიტა ტომის ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო, პურის მკის ჟამს დასიცხვის გამო ლოგინად ჩავარდა და მალევე გარდაიცვალა. ამ დროს ივდითი უკვე სამი წელი და ოთხი თვე იყო, რაც ქვრივის სახელსა და სამგლოვიარო ტანისამოსს ატარებდა, ქმრის დატოვებულ ქონებას კი დაუღალავად პატრონობდა.

ყუზიას წინადადებამ ქვრივი აღაშფოთა და ქალაქის ხელმძღვანელობას საჯაროდ უსაყვედურა, ღმერთის მუშაობას ვადას როგორ უწესებთ, მათი გადასაწყვეტია გაიღებენ ჩვენზედ წყალობას თუ არა, მის განსჯას ნუ დაიწყებთ, რადგან ღმერთი ადამის ძე არ არის რომ

დაემუქროთო. ყუზიამ ახალგაზრდა ქალის გამოსვლა დადებითად შეაფასა, მის სიბრძნესა და კეთილ მოტივებში ეჭვიც არ შეჰპარვია, თუმცა აუხსნა, რომ მოცემული მდგომარეობიდან გამომდინარე სხვა გზა არ დარჩენიათ და ამიტომ მოუწიათ ამ ფიცის დადება, ბოლოს დასძინა „ვედრე ჩვენთვის, ღვთისნიერი ქალი ხარ და მოგვივლენს უფალი წვიმას ჩვენი წყალსაცავების ასავსებად...“

სანაცვლოდ, ივდითი ისეთი საქმის ჩადენას შეჰპირდა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და მუდმივი განხილვის საგნად იქცეოდა. ქვრივი ის „დავითი“ აღმოჩნდა, რომელმაც „გოლიათი“ დაამარცხა.

ივდითმა თავისი ჩანაფიქრი არავის გაუმხილა. ამდენი წლის განმავლობაში პირველად გაიხადა ძაძები და მთელი ღამე ისრაელის ღმერთის წინაშე გულმხურვალედ ლოცულობდა. ახალგაზრდა ქალმა საკუთარი თავი გარდაქმნა: ტანი დაიბანა, სქელი ნელსაცხებელი იცხო, თმა დაივარცხნა, თავსაკრავი გაიკეთა და საუკეთესო სამხიარულო ტანისამოსი ჩაიცვა, რომლითაც თავისი გარდაცვილი მეუღლის სიცოცხლეში იმოსებოდა. გაიკეთა სამაჯურები, ბეჭდები, საყურეები. ისე გამოეწყო, რომ მისი შემხედვარე ყოველი მამაკაცი გონებას კარგავდა. თავის მოსამსახურე ქალს სანოვაგე გადასცა, რომელთან ერთადაც ქალაქი დატოვა და გეგმის განსახორციელებლად მტრის ბანაკს მიაშურა.

ქალაქის კარიბჭესთან მას ისრაელიანები შეეგებნენ, რომლებიც განცვიფრებულნი იყვნენ ქვრივის გარდაქმნით. მათ გეგმის წარმატებით განსახორციელებლად გზა დაულოცეს, დაე შეგესრულებინოს შენი განზრახვა ისრაელის ასამაღლებლადო. კარიბჭე გააღეს და ქალებს მანამ არ მოსწყვიტეს თვალი, სანამ ხევის სიღრმეში არ შევიდნენ.

მტრის ბანაკში მიმავალ ქალებს ბუნებრივია, გზად ასურელთა მეომრები შემოხვდათ, რომლებმაც მათი ვინაობა გამოიკითხეს. ივდითმა მათ ყველა თავისი „განზრახვა“ გაუმხილა და მოახსენა, რომ ოლოფერნეს იერუსალიმისაკენ მიმავალ ისეთ გზას მიასწავლიდა, რომ არც ერთი მეომრის დაკარგვა არ მოუწევდა. ისმენდნენ ივდითის ნაამბობს ჯარისკაცები და მონუსხულები იყვნენ ახალგაზრდა ქალის სილამაზით, გენერლის ბანაკში ისე წაიყვანეს, რომ

მისი სიტყვების ჭეშმარიტებაში ეჭვიც არ შეჰპარვიათ. ბანაკი მღელვარებამ მოიცვა, ყველამ გაიგო მშვენიერი ივდითის სტუმრობის ამბავი და მოუთმენლად ელოდნენ ოლოფერნესთან მოლაპარაკების შედეგებს.

მათ უკვირდათ, როგორ შეიძლებოდა იმ ერის განადგურება, რომელსაც ასეთი ლამაზი ქალები ჰყავდა. ძვირფასეულობებით მორთული ოლოფერნეს დანახვისას, ივდითი მის ფეხქვეშ დაემხო და თავყანი სცა, თუმცა უმაღლესი წამოაყენეს. ოლოფერნემ ჰკითხა, თუ რატომ გამოიქცა თავისი ბანაკიდან და რისი მიღება სურდა ასურელებისაგან. ივდითმა საუბრის დაწყებისთანავე ყველანაირი კეთილი სიტყვით შეამკო ნაბუქოდონოსორი და მის წინ მდგომი გენერალი, რომელიც ყველასაგან გამოარჩია სიბრძნითა და სულის სიმტკიცით. მოახსენა, რომ აქიორი მართალი იყო, როცა ღმერთის წყრომაზე საუბრობდა, თუმცა წყალმომარაგების შეწყვეტის შემდეგ, ხალხმა საშინელ ცოდვაში ჩაჰყო ფეხი. მათ ყველა ის პირუტყვი დაკლეს და შეჭამეს, რომელიც ღმერთისაგან აკრძალული ჰქონდათ. ყველა ის შესაწირავი პური და ღვინო მოიხმარეს, რომლის ხლებაც თითოეულ მათგანს ეკრძალებოდა, რითაც ღმერთის წინაშე დიდად შესცოდეს. ამ ყველაფრის გაცნობიერების შემდეგ, ღმერთი გამომეცხადა, რომელმაც შენთან მოსვლა და ერთად ქვეყანაში საოცარი საქმეების ჩადენა მანიშნაო. შემდეგ კი თავისი „მისია“ გააცნო, რომ ამიერიდან ის ყოველ ღამე გავიდოდა გარეთ და დაელოდებოდა ღმერთის ნიშანს, რომელიც ისრაელიანების მკრეხელობას ანიშნებდა და ამის შემდეგ ოლოფერნე თავის ლაშქართან ერთად თავისუფლად შეძლებდა ბეთულიელების დამარცხებას, ივდითი კი მას ისრაელისაკენ მიმავალ გზას ასწავლიდა.

ოლოფერნე და მისი მსახურები აღფრთოვანდნენ, პირველ რიგში, ქალის მშვენიერებით და შემდეგ მისი სიბრძნითა და გონიერებით. თავის მხრივ, ოლოფერნე ამ „კეთილი“ საქმის სანაცვლოდ დიდებულ მომავალს, ნაბუქოდონოსორის სამეფო ტახტზე ცხოვრებასა და აუარებელ სიმდიდრეს დაჰპირდა. „მოლალატეები“ ოთხი დღე ასურელთა ბანაკში იმყოფებოდნენ და მოქმედების დასაწყებად საჭირო დროს ელოდნენ. მეოთხე დღეს, ოლოფერნემ, ივდითის შეცდენის მიზნით, ბანკეტის მოწყობა განიხრახა და თავის მსახურს

განუცხადა, სირცხვილია ასეთი ქალი ჩვენი ბანაკიდან ისე გავუშვათ ერთხელ არ ვალხინოთო. ახალგაზრდა ქვრივი თავიდანვე მიხვდა გენერლის ფარულ განზრახვას და საბანკეტოდ საუკეთესო ტანისამოსითა და ძვირფასეულობებით გამოიწყო. ოლოფერნეს ჩანაფიქრი ივდითმა თავად აღასრულა. იმ ღამეს მხედართმთავარმა ჩვეულებრივზე ბევრად მეტი ღვინო დალია, ამდენი მას აქამდე ცხოვრებაში არ დაელია. ბანკეტი კი მისი საწოლზე გაგორებითა და გონების საბედისწერო დაკარგვით დასრულდა.

გენერლის საჭურისმა ბაგუამ ივდითი და მისი მზრძანებელი კარავში შეაცილა და გარედან ჩაკეტა, რათა არავის შეეწუხებინათ. გუშაგების დათხოვების შემდეგ ყველა ნანატრ ძილს მიეცა, ივდითი კი გენერლის კარავში მარტო აღმოჩნდა. საბედისწერო მომენტი ხელიდან არ გაუშვა და თავისი ცხოვრების მიზანიც აღასრულა. ივდითმა გენერლის ხმალი იშიშვლა, „გამამლიერე მე, უფალო, ღმერთო ისრაელისაო, დღევანდელ დღეს“, ეს სწორედ ის დროა, როცა ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებული მტერი უნდა განადგურდესო, და ნაბუქოდონოსორის ერთგულ სარდალს თავი მოჰკვეთა. ამის შემდეგ ივდითმა და მისმა მსახურმა სასწრაფოდ დატოვეს ასურელთა ბანაკი და განგმირული გენერლის თავი საგზლის გუდით წაიღეს. ღამე მათ მიერ ბანაკის დატოვება არავის გაჰკვირვებია, ვინაიდან ივდითის იქ ყოფნის მთავარი მიზეზიც ეს იყო, გარეთ გამოსვლა და ღმერთის ნიშნის ლოდინი. ქალებმა ხევი გადაიარეს და ქალაქის კარიბჭეს მიადგნენ, სადაც უხუცესებიც მალე შეჰყარეს.

ბეთულიაში დაბრუნებული გმირი ქალი მთელი ქალაქის წინაშე აღიმართა ოლოფერნესის თავით ხელში. ყუზიამ ის მრავალი საქებარი სიტყვით აქო და ადიდა. ივდითმა კი ოლოფერნეს თავი გალავნის ქონგურზე ჩამოაკიდებინა.

ამჯერად ებრაელებმა თავად გადაწყვიტეს ძლიერი დარტყმის მიყენება, კარიბჭე გააღეს და მტრისაკენ გაეშურნენ. ამის შემხედვარე ასურელებმა თავიანთი მეთაურის კარავს მიაშურეს, თუმცა იქ მხოლოდ ოლოფერნეს უთავო სხეული დახვდათ. მთელი ბანაკი პანიკამ მოიცვა. მეომრები დაიბნენ, უმეტესობა გაიქცა, დანარჩენებს კი ებრაელთა არმია დაერია და ტყვედ ჩავარდნილები სიკვდილით დასაჯეს. მომდევნო 30 დღის განმავლობაში ებრაელები

განუწყვეტლივ მარცვავდნენ ოლოფერნეს არმიის ბანაკს, თან მიჰქონდათ მრავალი ოქრო-ვერცხლი და შედეგად, დიდძალი ქონება იგდეს ხელთ. გენერლის აღჭურვილობა სიმბოლურად ივდითს გადასცეს, ქალაქში კი მადლობის ნიშნად ფერხული გაუმართეს.

ასე გაანადგურა ასურელთა აურაცხელი ბანაკი თავისი სილამაზითა და გონიერებით ახალგაზრდა ქვრივმა ქალმა. ბეთულიელები ბრწყინვალე გამარჯვებას 3 თვის განმავლობაში ზეიმობდნენ.

ლხინის დასრულების შემდეგ ივდითი სახლში დაბრუნდა. მასთან ყოფნის სურვილი მრავალმა მამაკაცმა გამოთქვა, თუმცა ქმრის დალუპვის შემდეგ მას არავისთან ჰქონია ურთიერთობა. ამბობენ, რომ ივდითმა 105 წლამდე იცოცხლა და თავის მშობლიურ ქალაქში გარდაიცვალა. ისარელი 7 დღის განმავლობაში გლოვობდა გმირ ქალს, რომელმაც სიკვდილის წინ ყველა თავის ნაცნობსა თუ ნათესავს გაუყო დარჩენილი ქონება. ისტორიის ბოლოს ნათქვამია, რომ ივდითის გარდაცვალებამდე და მას მერეც ებრაელთა ქალაქებისათვის არავის შეუტევია და ისინი მშვიდობიანად განაგრძობდნენ ცხოვრებას. ივდითის წიგნიც ასე მთავრდება.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, მრავალი ისტორიული ცდომილების გამო, ივდითის ამბავი არც ერთ ისტორიულ ჩანაწერში არ არის ნახსენები და თავად ივდითის ცხოვრებაზეც ბევრი რამაა უცნობი. ივდითის წიგნი შესულია მხოლოდ კათოლიკურ და აღმოსავლეთის მართმადიდებლურ საეკლესიო დადგენილებაში (კანონში), თუმცა პროტესტანტული და ებრაული კანონებიდან ის ამოღებულია და შესაძლოა არც არასდროს ყოფილიყო მათში შეტანილი. ბიბლიის ერთ-ერთ კათოლიკურ თარგმანში, The Jerusalem Bible-ში, ნათქვამია, რომ ისტორიული და გეოგრაფიული უზუსტობებით განსაკუთრებით ივდითის წიგნი გამოირჩევა. მართლაც, რომ ეს ამბავი მრავალ ფაქტობრივ უზუსტობას მოიცავს, რაც მთავარი მიზეზია იმისა, თუ რატომ არ არის ივდითის წიგნი ებრაელთა წმინდა წერილში.

დასაწყისში, ჩვენ ვთქვით, რომ ისტორია ძვ. წ. 593/2 წელს იწყება, ნაბუქოდონოსორის მეფობის მე-12 წელს, ივდითის წიგნის მიხედვით, ის თავის სამფლობელოებს ქალაქ

ნინევიდან მართავდა, თუმცა ასურეთის დედაქალაქი ნინევია ძვ. წ. 612 წელს უკვე განადგურებულია მიდიელთა სამეფოს მიერ და შესაბამისად, ასურეთის იმპერიასაც თავისი არსებობა დასრულებული აქვს. საქმე ისაა, რომ ასურეთს განუდგა ვასალი ნაბუქოდონოსორი I, რომელმაც ასურეთის განადგურება განიზრახა და საამისოდ კავშირი დაამყარა მიდიელების მეფე კიაქსართან (კიაქსარის პიროვნებას ჩვენ ქვევით კიდევ შევხებით – მ. გ.). ბაბილონელები თავიდანვე ასურელების დაუძინებელი მტრები იყვნენ და მათი მონაწილეობა ასურეთის განადგურებაში ბუნებრივი მოვლენაა.

ამასთანავე, ძვ. წ. 600 წლისთვის ბაბილონი იმდენად შთამბეჭდავი ქალაქი იყო, რომ იმდროინდელი სამყაროს ცენტრს წარმოადგენდა, ხოლო მისი მბრძანებლის, ნაბუქოდონოსორის მხრიდან ნინევიაში ჯდომა და ქვეყნის იქიდან მართვა ცოტა გასაკვირი და მისთვის შეუფერებელი იქნებოდა.

მოგვიანებით კი, ივდითის მიხედვით, როცა ოლოფერნე იერუსალიმის დასაპყრობად გაიგზავნა, ნაბუქოდონოსორი უკვე დიდი ხნის განმავლობაში ედგა ქალაქს ალყაშემორტყმული (ძვ.წ. 601-587 წწ.), ხოლო ბეთულიას ქალაქი ცნობითაც არავის ახსოვს და არც ერთ ისტორიულ წყაროში არ არის მოხსენიებული ამ კონკრეტული ისტორიის გარდა, რაც საშუალებას გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ ბეთულიაში სწორედ იერუსალიმი იგულისხმება. რაც შეეხება ებრაელებს, რომლებიც იდეაში სამუდამოდ ბედნიერად ცხოვრობდნენ, ბიბლიის თანახმად, ნაბუქოდონოსორმა ქალაქი, საბოლოოდ, ძვ.წ. 587 წელს გაანადგურა და იუდეველთა სამეფოც ასე დაამხო. ამის შედეგად ებრაელებს ეგვიპტეში გადასახლება და იქ დამკვიდრება მოუწიათ .

დიდ ინტერესს იწვევს ასევე მიდიელთა მეფის არფაქსადის პიროვნება, რომელიც მოცემული ისტორიის გარდა, არც ერთ სხვა ისტორიულ წყაროში არ არის მოხსენიებული. ჩვენთვის ცნობილია ძვ. წ. III-II ათასწლეულში მოღვაწე არფაქსადი, რომელიც ნოეს შვილის სემის ხუთ შვილთაგან ერთ-ერთია, თუმცა მისი არსებობის წლებიდან გამომდინარე, ის ზედმეტად შორს არის ჩვენი ისტორიისგან.

ჰეროდოტეს ისტორიის მიხედვით, ძვ. წ. 625-585 წლებში მიდიელთა სამეფოს კიაქსარი მართავდა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და შეძლებული მმართველი იყო, მამასა და ბაბუაზე ბევრად უფრო დიდი და წარმატებული სამხედრო რეპუტაციის მქონე. უძველესი ირანული ტომების გაერთიანებითა და მეზობელი ტერიტორიების დაპყრობით კიაქსარმა მიდიელთა იმპერია რეგიონალურ ძალად გადააქცია. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, რომ ის არფაქსადი, რომელსაც ნაბუქოდონოსორი ებრძოდა, სწორედ კიაქსარი ყოფილიყო, მაგრამ აქ კიდევ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი. ძვ.წ. VI საუკუნეში ნაბუქოდონოსორმა მეუღლეს ქალაქ ბაბილონში დაკიდებულები ბაღები აუშენა, რადგანაც უდაბნოში გათხოვილ ქალს საკუთარი ამწვანებული სამშობლო ენატრებოდა. ბაბილონელი მეფის ცოლი იყო ამიტა, მიდიელი ქალბატონი და ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი კიაქსარის სეფეწული. ნაბუფალასარმა და კიაქსარმა სწორედ ამ დინასტიური ქორწინებით განიმტკიცეს კავშირი. ჩვენთვის ქორწინების ზუსტი თარიღი არ არის ცნობილი, შესაბამისად, რთულია, მიდიელებთან დაპირისპირების დროის განსაზღვრა, თუმცა ცნობილია, რომ ძვ. წ. 614-612 წლებში მიდიელები და ბაბილონელები ერთად იბრძვიან ასურელების წინააღმდეგ, იკავებენ ქალაქებს აშურსა და ნინევიას და აქ ახალი ბაბილონის სამეფოს აარსებენ. თუ მხოლოდ ჰეროდოტეს მივინდობით, ძვ.წ. 612 წელს სწორედ კიაქსარმა დაიკავა ნინევია და ამის შემდეგ მთლიანად გაანადგურა ასურეთი.

რელიგიური თვალსაზრისით, საყურადღებოა, თავად ნაბუქოდონოსორისგან ასეთი თაყვანისცემის მოთხოვნაც. ჩვენ ვიცით, რომ ამ დროს ბაბილონის იმპერიის მთავარ ღმერთს მარდუქი წარმოადგენდა, რომელსაც ბაბილონელები ქვეყნიერებისა და ადამიანის შემქმნელად აღიარებდნენ, ხოლო იმპერიის მმართველის მხრიდან, ამგვარი ღვთაების უარყოფა და საკუთარი პიროვნების გაღმერთების მოთხოვნა, ცოტა გასაკვირია.

საინტერესოა ასევე ოლოფერნეს ლაშქრობის მარშრუტიც, რომლის განხორციელებაც, The Jerusalem Bible-ის მიხედვით, გეოგრაფიული თვალსაზრისით, შეუძლებელი იყო.



ნაწარმოების ისტორიულობა სწორედ ამ ყველა ისტორიული და ქრონოლოგიური შეცდომების გამო გახდა საეჭვო. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, მსგავსი ცნობების არსებობა ბიბლიასა (მაგ., ჯაელი „მოსამართლეთა წიგნში“) და მიდრამის ინტერპრეტაციულ მოთხრობებში მიუთითებს ადრეულ, საერთო წყაროზე (შესაძლოა სწორედ ძვ. წ. VI საუკუნე), რომელიც ახლა დაკარგულია.

მიუხედავად იმისა, რომ ისტორია დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის მოვლენების თარიღებზე, ბევრ მკვლევარს მიაჩნია, რომ წიგნი ძვ. წ. II საუკუნეს ეკუთვნის, კონკრეტულად კი ანონიმ პალესტინელ ებრაელს, რომელმაც წერა ძვ. წ. II საუკუნეში მომხდარი მაკაბელთა აჯანყების შემდეგ დაიწყო. ამ მოსაზრებას თუ მივყვებით, ივდითი იუდა მაკაბელის ორეული, ანუ მისი ქალი ვარიანტი უნდა ყოფილიყო. ზოგიერთი ზეპირი ცნობით კი მისი დეიდა ან და. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ივდითის წიგნში მაკაბელთა არავითარი ელემენტი არ ფიგურირებს და არანაირი პირდაპირი თუ ირიბი ბერძნული გავლენაც არ ჩანს. მეფეთა განდმრთობა ძველ აღმოსავლეთში უკვე დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა და ისტორიაში აღწერილი პოლიტიკური ვითარებაც არანაირ კავშირში არ არის მაკაბელთა პერიოდთან. ყველა ამ აშკარად განზრახული ისტორიული შეცდომის გაგება შესაძლებელი იქნებოდა, თუ კი წიგნს სპარსელთა მმართველობის პერიოდს მივაკუთვნებდით. ოლოფერნე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ტიპური სპარსული სახელია, წიგნში აღწერილი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობაც ისევე შეესაბამება სპარსულ სამყაროს, როგორც ებრაელთა იმდროინდელი ცხოვრების წესი. აქედან გამომდინარე, რეალური საბუთი იმისა, რომ წიგნი მაკაბელთა პროდუქტია, არ არსებობს. სამწუხაროდ, ჩვენ მისი მხოლოდ ბერძნული თარგმანი მოგვეპოვება, მაგრამ მისი წერის სტილიდანაც კი ნათლად ჩანს, რომ თავდაპირველი ხელნაწერი ებრაულ ენაზე იყო შესრულებული. შუა საუკუნეების ევროპაშიც ჰანუქას დროს ივდითის ამბავს მხოლოდ იმიტომ ყვებოდნენ, რომ თემატურად ჯდებოდა იუდა მაკაბელის ისტორიაში.

რაც შეეხება შუა საუკუნეების ისტორიებს, ივდითის ამბავი მრავალგან არის გადმოცემული, თუმცა ყოველ მათგანში სიუჟეტი და მთავარი პერსონაჟები განსხვავებული სახით არიან წარმოდგენილნი. ქალაქი ბეთულია უმეტესად იერუსალიმის სახელით გვხვდება, ივდითის მიერ მოკლული გენერლის სახელი და წარმომავლობაც განსხვავებულადაა წარმოდგენილი, ისევე როგორც ბრძენი მრჩევლის აქიორის პიროვნება. რაც შეეხება ივდითის პიროვნებას, სხვადასხვა გადმოცემაში ისიც კი იცვლის სახელსა და ოჯახურ მდგომარეობას. ზოგან ახალგაზრდა, გამოუცდელი, ღარიბი გოგონაა, ზოგან კი მდიდარი ქვრივი, რომელიც მეუღლის დატოვებულ ქონებას მარტო უვლის. მისი ოჯახის ისტორიაც იმისთვისაა მოყვანილი, რომ ხაზი გაესვას მის სოციალურ სტატუსსა და როლს საზოგადოებაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ივდითი ოლოფერნესთან ხშირად ახსენებს მისი ოჯახის კავშირებს საზოგადოების მაღალ ფენებთან, რითაც ერთგვარად თავის უსაფრთხოებას უზრუნველჰყოფს. მრავალ ისტორიაში ის მოხსენიებულია, როგორც მღვდლებისა და წინასწარმეტყველთა და ან შვილი, რომელიც ღვთიური ინფორმაციის მატარებელია, ოლოფერნესთანაც ხომ იმ მიზნით მივიდა, რომ გაუზიაროს მას ღვთისაგან ბოძებული ცოდნა.

ყველა ამ ისტორიული შეცდომისა თუ უზუსტობის მიუხედავად, ივდითის პერსონაჟი და მისი გმირული საქციელი საუკუნეების განმავლობაში მრავალი შემოქმედის შთაგონების წყაროდ ქცეულა. დონატელო, მიქელანჯელო, კარავაჯო, კლიმტი და მრავალი სხვა ხელოვანი ქმნის ივდითის სახეს თავის ნამუშევარში, ვინაიდან მის პიროვნებას რენესანსის პერიოდიდან დაწყებული, მოდერნიზმით დამთავრებული, ყველა პერიოდში დიდი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. ზოგის აზრით, ეს იყო მაგალითი იმისა თუ როგორ გაიმარჯვა „ღვთის რჩეულმა“ ერმა მის მთავარ მოწინააღმდეგეზე, ხოლო ზოგის აზრით, ეს იყო წმინდა ქალური სიმღიერის გამოხატულება. ივდითის ამბავმა საუკუნეებს გაუძლო და დღემდე მრავალი მეცნიერისა თუ მკვლევარის დაინტერესების მთავარ საგანს წარმოადგენს.

*მედეა გვინჩიძე*

## ბარ კოხბას აჯანყება

სანამ უშუალოდ დავიწყებდეთ საუბარს, თუ რატომ აჯანყდა სიმონ ბარ კოხბა, მოკლედ შევეცდებით განვიხილოთ, როგორ აღმოჩნდა სირია-პალესტინა რომის რესპუბლიკის საზღვრებში.



მოგეხსენებათ, მას შემდეგ, რაც რომმა მოახერხა კართაგენის განადგურება ( ძვ.წ. 146), მათ ნელ-ნელა დაიწყო აღმოსავლეთით სვლა, ჯერ დაიკავეს მაკედონია და საბერძნეთი, შემდეგ კი ომი გამოუცხადეს მცირე აზიის ნახევარკუნძულზე არსებულ ელინისტურ სახელმწიფოებს. სწორედ ასეთი ელინისტური სახელმწიფო იყო პონტოც, რომლის გამორჩეული მმართველი მითრიდატე VI ევპატორი დაუპირისპირდა რომაელთა ექსპანსიურ პოლიტიკას. მან 3 დიდი ომი გამართა რომაელთა წინააღმდეგ, საბოლოოდ მისი დამარცხება შეძლო გამორჩეულმა რომაელმა სარდალმა გნეუს პომპეუსმა. პომპეუსმა მითრიდატეს დამარცხების შემდეგ შეუტია მის მოკავშირე სომხეთს და ჯარის ნაწილი გაგზავნა სამხრეთისკენ, სირიის პროვინციაში, რომელსაც განაგებდა სელევკიდთა დინასტია. ძვ. წ. 63 წელს პომპეუსმა დაიმორჩილა ახლო აღმოსავლეთის დიდი ნაწილი.

საკმაოდ საინტერესო ვითარება იყო ამ დროს იუდეაში. იუდეის ტახტის გამო ერთმანეთს დაუპირისპირდნენ არისტობული და ჰირკანე, საბოლოოდ, არისტობულმა მოახერხა ტახტის დაკავება, რამაც გააღიზიანა მისი ძმა. ჰირკანე დაუკავშირდა ნაბატეველთა სამეფოს მმართველს არეტა III-ს. მათ შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც არისტობულის დამხობის შემდეგ ჰირკანე ნაბატეველებს დაუბრუნდება მათ კუთვნილ ტერიტორიას, რომელიც მიტაცებული ჰქონდათ იუდეველებს. არეტამ ალყა შემოარტყა იერუსალიმს და სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ რომაელებიც ასპარეზზე. გნეუს პომპეუსს უკვე დაემარცხებინა მითრიდატე VI ევპატორი, მისი მოკავშირე სომხეთი და სირიაშიც მოახერხა პოზიციების განმტკიცება. მან პალესტინისკენ გამოგზავნა მარკუს ამელიუს სკაულუსი. რომაელ კვესტორს დახმარება სთხოვა როგორც არისტობულმა, ასევე ჰირკანემაც. კვესტორი არისტობულის მხარეს დადგა და დაეხმარა მას მტრების დამარცხებაში.



სიტუაცია შეიცვალა მას შემდეგ, რაც იუდეველებმა დაიწყეს მეკობრეობა. ამ ყველაფერს დაერთო ისიც, რომ არისტობულმა უღალატა პომპეუსს და მზადება დაიწყო ომისთვის. პომპეუსმა დაამარცხა ებრაელები, როგორც ცნობილია, 12000 ებრაელი დაიღუპა ომის დროს. რომმა გაიმარჯვდა და დაიწყო ძალაუფლების გამნტკიცება ამ რეგიონში.

იულიუს კეისრის სიკვდილიდან 13 წელიწადში რომი იმპერია გახდა, რომელიც აკონტროლებდა მთელ ხმელთაშუა ზღვისპირეთს.

ბარ კოხბას აჯანყებამდე, ახ. წ. 66 წელს ებრაელები აუჯანყდნენ რომის იმპერატორს. აჯანყების მიზეზი იმპერატორ კალიგულას გატარებული რეფორმები გახლავთ, რომლის მიხედვითაც იმპერიაში უნდა ყოფილიყო მხოლოდ რომაული კანონმდებლობა. საბოლოოდ, რომაელებმა ჩაახშვეს ეს აჯანყება, აიღეს იერუსალიმი და დაანგრიეს „გოდების კედელი“.



ამ ამბების შემდეგ, როგორც ჩანს ებრაელები არ შეეგუვნენ დამარცხებას და კვლავ გადაწყვიტეს აჯანყება. ამჯერად მათ სათავეში ზემოთ ნახსენები ბარ კოხბა ჩაუდგა. აჯანყების მეთაურზე არ გვაქვს ბევრი ცნობა. ევსევი კესარიელი მასზე ამბობს, რომ იგი იყო ყაჩაღი და მკვლელი, იგი აწამებდა ქრისტიანებს და აიძულებდა მათ, უარი ეთქვათ საკუთარ რელიგიაზე. ფრიად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ადგილობრივებსაც კი არ უნდათ დიდად ამ აჯანყებაში მონაწილეობის მიღება, რაც უშუალოდ რელიგიური მიზეზებიდან იყო გამოწვეული.

ბარ კოხბას თანამედროვე იმპერატორი არის ადრიანე. ადრიანემ ხელისუფლების განმტკიცება და მშვიდობის შენარჩუნება არჩია ომებს. სწორედ ამისთვის ადრიანე ეწვია მცირე აზიის ნახევარკუნძულს და მოიწვია ახლო აღმოსავლეთის მეფეები. მისი მიზანი დაპყრობილი ხალხების რომანიზაცია იყო, რაშიც ომები ხელს შეუშლიდა. ებრაელებმა, როგორც ჩანს, საკმაოდ მტკივნეულად მიიღეს ადრიანეს გამოცემული კანონები და მოაწყვეს აჯანყება.

132 წელს დაწყებული ამბოხი სწრაფად მოედო პროვინცია იუდეას. ებრაელებმა იერუსალიმში დატოვებული რომაული გარნიზონი გაანადგურეს. პროვინციას ამ დროს განაგებდა კვინტუს ტინიუს რუფუსი, მან ვერ მოახერხა აჯანყებულების დამარცხება და მეტიც, მათთან ბრძოლაში დაიღუპა. ამ წარმატებების შემდეგ სიმონ ბარ კოხბამ მიიღო ნასის (უფლისწული) ტიტული. ებრაელები მასში მხსნელსაც ხედავდნენ, რომელმაც დამოუკიდებლობა დაუბრუნა იუდეას, მაგრამ ვერ გააცნობიერეს, თუ რამხელა ზიანს მოუტანდა ეს აჯანყება პროვინციას.

ბარ კოხბამ მოჭრა მონეტები, რომლითაც, აგრეთვე, აგიტაციას უწევდა იუდეის თავისუფლებას (რადგან მონეტაზე ეწერა: თავისუფლება იუდეას).

ბარ კოხბას სისასტიკემ, რომელიც მან გამოიჩინა რომაელებისა და ქრისტიანების წინააღმდეგ, გამოიწვია პროვინცია სირიის რომაელი გამგებლის ომში ჩართვა. პუბლიუს მარცელუსი შეიჭრა იუდეაში, მაგრამ ბარ კოხბამ მოახერხა მისი დამარცხება. აჯანყებულთა წარმატებებმა აიძულეს იმპერატორი დაეწყო ჯარის შეგროვება.

ადრიანემ დაიწყო ჯარის შეგროვება რომის იმპერიის ყველა პროვინციიდან. შეიკრიბა 6 ლეგიონი (ასევე, დამატებით სხვადასხვა ლეგიონის ნაწილები), რომელსაც ზურგს უმაგრებდა დამხმარე ჯარი. მთლიანობაში, ჯარის რაოდენობა 60 000-დან 120 000-მდე მერყეობს. ჯარს სარდლობდა სექსტუს იულიუს სევერუსი, რომელიც აჯანყების დროს განაგებდა პროვინცია ბრიტანიას.

რაც შეეხება ებრაელთა არმიის რაოდენობას, მასზე ცნობები შემონახულია თალმუდში, რომლის მიხედვითაც ბარ კოხბას ჯარი 400 000-ს მეომარს ითვლიდა. ნათელია, რომ აჯანყებულების რაოდენობა გაზვიადებულია და მათი მაქსიმალური რიცხოვნობა 200 000 იქნებოდა.

რომაელები ცდილობდნენ, რომ ბრძოლა გაშლილ ველზე გამართულიყო, ებრაელები კი პარტიზანული თავდასხმებით ცდილობდნენ წარმატების მიღწევას. საბოლოოდ, აჯანყებულებმა გააცნობიერეს, რომ მხოლოდ მოულოდნელი თავდასხმებით, ვერ

აიძულებდნენ რომის იმპერიის ჯარს პროვინციის დატოვებას და გაიმართა პირველი დიდი ბრძოლა. დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს რომონის დაბლობზე შეხვდნენ. რომაელებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს, რასაც ბარ კოხბას ტყვედ ჩავარდნილი მეომრების სიკვდილით დასჯა მოჰყვა.

დარჩენილი იყო მხოლოდ ბეთარის ციხე-სიმაგრე, რომელსაც თავს აფარებდნენ ამბოხებულები. სწორედ მას შეაფარა თავი აჯანყებულთა ლიდერმაც. რომაელებმა ბეთარს ალყა 135 წელს შემოარტყეს. ქალაქმა ვერ გაუძლო სევერუსის იერიშს და იგი დაეცა. საინტერესოა, რომ ბარ კოხბამ მოკლა ბიძამისი (რაბი ელაზარ ჰამუდაი), რომელსაც რომაელებთან კავშირი დააბრალა. რომაელებმა ბეთარში სრული სასაკლაო მოაწყვეს, რითაც გააფრთხილეს იმპერიის სხვა ხალხებიც. დიონ კასიუსი როგორც გვეუბნება, რომაელებმა მოკლეს 580 000 ებრაელი, რაც სრული აბსურდია, ისეთივე როგორც ამ აჯანყების გენოციდად მონათვლა. რომაელებმა მყარი კონტროლი დაამყარეს 135 წლიდან იუდეაში. მათ გადაასახლეს მრავალი ებრაელი, ამ ტერიტორიაზე გადმოასახლეს ბერძნები და რომაელები. თავად პროვინციას შეუცვალეს სახელი და იგი შეუერთეს სირია-პალესტინას.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ ადრიანეს ბრძანებით აიკრძალა ებრაული დღესასწაულების აღნიშვნა და მან ხარკი დაადო ყველა ებრაელს, რადგანაც ადანაშაულებდა მათ აჯანყებულთა დახმარებაში.

მას შემდეგ, რაც ადრიანე გარდაიცვალა, კეისარი გახდა ანტონიუს პიუსი, რომელიც წინამორბედისგან განსხვავებით შემწყნარებლურ პოლიტიკას ატარებდა. ანტონიუს პიუსმა შეუმსუბუქა მდგომარეობა ებრაელებსაც.

*მათე ქარდავა, თამთა შონია, ანა ბალიაშვილი*

# არაბების მიერ პირენეის ნახევარკუნძულის

## დაპყრობა

მსოფლიოს პოლიტიკურ სარბიელზე მე-7 საუკუნე მნიშვნელოვანი ცვლილებებით დაიწყო. სწორედ ამ პერიოდში არაბების სახით, ჩნდება ახალი ძალა, რომელთა დაპყრობებმაც არსებითად შეცვალა იმდროინდელი მსოფლიო პოლიტიკური რუკა. ისლამურმა ტალღამ უსწრაფესი ტემპით გადაუარა მსოფლიოს აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით და მალევე მოიცვა სამი კონტინენტი. უკვე მეორე „მართლმორწმუნე“ ხალიფა, ომარის დროიდან იწყება არაბთა ექსპანსიონისტური პოლიტიკა, რომელმაც თავის აპოგეას ომაიანებისა და აბასიანების პერიოდში მიაღწია და აქტიურად მოიცვა საკუთრივ დასავლური სივრცეც. საინტერესოა, რა ფაქტორებმა განაპირობა მათი თვალშისაცემი წარმატება ასეთ მოკლე დროში? პირველ რიგში, მათი წინსვლის ძირითადი ბერკეტი მდგომარეობდა არაბული ჯარის მაღალ საბრძოლო თვისებებსა და დიდებულ ორგანიზებაში. არაბები დამორჩილებულ მასახლეობასთან აფორმებდნენ „დაცვის სიგელს“, რომელიც განსაზღვრავდა დამპყრობელი არაბებისა და დამორჩილებული მოსახლეობის ურთიერთობას და ითვალისწინებდა ორმხრივ ვალდებულებებს. ასეთმა ლოიალურმა და შემწყნარებლურმა პოლიტიკამაც, შესაბამისად, დიდად შეუწყო ხელი მათ განმტკიცებას დამორჩილებულ ადგილებში. ასევე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ არაბები ადვილად ითვისებდნენ ახალ ტერიტორიებს და თვითონვე ასიმილირდებოდნენ დაპყრობილ, ადგილობრივ მოსახლეობასთან. VIII საუკუნის 40-იანი წლებისათვის არაბულ სახალიფოს დაპყრობილი ჰქონდა სირია-პალესტინა, მესოპოტამია, ეგვიპტე, ხმელთაშუა ზღვის სამხრეთი სანაპირო ზოლი და ჩრდილოეთ აფრიკის უმეტესი ნაწილი, რომელიც გაერთიანებული იყო პროვინცია „აფრიკაში“. იგი მოიცავდა დღევანდელ ტუნისს, ლიბიასა და აღმოსავლეთ ალჟირს. საინტერესოა, რა ხდება ამ დროს პირენეის ნახევარკუნძულზე? შესწევდა თუ არა ძალა ამ პერიოდის ვესტგოთების სამეფოს წინ



აღსდგომოდა არაბულ ექსპანსიას? იყო კი საერთოდ მათთვის ცნობილი კარზე მომდგარი საფრთხე?



მაშინ, როდესაც ომაიანთა სახალიფო წარმატებას წარმატებაზე აღწევდა და სულ უფრო ღრმად იჭრებოდა დასავლურ სივრცეში, ვესტგოთთა სამეფო შინაგანად ლპებოდა. მე-7 საუკუნეში ვესტგოთთა სამეფოს უკვე დიდი ხნის დაკარგული ჰქონდა ალარიხის დროინდელი სამეფოს ძლიერების სტატუსი. ალარიხის მემკვიდრეებმა არათუ შეინარჩუნეს, არამედ თანდათანობით ფრანკებთან კონფრონტაციის შედეგად არსებულიც დაკარგეს. 507 წელს პუატიესთან ახლოს, ვუეიეს მინდორზე ხლოდვიგ I-ის მიერ მოპოვებული დიდებული გამარჯვების შემდეგ, ვესტგოთებმა სამუდამოდ ამოიკვეთეს ფეხი სამხრეთ გალიიდან. შემდგომი ხანის ვესტგოთ მეფეთა შორის ვამბა იყო ერთადერთი, რომელიც არსებული მდგომარეობის სიმწვავეს რეალურად აფასებდა და სახელმწიფოს მაქსიმალურ ცენტრალიზაციას ცდილობდა. თუმცა, ფეოდალიზმის გავრცელებასთან ერთად სულ უფრო ხშირად იჩენდა თავს სეპარატისტული გამოსვლები, რაც ერთობ ძირს უთხრიდა სამეფოს ერთიანობას. შესაბამისად, სახელმწიფოს უკვე არარსებული რესურსებით და სასულიერო წრეების პოლიტიკაში აქტიურად ჩარევის რეალობამ, ვამბას ცენტრალისტურ პოლიტიკას

ბაზი გადაუსვა. ნათელი იყო, რომ ასეთ მძიმე ჟამს ცალკეულ პიროვნებებს არ შეეძლოთ წინ აღსდგომოდნენ და შეეკავებინათ მათი მთავარი „მტერი“, ფეოდალიზმი. მას შემდეგ, რაც ვამბა ჩამოაცილეს სახელმწიფო ხელისუფლებას არსებული კრიზისის დაძლევისა და სამეფოს გადარჩენის უკანასკნელი შანსიც მოისპო. ფეოდალურმა არისტოკრატამ კი აშკარა გამარჯვება იხეიმა. შემდგომი მეფეების დროს სასულიერო ფენის გააქტიურებამ პოლიტიკურ სივრცეში მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად დაამძიმა და ფაქტობრივად ცეცხლზე ნავთი დაასხა. ქვეყნის რეალურ საჭეთმპყრობელებად სასულიერო დასის წევრები იქცნენ, რამაც სახელმწიფო კიდევ უფრო მეტად დაუქვემდებარა ეკლესიას. 710 წელს ვესტგოთთა მეფე ვიტიცა სახელმწიფო გადატრიალების მსხვერპლი გახდა, რის შემდეგაც ხელისუფლების სათავეში ბეტიკას ყოფილი ჰერცოგი, როდერიხი აღმოჩნდა. ქვეყანა პრაქტიკულად ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაიყო. როდერიხის ძალაუფლებას მხოლოდ სამხრეთის ძლიერი ფეოდალები და სასულიერო დასი აღიარებდა. ჩრდილოეთი კი შინაგანად მოწყვეტილი აღმოჩნდა, სადაც როდერიხის მოწინააღმდეგე არისტოკრატთა ფრთამ თავიანთი კანდიდატი, ვიტიცას შვილი, აქილი გაამეფა. აი ასეთ ანარქიას მოეცვა ვესტგოთთა სამეფო მაშინ, როდესაც არაბები გიზლარტარის სრუტეს უახლოვდებოდნენ.

711 წელს ვესტგოთების სამეფოში შექმნილი რთული მდგომარეობით წაქეზებულმა არაბებმა და ბერბერებმა აფრიკის ვალის, მუსა იბნ ნუსაირის, დავალებით გადალახეს გიზლარტარის სრუტე და ტარიკ იბნ ზიადის მეთაურობით ანდალუსიაში შეიჭრნენ. ბუნებრივია, ორად გახლეჩილმა სამეფომ, ამავედროულად, როდერიხის კონცენტრაციამ ბასკებთან ომზე, ახალ გამოჩენილ ძალას მედგარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია. საგონებელში ჩავარდნილმა ჰამპლონაში მყოფმა როდერიხმა ვერ შეძლო შესაბამისი მობილიზაცია და სამხრეთში ნაჩქარევად გადმოსულმა მძიმე მარცხი იწვნია მდინარე გვადალეტესთან გამართულ ბრძოლაში. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ბრძოლამ ერთის მხრივ გზა გაუხნა არაბებს ესპანეთში, ხოლო მეორეს მხრივ ვესტგოთთა სამეფო ხელისუფლება პრაქტიკულად

საბოლოოდ მოიშალა, და მეფის გარეშე დარჩა, აუცილებლად მიგვაჩნია შედარებით დეტალურად განვიხილოთ მისი მიმდინარეობა.

სამხრეთ ესპანეთში გამოჩენილ მუსლიმთა ძირითადი სამხედრო კონტიგენტი დამორჩილებული და გამუსლიმანებული ჩრდილოეთ აფრიკის მკვიდრი ბერბერებისა და მავრებისაგან შედგებოდა. აღსანიშნავია, რომ საკუთრივ ტარიკ იბნ ზიადიც გამუსლიმანებული ბერბერი გახლდათ. ხოლო არაბთა რიცხვი 300 კაცს არ აღემატებოდა, რომლებიც ტარიკის პირად გვარდიას შეადგენდნენ. 25 ივლისს ვესტგოთური და მუსლიმანური არმიები ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. ზოგიერთ არაბულ წყაროს შემონახული აქვს ბრძოლის დაწყებამდე ტარიკის მგზნებარე მიმართვა ჯარისადმი: أَيُّهَا النَّاسُ، أَيْنَ الْمَغْرَبِ؟ الْبَحْرُ مِنْ ورائكم، والعدوَّ أمامكم، وليس لكم والله إلا الصدق والصبر („ო ხალხო! გასაქცევი არსად არის! თქვენს უკან ზღვაა, ხოლო წინ კი - მტერი: არაფერი დაგრჩენიათ, ღვთით, გარდა გულადობისა და მოთმინებისა.“) როგორც დავინახეთ ტარიკმა პირადი მამაცობით შეაგულიანა თავისი მეომრები და ორი არჩევანი დაუტოვა: გამარჯვება ან სიკვდილი. მუსლიმთა სამხედრო შენაერთები ძირითადად კავალერიისგან შედგებოდა, რომლებიც რამდენიმე მცირე ქვედანაყოფად იყოფოდნენ. მძიმედ აღჭურვილი, ხმლებით და შუბებით შეიარაღებული ქვეითთა კორპუსი გრძელ საბრძოლო ხაზზე იდგა, რაც მუსლიმან მხედრებს უადვილებდა მანევრირებას. ვესტგოთთა არმიას როდერიხი ედგა ცენტრში და საკუთრივ ხელმძღვანელობდა შეტევებს. წყაროებში გვადალეტეს ბრძოლაზე უამრავი განსხვავებული ცნობაა დაცული, რის გამოც საკმაოდ რთულია რეალობის მითისაგან გარჩევა.



როდერიხი

როდერიხი უამრავი ზღაპრული თუ ლეგენდარული მითის პერსონაჟია, რომლის საბოლოო ბედიც ასევე ლეგენდებში იკარგება. ნაწილი წყაროები მოგვითხრობენ, რომ ბრძოლის მიმდინარეობისას როდერიხი მდიდრულ ტახტზე იჯდა. თუმცა, სხვების გადმოცემით ძვირფასი თვლებით აღკაზმულ ცხენზე იყო ამხედრებული. მუსლიმთა ერთ-ერთი კონტრშეტევის შედეგად ვესტგოთთა არმია დემორალიზდა. ამით წაქეზებულმა მტერმა ერთბაშად სამი მხრიდან შეუტია ვესტგოთების ცენტრს. ქრისტიანთა მორალურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა საბრძოლო დისციპლინის მოშლა. მათი მთავარი საზრუნავი ახლა უკვე თვითგარაჩენა იყო. გამხეცებული და გამარჯვების ჟინით შეპყრობილი მუსლიმები ველურად მისდევდნენ და დაუნდობლად ხოცავდნენ გაქცეულ მტერს. სისხლიანი ხმლების ხმაურს კი თან ერთვოდა მათი შეძახილები: الله أكبر (allahu akbar!) – ღმერთი უდიდესია. ასევე ვესტგოთთა უდიდესი ნაწილი მდინარე გვადალეტეს გადალახვისას დაიხრჩო. საკუთრივ როდერიხის საბოლოო ბედის შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობები მოგვეპოვება. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ტარიკ იბნ ზიადმა საკუთარი ხელით გამოასალმა სიცოცხლეს ვესტგოთთა ბელადი. რამდენიმე მემატთანე გადმოგვცემს, რომ მეფის ცხენი მდინარე გვადალეტეს ტალახიან ნაპირებთან იპოვეს ფეხსაცმელთან ერთად. ნაწილი კი ვარაუდობს, რომ ის მდინარის გადალახვისას დაიხრჩო. ძალზედ საინტერესოა ის, რომ

ბიზეუში, დღევანდელ პორტუგალიაში, აღმოჩნდა საფლავი წარწერით: „აქ განისვენებს როდერიხი, გოთების მეფე“. ამ ბრძოლის შემდეგ არაბებს ფაქტობრივად ორგანიზებული წინააღმდეგობა აღარსად შეხვედრიათ და მუსლიმანთა ნაკადმა უსწრაფესი ტემპით სამ წელში შთანთქა მთელი იბერიის ნახევარკუნძული.



*ბერბერული არმია*

ისმის კითხვა: რამ გამოიწვია ვესტგოთების ასე მარტივად დამარცხება? რა ფაქტორებმა განაპირობა, რომ არაბებმა ძალზე ადვილად და უსწრაფესი ტემპით შეძლეს არც თუ ისე პატარა სივრცის დაპყრობა? რა უპირატესობები ჰქონდათ მუსლიმებს ქრისტიანებთან შედარებით? შევეცდებით ჩამოვთავლოთ ყველა ის ძირითადი მიზეზები, რამაც მუსლიმებს წარმატება მოუტანა და მთელი პირენეის ნახევარკუნძული მათ ნადავლად აქცია.

1. ვესტგოთების სამეფოს შიგნით დაწყებული ღრმა შიდა პოლიტიკური კრიზისი. ფეოდალიზმის განმტკიცების გზაზე ქვეყანაში ერთდროულად რამდენიმე დამოუკიდებელი მიზიდულობის ცენტრი გაჩნდა, ძალაუფლებისმოყვარე ფეოდალები სულ უფრო მეტად ცდილობდნენ დამოუკიდებლობისთვის მიეღწიათ და ერთგვარ „პატარა მეფეებად“ ქცეულიყვნენ. 2. არაბების შემოჭრის პერიოდში ქვეყანა პრაქტიკულად ორ შეურიგებელ და დაპირისპირებულ ბანაკად აღმოჩნდა გაყოფილი, ვიტიცას და როდერიხის მომხრეებად, რამაც გამოიწვია დეკადენსი და არაბული საფრთხის პირისპირ დამდგარმა ორად გახლეჩილმა

სამეფომ შესაბამისი წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია მუსლიმებს. 3. ვესტგოთების სამეფოში მწვავე სოციალური და პოლიტიკური წინააღმდეგობები მიმდინარეობდა, სახელმწიფოს ყოველგვარმა მცდელობამ, რომ მემკვიდრეობითობის პრინციპი დაკანონებულიყო, შედეგი ვერ გამოიღო, რის გამოც ხშირ შემთხვევაში სამეფო ტახტისათვის ერთდროულად რამდენიმე კანდიდატი იბრძოდა. შესაბამისად, არაბების გამოჩენის დროს მტკიცე და ცენტრალიზებული ხელისუფლება არ არსებობდა. 4. ჯერ კიდევ მე-6 საუკუნიდან მოყოლებული სასულიერო წრეების აქტიური ჩარევა სახელმწიფო საქმეებში ყოველმხრივ ხელს უშლიდა სახელმწიფოს ცენტრალიზაციას. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ტოლედოს არქიეპისკოპოსი, იულიანე, რომელმაც პრაქტიკულად თავისი სურვილით გაამეფა ევრიგი და ამით თავისი ნების აღმსრულებელი, მარიონეტი დასვა ტახტზე. როგორც ზემოთ დავინახეთ, ვამბა იყო უკანასკნელი ძლიერი ვესტგოთთა მეფე, რომელიც ცენტრალისტური პოლიტიკის გატარების შედეგად თავისი სეკურალისტური გეგმით ცდილობდა ეკლესია დაექვემდებარებინა სახელმწიფოსათვის და სასულიერო წრეების მადა აელაგმა. თუმცა, მისი მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. 5. საეკლესიო წრეების ძალაუფლების ზრდასთან ერთად სულ უფრო და უფრო იზრდებოდა კათოლიკური ეკლესიის გავლენა, რაც ფართო უკმაყოფილებასა და აღშფოთებას იწვევდა ქვეყანაში მცხოვრებ სხვადასხვა აღმსარებლობის ხალხში (ებრაელებში, არიანელებში, იუდეველებში). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ებრაელებმა უდიდესი როლი ითამაშეს არაბთა მოპოვებულ წარმატებებში. მეფე ევრიგის დროიდან გამოიცა არაერთი კანონი, რომელიც მათ ყოველგვარ თავისუფლებას კრძალავდა. შევიწროვებული ებრაელები კი პოლიტიკურ თავშესაფარს არაბებთან ეძებდნენ. ამრიგად, ჩრდილოეთ აფრიკაში მყოფი მუსლიმები ესპანეთში შექმნილი ვითარების ცნობებს დიდ წილად სწორედ მათგან იღებდნენ და ებრაელების სახით ჰყავდათ საკმაოდ ძლიერი მოკავშირე ქრისტიანებთან წინააღმდეგ ბრძოლაში. 6. მსხვილი ფეოდალები და ზოგიერთი სასულიერო პირი ძალაუფლებისა და პრივილეგიების შენარჩუნების მიზნით პირად ინტერესებს ქვეყნისაზე მაღლა აყენებდა და მტერს საკუთარ ქვეყანაში წინ მიუძღოდა. მაგალითისათვის შეგვიძლია გავიხსენოთ ვიტიცას

მმა, ოპპა, ან თუნდაც გრაფი ტარასონელი, რომლებმაც თავისუფლად უარჰყვეს ქრისტიანული მრწამსი და რენეგატები გახდნენ. 7. ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რამაც არაბებს გაუადვილა ქრისტიანების დამოჩილება იყო კარგად ორგანიზებული კავალერია. შესაბამისად, კარგად მომზადებულმა ცხენოსანთა კორპუსმა და მძიმედ აღჭურვილმა ქვეითთა ჯარმა ადვილად გატეხა ვესტგოთთა, ქვეითთა ჯარი. 8. არაბების ლოიალური და შემწყნარებლური პოლიტიკა ქრისტიანების მიმართ და არც თუ ისე მძიმე საგადასახადო სისტემა. როგორც წესი ისინი მოსახლეობას სთავაზობდნენ ან ისლამის მიღებას ან დამატებითი გადასახადის გადახდას. რამდენადაც რენეგატები (რჯულის უარყოფელები) იხდიდნენ ნაკლებ გადასახადს, დაპყრობილი მოსახლეობის მსხვილი ფეოდალები მიწიერ სარგებელს რელიგიურ ინტერესებზე მაღლა აყენებდნენ და ყოვლად უპრობლემოდ ექცეოდნენ ისლამის რჯულზე. ჩვენ მიერ ჩამოთვლილი მიზეზების ფონზე არაბებმა პრაქტიკულად სამ წელში დაიმორჩილეს იბერიის ნახევარკუნძული. ქრისტიანული მოსახლეობა არასდროს შეგუებია მათ ბატონობას და მთელი 8 საუკუნის მანძილზე შეუპოვარ ბრძოლებს აწარმოებდა მათ წინააღმდეგ. ეს ფართომასშტაბიანი და სისხლიანი დაპირისპირებები მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის ცნობილია, როგორც „რეკონკისტა“, რომელიც დაიწყო 722 წელს, უკიდურეს ჩრდილო ნაწილში, ასტურიაში, გამართული კოვადონგას ბრძოლით და საბოლოოდ დასრულდა 1492 წელს უკიდურეს სამხრეთში გრანადის საამიროს დაცემით, რითაც არაბების მრავალსაუკუნოვან ბატონობას ესპანეთში სამუდამოდ მოეღო ბოლო. არაბებმა ესპანეთში ხანგრძლივი ბატონობის შედეგად მაინც დატოვეს თავიანთი კულტურული კვალი, რომელიც დღემდეა შემორჩენილი არაჩვეულებრივი და თავისებური ძეგლებით. არაბული ესპანეთი იქცა დასავლური ისლამური ხელოვნების შუქურად.

*ლაშა მაჭარაშვილი, ცისი კორკოტაძე*

## მონღოლების მიერ ხორეზმის დაპყრობა

XIII საუკუნე პოლიტიკურ რუკაზე დიდი ცვლილებებით გამოირჩევა, რაც გამოწვეულ იქნა მონღოლთა იმპერიის შექმნითა და მათი ლაშქრობებით. აღნიშნული საუკუნის ბოლოსთვის შეიქმნა მსოფლიო ისტორიის უდიდესი იმპერია, რომელმაც დიდი გავლენა იქონია აზიის განვითარებაზე და მათი ლაშქრობები უარყოფითად აისახა კონტინენტის კულტურულ და ეკონომიკურ წინსვლაზე.

მონღოლებმა უმოკლეს დროში მოახერხეს აზიისა და ევროპის მრავალი ქვეყნის დარბევა-დაპყრობა და მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი უძლიერესი იმპერია შექმნეს. მათ არაერთი ლაშრობა აწარმოეს სხვადასხვა მიმართულებით ტერიტორიების დასაპყრობად, მათ შორის კარგად ცნობილია, ხორეზმის დაპყრობაც. მონღოლების წარმატებები უშუალოდ დაკავშირებულია ჩინგის ყაენის სახელთან (1206-1227 წწ. ). ჩინგიზ ყაენი იგივე, თემუჩინი გახლდათ პიროვნება, რომელმაც არა მხოლოდ დაქუცმაცებული მონღოლური ტომების გაერთიანება და გაძლიერება შეძლო, არამედ საფუძველი დაუდო მონღოლთა უდიდესი იმპერიის დაარსებას.

ცნობილია, რომ მონღოლების იმპერია ძლიერების პიკის დროს, თითქმის ადრიატიკის ზღვიდან წყნარ ოკეანემდე იყო გადაჭიმული, მოიცავდა შორეულ აღმოსავლეთს, ინდოჩინეთს, შუა აზიას, ევროპის ვრცელ სტეპებს, კავკასიას, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპას; კარგად ცნობილია, რომ მონღოლეთი მთლიანად აკონტროლებდა აბრეშუმის გზის დიდ ნაწილს. იმდენად მკვეთრად გამოიხატებოდა მონღოლების პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული მნიშვნელობა, რომ ისტორიკოსები, რომის ძლიერების ხანასაც კი ადარებენ და “მონღოლურ მშვიდობას” უწოდებენ.

იმ დროს , როდესაც მონღოლეთში გაერთიანების ეტაპი დასასრულისკენ მიდიოდა, აზიის პოლიტიკურ რუკაზე საკმაოდ ბევრი სახელმწიფო არსებობდა, რომელთა შორის



სიძლიერით გამოირჩოდნენ ჩინეთი, კორეის სამეფო, ინდოეთი, საქართველო, რუმის სასულთნო, ხორეზმის საყაენო და ირანი.



ჩინგიზ ყაენი

ცნობილია, რომ ჩრდილოეთ ჩინეთის შეერთების შემდეგ. ჩინგიზ ხანმა გადაწყვიტა შუა აზიის შეერთება, რომლის დიდი ნაწილი, როგორც ვიცით, ხორეზმის საყაენოს ეკავა. პირველ რიგში, თემურ ჩინმა გააგზავნა მისი სახელგანთქმული გენერალი დასავლეთში, რომელმაც 1218 წელს შემოიერთა კარახიტაის იმპერია, რის შემდეგაც ხორეზმის ჯერიც დადგა.

ხორეზმი (უზბეკ. Xorazm, სპარს. خوارزم) — შუა აზიის უძველესი რეგიონი ცენტრით ამუდარიის ქვემო დინებაში — ოლქი მიწათმოქმედების განვითარებული საირიგაციო სისტემით, ხელოსნობით და ვაჭრობით გამოირჩეოდა. ხორეზმზე გადიოდა დიდი აბრეშუმის გზა. III საუკუნის ბოლოს ხორეზმის დედაქალაქი იყო კიატი; X საუკუნის ბოლოს დედაქალაქი გადატანილ იქნა ურგენჩში.

ხორეზმის საყაენოს იმ პერიოდში საკმაოდ ძლიერი იყო და დიდი ტერიტორიებიც ეკავა. და ძლიერი ჯარიც ყავდა.


მიუხედავად ასეთი სიძლიერისა ხორეზმს, ისევე როგორც იმ დროს სხვა ძლიერ სახელმწიფოებს, ჰქონდათ დიდი პრობლემები, რის გამოც მათ ვერ მოახერხეს ძალების

მობილიზაცია და მონღოლთათვის წინააღმდეგობის გაწევა. ჩინეთი დაყოფილი იყო რამდენიმე ნაწილად და ამას ერთვოდა ისიც, რომ ბევრი მოლაღატე ტომი ცხოვრობდა ჩრდილოეთ საზღვრებთან. ინდოეთში დელის სულთანის გარდა არ არსებობდა სხვა ძლიერი პოლიტიკური ერთეული, საქართველო და რუმის სასულთნო კი მონღოლთა შემოსევისას ჯალალ-ად-დინისგან იყო დასუსტებული. ხორეზმის საყენო იმ პერიოდში საკმაოდ ძლიერი იყო და დიდი ტერიტორიებიც ეკავა, მეფეს კი სურდა ბრძოლა მონღოლებთან ჩინეთის დასაუფლებლად, მაგრამ მას ეშინოდა მისი სარდლების, რის გამოც ჯარის ერთად შეკრებაზე უარი განაცხადა და მონღოლებმა დიდი სირთულეების გარეშე გაანადგურა დანაწილებული საჯარისო ნაწილები.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ თავდაპირველად ჩინგიზ ყენს ხორეზმშაჰთან სურდა კავშირის შეკვრა, რაც გამოიხატა იმაში, რომ 1218 მან ელჩობა გააგზავნა ხორეზმში წინადადებით - კავშირი შეეკრათ, მას მეგობრობა და ვაჭრობა შესთავაზა, მაგრამ სინამდვილეში ეს მხოლოდ და მხოლოდ მზაკვრული გეგმის ნაწილი გახლდათ. ხორეზმშაჰი ალა ად-დინ მუჰამედ II-მ უარყო ეს წინადადება იმ მიზნით, რომ მონღოლები არ იყვნენ საიმედო პარტნიორები და ოტრარის მმართველის, კაირ ხანის წინადადებით ელჩი მოკლა, მის თანმხლებთ წვერი მოპარსა, ვაჭრები კი ჯაშუშობის ბრალდებით სიკვდილით დასაჯეს. ჩინგიზ ხანმა მოითხოვა კაირ ხანის გადაცემა, მაგრამ პასუხად მუჰამედმა კვლავ ჩამოახრჩო ერთ-ერთი ელჩი წარგზავნილთაგან. ჩინგიზ ხანი გაბრაზდა სტუმართმოყვარეობის წესის დარღვევის გამო და მონღოლთა ბელადი ამის შემდეგ პირდაპირ შეტევაზე გადავიდა. 1219 წლის გაზაფხულზე, ჯერ კიდევ არ ჰქონდა ჩინეთი დაპყრობილი ბოლომდე, ჩინგიზ ხანმა 200 ათასიანი ლაშქარი გაგზავნა ხორეზმში. ამ დროს ხორეზმელების ჯარი მათ ჯარს ორჯერ აღემატებოდა, მაგრამ ნაკლებად მობილიზებული და ცუდად გაწვრთნილი იყო. ხორეზმშაჰმა ვერ გაბედა გენერალური ბრძოლის გამართვა. მას არც კი გამოუცხადებია მობილიზაცია, მთელი თავისი ლაშქარი უცვლელად დატოვა სახელმწიფოს სხვადასხვა ქალაქებსა და ციხესიმაგრეებში გადანაწილებული მცირე-მცირე ჯგუფებად. ამის გამო ხორეზმის ყველა

მსხვილი ქალაქი ერთი მეორის მიყოლებით ეცემოდა მონღოლთა შემოტევისას. ზოგიერთი ქალაქის აღებას თვეები დაჭირდა, ზოგი კი მალე გაანადგურეს. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, მონღოლები მოსახლეობას პირდებოდნენ, რომ დანებების სანაცვლოდ, უვნებლად დატოვებდნენ ქალაქსაც და ხალხსაც. მიუხადავად მათი დაპირებისა, მონღოლები ყველას სასტიკად ექცეოდნენ, მოსახლეობის უმრავლესობას ჟლეტდნენ, ქალაქებს აოხრებდნენ და წვამდნენ. უამრავი წინააღმდეგობის მიუხედავად, ცნობილია, რომ 122- წლის 19 მარტს სამდღიანი ალყის შემდეგ ქალაქი დანებდა, რაც უშუალოდ ხელმძღვანელობის უნიათბის ბრალი იყო. ხორეზმშაჰმა გადარჩენილი ჯარის ნაწილებით, ჯერ თავის ირანულ სამფლობელოებს შეაფარა თავი, შემდეგ კი მცირე რაზმით გაიქცა კასპიისპირა ოლქში და გარდაიცვალა კუნძულ აბესკუნზე. ხორეზმშაჰების სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა.

ხორეზმ-შაჰის ვაჟი ჯალალ ად-დინ მანგუბერდი 1231 წლამდე აგრძელებდა ბრძოლას მონღოლთა წინააღმდეგ. მან ორჯერ გაანადგურა მონღოლთა არმია თანამედროვე ავღანეთის ტერიტორიაზე, მაგრამ დამარცხებულ იქნა თავად ჩინგიზ-ხანის მიერ მდინარე ინდთან. ამის შემდეგ ჯალალ ად-დინ მანგუბერდი გარდაიცვალა კავკასიაში. ხორეზმ-შაჰების უკანასკნელი მემკვიდრე ანუშტეგინიდების დინასტიიდან იყო საიფ ად-დინ კუტუზი, რომელმაც მცირე ხნით შეძლო 1259 წელს მოსულიყო ეგვიპტის ხელისუფლების სათავეში. მისმა ჯარებმა საბოლოოდ, შეძლეს შეეჩერებინათ მონღოლთა წინსვლა 1260 წელს აინ-ჯალუტის ბრძოლაში.




ხორეზმის იმპერია

1220 წელს ხორეზმი შევიდა მონღოლთა იმპერიაში, მოგვიანებით კი ჯუჩის ულუსში. ამ პერიოდში ხელახლა აშენდა ურგენჩი. ის გახდა ცენტრალური აზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი. ხორეზმულმა კულტურამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ოქროს ურდოს კულტურულ განვითარებაში.

ხორეზმმა მხოლოდ 1359 წელს შეძლო მონღოლთაგან დამოუკიდებლობის მოპოვება.

ასე რომ მონღოლთა არმიამ მოახერხა მანამდე არნახული სამხედრო ამოცანების განხორციელება. საინტერესო და აღსანიშნავია, რომ სულ რაღაც ერთ მილიონიანმა ხალხმა თითქმის ნახევარი მსოფლიო დაიპყრო, განადგურდა. რაც შეეხება ხორეზმს, მონღოლებს გადაურჩა მისი მხოლოდ სამხრეთი ნაწილი, რადგანაც მონღოლებმა არ გაილაშქრეს იქ და ამ მათ თავისუფალ ქალაქებად განაგრძეს არსებობა. მთლიანობაში ძალიან მძიმე შედეგი გახლდათ ხორეზმელებისთვის მონღოლების მიერ განხორციელებული ლაშქრობები, რომლებიც როგორც აღვნიშნე, უმძიმესი შედეგებით დასრულდა. ჩინგიზ ყაენის ჯარების თავდასხმების შედეგად, ხვარაზმელების სახელმწიფო საბოლოოდ დაიშალა, ხვარაზმი კი

ოქროს ურდოში მოექცა, რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო ცუდად გაწვრთნილი ჯარის ნაკლები მობილიზაციით.



მონღოლთა ბრძოლის ტაქტიკა

ხატია ნონიაშვილი

## ჯაჰან შაჰის პირველი ლაშქრობა საქართველოში




ჯაჰან შაჰი, სალვატორ როზას ნახატი

XV საუკუნის მეორე ნახევრიდან, რომელიც გარდამტეხ პერიოდად ითვლება საქართველოს ისტორიაში, საქართველოში მძიმე შიდაარეულობები მიმდინარეობდა და ამას ემატებოდა სამხრეთიდან გამეზობლებული შავბატკნიანთა (ყარა-ყოიუნლუ) და თეთრბატკნიანთა (აყ-ყოიუნლუ) ირანის შემოსევები. შავბატკნიანთა გამგებელი ჯაჰან-შაჰი (1435-1467) 1440/41 და 1444 წლებში ლაშქრობს საქართველოში. ამ შემოსევებთან დაკავშირებით სპარსელი ისტორიკოსი იაჰია იბნ ' აბდ ალ-ლატიფ ყაზვინი (- 1555) საკუთარ ნაშრომში „ლუბ-ალ თავარიხში“ აღნიშნავს, რომ ჯაჰან შაჰი ლაზავათის ანუ წმინდა ომის (ჯიჰადის) სახელით მოქმედებდა . იგი აღნიშნავს : „1440 წელს ის [ჯაჰან შაჰი] გაემართა საქართველოში ლაზავათისთვის და დაიპყრო“. „შაჰმა აუარებელი განძი ჩაიგდო ხელში,

საქართველოს ქვეყნიდან დაახლოებით 30 000-მდე [კაცი] დაატყვევეს და აზერბაიჯანში დააბრუნეს“ . ჯაჰან-შაჰამდე შავბატკნიანთა ლაშქრობებს აქტიურად აწარმოებდნენ მისი პაპა - ყარა იუსუფი (1389-1420) და მამა - ისკანდერ შაჰი (1420-1438), მაგრამ ჩვენ მხოლოდ ჯაჰან შაჰის შემოსევაზე გავაკეთებთ აქცენტს. ვინაიდან 1440 და 1444 წლების ლაშქრობაზე გვაქვს საუბარი, უსათუოდ შევეხებით ალექსანდრე I-ისა (1412-1442) და ვახტანგ IV-ის (1442-1446) გმირულ მეფობას. საუბარი დავიწყეთ 1440 წლის შემოსევიდან, რომელზეც ცნობებს გვაწვდის ფრანგი მეცნიერი მარი ბროსე, სომეხი მემატიანე თოვმა მეწოფეცი, ვახუშტი ბაგრატიონი და სპარსი ისტორიკოსები (ამ უკანასკნელთა მოსაზრებები და ცნობები, უფრო ვრცლად, ქვემოთ არის განხილული). ისტორიკოსი ლ. თავაძე საკუთარ სტატიაში წერს, რომ მ. ბროსემ თ. მეწოფეცისა და ვ. ბაგრატიონის ცნობები ერთმანეთს შეადარა. იგი წერს, რომ ბროსეს დაკვირვებით და გამოკვლევით, მეწოფეცის ცნობები არანაირი თვალსაზრისით (ქრონოლოგიური და ფაქტოლოგიური) არ შეესაბამება ვახუშტის ცნობებს. ამ საკითხთან დაკავშირებით, ყველა ჩამოთვლილი ინფორმაციის შეჯამებით, მყარ დასკვნასა და ანალიზს აკეთებს ივანე ჯავახიშვილი, რომელიც 1440 წლის ლაშქრობის განხილვისას მეწოფეცის ცნობას ეყრდნობა, ხოლო 1444 წელზე კი ვახუშტის. ჯავახიშვილი პირველ ლაშქრობასთან დაკავშირებით სომეხი ისტორიკოსის სიტყვებს იყენებს. „საქართველოს დიდი უბედურება დაატყდა თავზე: თავრიზის მეფე და მფლობელი ჯეჰან შაჰი თავისი ლაშქრითურთ და არდაველის მთავრისა, ყადიებისა და მუდარისების თანხლებით საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებულა“. ჯაჰან შაჰმა საქართველოში შემოსვლამდე ალექსანდრე „დიდს“ მაცნე გაუგზავნა, უბრძოლველად დანებება, დამორჩილება და ხარკის გადახდა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში აოხრებას აღუთქვანდა. შაჰმა საქართველოს მეფისგან აი ეს პასუხი მიიღო, რომ „აგარის ნათესავნი, მტერნი და წინააღმდეგნი ქრისტიანეთანი, სამარადისოდ ლტოლვილ და უკუნეცეულ იყვნენ“. ეს შაჰის წინადადებაზე პირდაპირი და მტკიცე უარი იყო. განრისხებული შაჰი დიდძალი ამალით შემოესია საქართველოს. ქართველებისთვის მტრის გამოჩენა მოულოდნელი და შემზარავი იყო, რადგანაც ისინი აღდგომის დღესასწაულს ზეიმობდნენ.

ჯაჰან შაჰმა ამ უწმინდეს დღესასწაულზე დიდი ზიანი მიაყენა მათ. მტერს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და დიდი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, სამშვილდე შავბატკნიანებს ჩაბარდა. შაჰმა გამარჯვების აღსანიშნავად 1664 კაცს მოაჭრა თავი, ამ თავებისგან კარიბჭის წინ მინარა დაადგმევინა და თბილისისაკენ დაიძრა. ამ მძიმე ფაქტის შესახებ არსებობს ცნობა, რომ „ჯაჰან შაჰმა ალბათ თავისი გამარჯვების სახსოვარ ძეგლად სამშვილდის კარებწინ 1664 მოჭრილი თავისაგან მინარა დაადგმევინა. მარტო ტყვეთა რიცხვი ამ ქალაქის დაპყრობის დროს 9400 უდრიდაო. მთელი სანაპირო ქვეყანა ამის შემდგომ მტრისაგან აოხრებული და აკლებული იყო“. ჯაჰან შაჰმა თბილისიც აიღო და იქც საშინელი ჟლეტა მოაწყო. ამ მძიმე ფაქტის შესახებ თ. მეწოფეცი გადმოგვცემს, რომ „მტერს ყველა ეკლესიები, ძველიც და ახალიც, სულ მთლიანად დაენგრიოს. დაპყრობილს ადგილებში მტერმა ისეთი საშინელი სიმკაცრე და სიმხეცე გამოიჩინა, რომ თავზარდაცემულს ხალხს არ სცოდნია სად შეეფარებინა თავი“.




*შავბატკნიანთა ირანის დროშა*

ლაშქრობის თარიღად 1447 წელიც არის მოხსენიებული, მაგრამ საბოლოოდ იმისათვის, რომ 1440 წელს ჯაჰან შაჰის საქართველოში შემოსვლა დავადასტუროთ, საჭიროა მოვიშველიოთ სეფიანთა დინასტიის კარის ისტორიკოსის - ყაზი აჰმედ ლაფარი ყაზვინის ცნობა, რომელიც გვამცნობს, რომ აზერბაიჯანში ვერცერთი ვერ გადაურჩა ჯაჰან შაჰის რისხვას, ხოლო იქიდან ჰიჯრით 851 წელს (1447 წ.) გადავიდა და დალაშქრა საქართველო.



ყაზვინის ეს ცნობა ერთადერთია, სადაც ჯაჰან შაჰის საქართველოში ლაშქრობა განსხვავებული თარიღით ფიქსირდება. აქ, ამჟამად, ავტორის არაზუსტი წყაროა დამნაშავე, რომლის საფუძველზეც მიიღო ეს დასკვნა. სხვა ყველა სომხური და ამავდროულად აღმოსავლური წყარო ჰიჯრით 844 წელს (1440 წ.) ასახელებს. ლ. თავაძეს წყაროთა ეს გაანალიზება შესანიშნავად აქვს გადმოცემული ჩვენს მიერ დამოწმებულ მის ნაშრომში. ყაზვინის შეცდომას ნათლად განმარტავს და ჭეშმარიტ დასკვნას დებს ჰაფეზ ჰუსეინ კარბალაი. ეს უკანასკნელიც იმავე მოვლენას იმეორებს, მაგრამ აზერბაიჯანში შაჰის შესვლას და ხოცვა-ჟლეტას ჰიჯრით 844 წლით (1440 წ) ათარიღებს (როგორც უმეტესობა მემატინეებისა). ხოლო 851 წლით (1447 წ), რომელიც ყაზვინმა შეცდომით შავბატკნიანთა მბრძანებლის საქართველოში შემოჭრის თარიღად გამოაცხადა, ჯაჰან შაჰის დიარბაქირში თავისი ძმიშვილის, ალვენდის წინააღმდეგ გალაშქრებას ათარიღებს. ასევე სეფიანთა კარის ისტორკოსი - იუსუფ ვალეჰ ისპაფანიც ადასტურებს 844 წელს (1440 წ) აზერბაიჯანსა და საქართველოში ჯაჰან-შაჰის ლაშქრობას.



შავბატკნიანთა ირანი

ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ სპარსელი ისტორიკოსების უმეტესობა ლაშქრობის თარიღად 1440 წელზე თანხმდება, რაც ჩვენც ჭეშმარიტად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ მათი ეს ცნობები საკმაოდ გაზვიადებულია (ამას ვრცლად და არგუმენტირებულად წერს ლ. თავაძეც), რაც აღმოსავლურ მუსლიმურ წყაროთა გადმოცემებში გასაკვირი არცაა. ჯაფერ-ი მუჰამედ ელ-ჰუსეინი გადმოგვცემს : „ყარა იუსუფის შვილის ემირ ჯაჰან შაჰის საქართველოს მხრისაკენ წამოსვლის და ამ ქვეყნის დაპყრობის გადმოცემა„ ამავე წელს (1440) ემირ ჯაჰან შაჰი კარგად შეიარეღებული ჯარით აზერბაიჯანიდან საქართველოსკენ გამოემართა. ყარსის შემოგარენში 2-3 დღე დაბანაკების შემდეგ საქართველოს მიაღწია და ყოველ მხარეს შეესია. სამლოცველოები დაანგრია და კერტინის ციხე ხელში ჩაიგდო. თბილისის შემოგარენში მოვიდა და თბილისის მოსახლეობას ჯიზია დაუწესა. ქართველი ურწმუნოებიდან ძალიან ბევრი ხმლით განგმირა, მიწაზე დაყრილები ჯოჯოხეთის უკიდევანო უფსკრულში გააგზავნა. აუარებელი განძი ხელში ჩაიგდო, საქართველოს ქვეყნიდან დაახლოებით 30 000-მდე (კაცი) დაატყვევეს და აზერბაიჯანში დაბრუნდნენ“. ელ-ჰუსეინი ამით ადასტურებს, თუ რა სისასტიკე ჩაიდინეს შავბატკნიანებმა საქართველოსთან მიმართებაში.

რატომ არ ჩანს ეს მონაკვეთი და ჯაჰან შაჰი „ქართლის ცხოვრების ალექსანდრე მეფის მოღვაწეობის აღწერაში“? „ქართლის ცხოვრების საქართველოს ძველი ისტორიის ნაწილში (ბაგრატიონთა მეფობა)“, კერძოდ კი მეფე ალექსანდრეს განხილვისას, ჯაჰან-შაჰის სახელი ბაგრატ VI-ის მმართველობის აღწერამდე საერთოდ არ ფიქსირდება, რასაც უდაოდ გარკვეულ შეცდომასთან მივყავართ, რადგანაც ბაგრატი ტახტზე 1442 წელს ადის და მანამდე, 1440 წელს, ჯაჰან შაჰს უკვე დარბეული აქვს სამშვილდე და თბილისი.

სანამ „ქართლის ცხოვრებაში“ ჯაჰან-შაჰის შესახებ ვისაუბრებდეთ, მოკლე გადახვევა გავაკეთოთ და ავღნიშნოთ ისიც, რომ მეფე ალექსანდრეს, სამეფოს მოძლიერების დროს, კათოლიკურ სამყაროსთანაც კარგი ურთიერთობა გააჩნდა, რასაც მოწმობს „ქართლის ცხოვრებაში“ გადმოცემული შემდეგი სიტყვები : „ხოლო მაშინ ვინაძთგან დაემშვიდნეს

ყოველნი თვისნი ქუეყანანი, შემოიკრიბნა კათალიკოზ-ეპისკოპოზნი და ყოველნი დიდებულნი და წარჩინებულნი, ერთისთავთ-ერისთავნი, ერისთავნი და განიზრახა მათ თანა აღშენებისათვის კათოლიკე ეკლესიისა მცხეთისა...„. იმ დროს კათოლიკურ სამყაროსთან ქართველების ურთიერთობას საკუთარი ახსნა უნდა მოეპოვებოდეს, რომელიც ძირითად შემთხვევაში მუსლიმთა წინააღმდეგ მოკავშირეობით იქნებოდა გამოწვეული.

ალექსანდრეს ზეობის პერიოდში ქართლის ცხოვრებაში შავბატკნიანებიც არ იხსენიებიან. ვახუშტი კი იხსენიებს სპარსელებს, მაგრამ აქ არა ყარა-ყოიუნლუს, არამედ თემურ-ლენგის დაშლილ და დასუსტებულ იმპერიას გულისხმობს, რასაც ამტკიცებს შემდეგი ამონარიდი: „ხოლო აქამომდე ვინადთგან სპარსეთი იყო უმეფო და მრავლად განყოფილი, არამედ წელსა ქსა ჩუღ ქართულსა რიჭ გამოჩნდა კაცი შარუხ...“. ამ უკანასკნელში იგულისხმება შახრუხი (1405-1447), თემურ-ლენგის ვაჟი, რომელიც იმ დროს თემურიანთა დაშლილი იმპერიის საზღვრების შენარჩუნებით იყო დაკავებული.



*ალექსანდრე დიდის ფრესკა ნახაბტევის ეკლესიაში*

პასუხი იმაზე, თუ რატომ არ იხსენიება ქართლის ცხოვრებაში ალექსანდრე მეფის ზეობის აღწერაში ჯაჰან შაჰი, საკმაოდ დამაფიქრებელია. შეიძლება ვივარაუდოდ, რომ ამის შესახებ არ

დაწერილა, ან იმ დროის უცნობმა ისტორიკოსებმა აღნიშნეს, მაგრამ სამწუხაროდ დაიკარგა/განადგურდა, ან არსებობს და ჯერ გამოუკვლეველია. მიუხედავად ამისა ეს ჩვენთვის პრობლემას არ წარმოადგენს, რადგანაც ამის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიას უკვე გააჩნია სომხური და უცნობი ავტორების აღმოსავლური წყაროები, რომლებიც გამოიკვლიეს და ძირეული სახე მისცეს ქართველმა ისტორიკოსებმა და აღმოსავლეთმცოდნეებში, რომელთა ნაშრომების საფუძველზეც გადმოვეცით აღნიშნული ინფორმაცია.



ალექსანდრე I „დიდის“ ხელოვნება

გიორგი ახალკაციშვილი

## უზუნ-ჰასანი და მისი ლაშქრობები საქართველოში

უზუნ-ჰასანი იბნ ალი იბნ ყარა-იოლუქ ოსმანი დაიბადა 1423 წელს დიარბექირში. 1453 წელს გახდა აყ-ყოიუნლუს ანუ თეთრბატკნიანთა სახელმწიფოს მეთაური, ხოლო მოგვიანებით მმართველი იმპერიისა, რომელიც მოიცავდა დღევანდელი თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ერაყის, ირანის და სირიის ტერიტორიების დიდ ნაწილს. ის ამ ფართო იმპერიას განაგებდა გარდაცვალებამდე.

ამ ტერიტორიაზე თეთრბატკნიანთა და შავბატკნიანთა ბატონობა უკავშირდება თემურ-ლენგს, რომელმაც დიარბექირის გამგებლად დანიშნა უზუნ-ჰასანის დიდი პაპა, ყარა-იოლუქი. დიარბექირის მხარეში, ამ დროს შედიოდა ქალაქები: ერზინჯანი, მარდინი, რუჰა და სივასი. მოგვიანებით, ადარბადაგანის ტერიტორია გაიყო ორ თურქმან მმართველზე, ერთი იყო ჯაჰან შაჰი ყარა-ყოიუნლუს ანუ შავბატკნიანთა ტომიდან, ხოლო მეორე კი- უზუნ-ჰასანი. ოცწლიანი ბრძოლის შემდეგ, უზუნ-ჰასანმა შეძლო ჯაჰან შაჰის დამარცხება. ამ უკანასკნელის დამარცხებისთანავე გამოჩნდა თემურიანი მმართველი, აბუ საიდ მირზა, რომელმაც უპასუხა ჯაჰანის შვილის თხოვნას უზუნ-ჰასანის წინააღმდეგ საბრძოლველად დახმარების შესახებ. აბუ საიდ მირზამ დაიკავა ჯაჰან შაჰის სამმართველო ტერიტორიების დიდი ნაწილი და ომი გამოუცხადა უზუნ-ჰასანს მიუხედავად უზუნ-ჰასანის მიერ შეთავაზებული მშვიდობისა. უზუნ-ჰასანმა აბუ საიდ მირზა დაატყვევა ყარაბაღის ბრძოლაში, რის შემდეგაც იგი სიკვდილით დასაჯა მუჰამედ მირზამ, საკუთარმა მამამ და თემურ-ლენგის შვილიშვილმა.

უზუნ-ჰასანი გაბატონდა შავბატკნიანთა სამფლობელოებზეც, რამაც მკვეთრად გაზარდა მისი ავტორიტეტი არა მარტო რეგიონში, არამედ ევროპულ მონარქთაშორისაც. მან დაამყარა დიპლომატიური კავშირები მოსკოვთან, ბურგუნდიასთან, პოლონეთთან, ეგვიპტესთან და სამხრეთ ანატოლიის ყარამანიდეების დინასტიასთან.

ის იყო გამორჩეული სარდალი და პოლიტიკოსი, იგი მუდმივად ებრძოდა ყარა-ყონლუს თურქმანებს, რომელთა ლაშქარიც დაამარცა 1467 წელს, ბოლო მოუღო მათ სახელმწიფოს და თავის სატახტო ქალაქად თავრიზი გამოაცხადა.



უზუნ-ჰასანი

უზუნ-ჰასანის მიზანს წარმოადგენდა ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება, რისთვისაც ის ეწეოდა საამშენებლო საქმიანობას, ცდილობდა გადასახადების მოწესრიგებას. უზუნ-ჰასანის ფიზიკურ მახასიათებელზე მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ამბროჯო კონტარინი თავის ნაშრომებში. გარდაცვალებამდე უზუნ-ჰასანი ასეთი ყოფილა: მაღალი, თხელტანიანი, სასიამოვნო სახის გამომეტყველებით, ელჩი წერს, რომ ჰასანი დაახლოებით 70 წლის ასაკის ადამიანს ჰგავდა. ის ასევე წერს მის ზრდილობიან მანერებზე და აღნიშნავს, რომ მის გარშემო ყველასთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა და ესაუბრებოდა მათ, როგორც ნაცნობებს. იტალიელი ელჩი აღნიშნავს, რომ მისი სახელი „მაღალს“ ნიშნავს, მაგრამ, ამავე დროს, ის არის ძალიან გამხდარი. კონტარინიმ ასევე აღნიშნა, რომ უზუნ-ჰასანის იმპერია იყო ძალიან ვრცელი, შემოსაზღვრული იყო თურქეთითა და ყარამანიით (ვრცელდებოდა ალექსანდრე, რომელიც ეკუთვნოდა სულთანს. ეკატანასა და თავრიზში იყო უზუნ-ჰასანის საყვარელი რეზიდენციები, სადაც ყველაზე მეტ დროს ატარებდა. მისი იმპერიის შორეული

ქალაქები იყო პერსეპოლისი და შირაზი, რომლებიც თავრიზიდან 24 დღის სავალზე იმყოფებოდა.

უზუნ-ჰასანს ჰყავდა შვიდი ვაჟი ოთხი ცოლისგან. ვაჟთაგან აღსანიშნავია მუჰამად ოღურლუ, რომელიც მამამისს აუჯანყდა. უფროსი ვაჟი ხალილ მირზა იყო შირაზის გამგებელი. იტალიელი ელჩის ცნობით, უზუნ-ჰასანს საპყრობილეში ჰყავდა მისი ერთ-ერთი ვაჟი –მასუდ ბეგი, რადგან იგი ამხილა აჯანყებული ძმის მხარდაჭერაში, ხოლო შემდეგ სიკვდილით დასაჯა. განსაკუთრებით აღსანიშნავია უზუნ-ჰასანის ქალიშვილის, მართას უმცროსი ვაჟი, ისმაილი, რომელმაც შემდგომში სეფიანთა იმპერიას ჩაუყარა საფუძველი.

უზუნ-ჰასანის, პირველი თეთრბატკნიანი სულთნის, მოღვაწეობაში აღსანიშნავია მისი ლაშქრობები საქართველოში, რაც საკმაოდ მრავალფეროვანია და რამაც დიდი სიმდიდრე მოუტანა აყ-ყოიუნლუს გამგებელს.

მისი ლაშქრობები საქართველოში მიმდინარეობდა მე-15 საუკუნის 50-70-იან წლებში, ამ ლაშქრობების შესახებ მოიპოვება როგორც ქართული, ასევე არაბული, სპარსული და იტალიური წყაროები. უზუნ-ჰასანის საქართველოში ლაშქრობების რაოდენობასთან დაკავშირებით გვხვდება განსხვავებული მოსაზრებები. მაგ. „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებაში და ვახუშტი ბატონიშვილთან მისი მხოლოდ ერთი შემოსევაა ნახსენები. ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, უზუნ-ჰასანმა ორჯერ ილაშქრა საქართველოში. რ. კიკნაძის მითითებით, მან ილაშქრა სამჯერ. ვალტერ ჰაინცის მიხედვით, კი საქართველო თეთრბატკნიანთა მმართველმა ხუთჯერ დალაშქრა, ხოლო თანამედროვე ქართველი მკვლევარი და თურქოლოგი, მირიან მახარაძე, მის ექვს ლაშქრობას გამოჰყოფს.

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აზრთა სხვადასხვაობა არა მხოლოდ ლაშქრობათა რაოდენობასთან დაკავშირებითაა, არამედ მისი პირველი ლაშქრობის თარიღზეც. ივანე ჯავახიშვილი პირველი ლაშქრობის თარიღად მიიჩნევს 1462 წელს, ჰასან რუმლი 1458 წელს და ა. შ.

ჯ. ვუდსის მიხედვით, საქართველოს წინააღმდეგ თეთრბატკნიანთა ფადიშაჰმა განახორციელა სამი ლაშქრობა. აბუ ბექრ თეჰრანის ცნობით, უზუნ-ჰასანის პირველი ღაზავათი („სადვთო ომი“) საქართველოს წინააღმდეგ 1458 წელს დაიწყო და ამ ომის ფარგლებში მან შეუტია სამცხე-საათაბაგოს. საქართველო უზუნ ჰასანისთვის წარმოადგენდა ურწმუნო ქრისტიანების ქვეყანას და მისთვის ასეთ ქვეყანაზე თავდასხმა დიდების მოპოვებისათვის გადადგმული მთავარი ნაბიჯი იყო, რითიც მას სურდა მოეპოვებინა ღაზის („ისლამისთვის მებრძოლი მმართველის“) სახელი. ამ ლაშქრობაში თეთრბატკნიანთა ფადიშაჰის მიზანს სახელის მოხვეჭასთან ერთად ალაფის, ტყვეებისა და ტერიტორიების დაკავება წარმოადგენდა.

სამცხის დედაქალაქ ახალციხის, აღებასთან ერთად მან ხელში ჩაიგდო რამდენიმე ქართული ციხე, მათ შორისაა სამკარის ციხე. დატყვევებულ ქართველთა ერთი ნაწილი გაყიდეს, მეორე ნაწილმა ისლამი მიიღო და გაათავისუფლეს, ხოლო დანარჩენები კი მონებად აქციეს.

პირველი წარმატებული ლაშქრობის შედეგად უხვი ნადავლით დატვირთული თეთრბატკნიანები ერზრუმში დაბრუნდნენ, ხოლო უზუნ-ჰასანი ამიდში, კიშლაკში განმარტოვდა.

უზუნ-ჰასანის შემდგომი ლაშქრობა საქართველოში 1462 წელს განხორციელდა. ცნობების თანახმად ეს სამხედრო კამპანია მან სამცხის ათაბაგ ყვარყვარე ჯაყელის თხოვნით აწარმოა. სამცხის მთავარი ყვარყვარე აჯანყდა გიორგი VIII-ის წინააღმდეგ და წამოიწყო ომი. სწორედ ამ ომში დამხმარედ მოიწვია მან უზუნ-ჰასანი, ხოლო სანაცვლოდ კი დაჰპირდა მოკავშირეობას. ამ პერიოდში ქართველმა მეომრებმა საათაბაგო დაიკავეს და სასტიკი ფორმებით კრეფდნენ ხალხისგან მძიმე გადასახადებს, ამ ვითარების საპასუხოდ უზუნ-ჰასანმა 1463 წელს თვისი სარდლების დრევიშ-ბეისა და თემურ-ბეის მეთაურობით ლაშქარი გაგზავნა, ხელში ჩაიგდო ახალციხე და დამოუკიდებელი ადგილობრივი მმართველობა გადასცა ყვარყვარე ათაბაგს. თეთრბატკნიანი სარდლები მხოლოდ ამით არ



დაკმაყოფილდნენ, ისინი თავს დაესხნენ ბაგრატიდთა სომხეთს, ქართლს (თბილისს), გაძარცვეს და უკან დაბრუნდნენ.

რაც შეეხება ცნობებს უზუნ ჰასანის მეორე ლაშქრობის შედეგების შესახებ, ამბროჯო კონტარინის მოგზაურობის აღწერა ამტკიცებს, რომ უზუნ-ჰასანს დაკავებული ჰქონდა სომხეთი და ლორეს ციხე, ეს ფაქტი კი გვაფიქრებინებს, რომ უზუნ-ჰასანი ყვარყვარეს დასახმარებლად მართლაც შემოვიდა საქართველოში და სწორედ ამ პერიოდიდან ლორეს ციხეში ჩააყენა თავისი მეციხოვნეები, ხოლო ლორეს მთელი ველი თავის მმართველობის ქვეშ მოაქცია.

უცხოური წყაროების თანახმად, ათაბაგებმა, რომლებმაც თავისუფლება თეთრბატკნიანების დახმარებით მოიპოვეს და თავი დააღწიეს ბაგრატიონთა მმართველობის ქვეშ ყოფნას, გადასახადების გადაუხდელობის მიზეზითა და სხვა ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო განარისხეს უზუნ-ჰასანი, რამაც გამოიწვია მისი მესამე ლაშქრობა საქართველოში.

მესამე ლაშქრობის თარიღად დასახელებულია 1466 წელი. ის შეიჭრა ქართულ მიწებზე, ალყა შემოარტყა ჩამქარის ციხეს და შემდგომ დაიმორჩილა. ამასთანავე თურქმანმა მმართველმა თავის მეომრებს გააძარცვინა მიმდებარე ტერიტორიები, დიდძალი ნადავლი ჩაიგდო ხელში და ქართველების მიერ დატყვევებული მუსლიმები გაათავისუფლა.

რაც შეეხება მის შემდგომ ლაშქრობას, მან მეოთხე ლაშქრობა საქართველოში თერჯანის ბრძოლის წინ განახორციელა. ეს შემოსევა ჰასან რუმელუს ცნობით, დათარიღებულია 1470 წლით. ის გადმოგვცემს, რომ „თავრიზში ერთი თვის ყოფნის შემდეგ დიდი ამირები, როგორებიც იყვნენ მოჰამედ ბეგი, სულეიმან ფანდუკი და ბაინდურ ბეგი, ორი ათასი მხედრით თბილისისა და სომხეთის ქვეყნებისაკენ გაგზავნა, რათა დაეპყროთ და დაემორჩილებინათ ეს ვილაიეთები“.

ამ ლაშქრობიდან მალევე, 1472 წელს, უზუნ ჰასანი კვლავ გამოემართა საქართველოსკენ, დაიპყრო და დაარბია მრავალი ციხე-სიმაგრე და აიძულა ბაგრატი

გადაეხადა გადასახადი ერთ სულ მოსახლეზე. მას მორჩილება გამოუცხადეს ალექსანდრემ, კონსტანტინემ და ზოგიერთმა სხვა მმართველებმა, ხოლო ბაგრატ მეფე მას აუჯანყდა, რის შედეგადაც ჰასანმა მის მიერ ხელში ჩაგდებული ყველა ციხე კონსტანტინეს და ალექსანდრეს გადასცა, ხოლო თბილისის გამგებლობა ამირა ხალილ ბეგს ჩააბარა.

ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, ბაგრატმა ელჩი გაუგზავნა ჰასანს და საჩუქრად მიართვა 19 მისყალი ბადახში და 12 მისყალი ლალი, სანაცვლოდ ბაგრატი ითხოვდა სამეფოსა და მმართველობის დაბრუნებას, თუმცა უზუნ ჰასანი არ დაეთანხმა და საჩუქრები უკან დაუბრუნა. ამ ლაშქრობიდან ის სამშობლოში დაბრუნდა დიდძალი ნადავლით, რაც მოიცავდა ნამარცვ ქონებას, განძს, პირუტყვსა და 3000 ტყვეს.

ამ პერიოდიდან მოყოლებული 1477 წლამდე საქართველომ დაისვენა უზუნ ჰასანის თავდასხმებისგან. თუმცა იგი ემზადებოდა სასტიკი თავდასხმისთვის, მაგრამ არა პირდაპირ. ის ხმებს ავრცელებდა, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ აპირებდა გალაშქრებას. 1477 წლის საქართველოში ლაშქრობის საბაზი გახდა ქართველების მიერ დახმარებაზე უარის გამოცხადებამაშინ როცა ჰასანი ებრძოდა თურქ-ოსმალებს.

უზუნ-ჰასანის ლაშქარი შედგებოდა 20000-24000 ცხენოსანი ჯარისკაცისგან და 11000 ქვეითისგან. მან ქართველების თვალის ასახვევად თავისი ლაშქართურთ 7 დღის განმავლობაში იარა სხვა გზითა და მიმართულებით, შემდეგ კი პირი იბრუნა საქართველოსკენ და შეესია.

თეთრბატკნიანთა ლაშქარს წინ მიუძღოდა 5000 მხედარი, 2 დღის შემდეგ მიადგნენ თბილისს და უბრძოლველად დაიკავეს. ხალხის მიერ მიტოვებული ადგილების აღება უზუნ-ჰასანისთვის მეტის მომცემი გახდა და მან, ასევე, უბრძოლველად აიღო გორი და მისი მიდამოებიც. გორისა და თბილისის ალების შემდეგ სპარსეთის ფადიშაჰმა მოლაპარაკებები დაიწყო საქართველოს მეფე ბაგრატთან და მის მეზობელ ყუარყუარე ათაბაგთან. უზუნ ჰასანმა მათგან მოითხოვა 16000 დუკატისანაცვლოდ კი მთელი ქვეყნის დაცლას დაჰპირდაგარდა თბილისისა. თუმცა ქართველებმა, თავდაპირველად, მისი ეს მოთხოვნა ვერ შეასრულეს, რის

გამოც უზუნის ჯარი სწრაფად გადავიდა დაპყრობით მოქმედებაზე. საბოლოოდ კი მან მხოლოდ მაშინ დაანება საქართველოს მიწა-წყალს თავი და წავიდა, როდესაც მიიღო 16000 დუკატი და, ასევე, ქართველებმა იკისრეს ყოველწლიური ხარკის გადახდა, თუმცა მისი ოდენობის შესახებ ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

საქართველოში უკანასკნელი ლაშქრობიდან უკან დაბრუნების შემდეგ უზუნ-ჰასანი ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა. იმდენად მძიმე იყო მისი მდგომარეობა, რომ სახელმწიფო საქმეებს ვეღარ უძღვებოდა. თუმცა მან თავის ვაჟ ხალილს გადასცა ბრძანებები.

1478 წლის 5-6 იანვრის ღამეს უზუნ-ჰასანი 54 წლის ასაკში გარდაიცვალა. თავისი ანდერძის შესაბამისად ის თავრიზში, ნასრიეს მედრესეში დაასაფლავეს.

რაც შეეხება მის ლაშქრობებს, ამან დიდი გავლენა მოახდინა საქართველოზე და დაამძიმა მისი პოლიტიკური მდგომარეობა. ქვეყანაში მიმდინარე შემდგომმა მოვლენებმა კი უფრო ნათლად დაადასტურა, რომ უზუნ-ჰასანის შემოსევები და განსაკუთრებით 1477 წლის შემოსევა იყო საქართველოს დაშლის ერთ-ერთი მიზეზი.

*სოფო მოლაშხია, არჩილ ცარაბაია*

## შუა აზიის სოციეტიზაცია

რუსეთის იმპერია, ერთი შეხედვით, უნიტარული სახელმწიფო იყო. შუა აზიის ტერიტორიაზე უშუალოდ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში თურქესტანის გენერალ-საგუბერნატორო შედიოდა. ბუხარას საამირო და ხივის სახანო, მართალია ფორმალურად დამოუკიდებლები იყვნენ და ამ ორ სახელმწიფოში მმართველობის ფორმა აბსოლუტური მონარქიული იყო, რუსეთის იმპერატორს უფლება ჰქონდა ჩარეულიყო ამ ორი სახელმწიფოს შიდა საქმეებში, აღარაფერს ვამბობთ საგარეო პოლიტიკის წარმართვაზე.

ცენტრალური აზიის გასაბჭოების ისტორია რუსეთის იმპერიაში 1917 წლის მარტის რევოლუციის თანადროულად იწყება. ცხადია, იმპერიის დაშლას აქაც დიდი სიხარულით შეხვდნენ. განსხვავებით სხვა სახელმწიფოებისა, როგორც საბჭოთა კავშირის დაშლის, ისე მისი შექმნის პროცესი, ცენტრალურ აზიაში რიგი ეთნიკური პროცესების ფონზე მიმდინარეობდა, ამასთან, ცენტრალურ აზიაში იმ დროს განსხვავებული პოლიტიკური ერთეულები არსებობდა და მოსახლეობის ეთნიკური გადანაწილება საერთოდ არ ემთხვეოდა პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ დაყოფას. „1917 წლის 7-11 სექტემბერს ტაშკენტში (თურქესტანის დედაქალაქი – ნ.ს.) გამართულ მუსლიმანთა II სამხარეო ყრილობაზე ნაციონალურმა დემოკრატებმა პირველად გააჟღერა თავისი მოთხოვნები: ყრილობა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებისათვის ხელისუფლების გადაცემის წინააღმდეგ გამოდიოდა, რადგან ამ საბჭოებში ძირითადად რუსი ეროვნების დეპუტატები გაერთიანდნენ, რომელთა უმეტესობას ბოლშევიკები შეადგენდნენ“. მიუხედავად ამ წინააღმდეგობისა, 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, ისევე როგორც რუსეთში, ბოლშევიკებმა თურქესტანშიც იოლად შეძლეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და შეიქმნა სახალხო კომისართა საბჭო ფ. კოლოსოვიტ სათავეში.

მიუხედავად ამისა, ადგილობრივმა მუსლიმებმა და ნაციონალისტებმა, პარტიზანული ბრძოლა დაიწყეს. ეს პირველ რიგში ადგილობრივ მოსახლეობის ტრადიციებთან

შეუფერებელი წესების დამკვიდრების მცდელობამ გამოიწვია. ასეა თუ ისე, ბოლშევიკები ნელ-ნელა იმყარებენ პოზიციებს და იწყებენ მხარის მომავალი მოწყობის შესახებ მსჯელობას. 1920 წლის გაზაფხულზე, მას შემდეგ რაც საბჭოთა ხელისუფლებამ აქ სამეურნეო მიწის საკითხი წამოჭრა, შეიარაღებული გამოსვლები კვლავ განახლდა, რასაც თეთრგვარდიელთა ნარჩენებიც მიემხრნენ. თუმცა, აღნიშნული წინააღმდეგობა ზაფხულის შუა რიცხვებში განადგურებულ იქნა.

შუა აზიის სრული ოკუპაციისათვის ბოლშევიკებს უნდა დაეპყროთ ბუხარას საამირო და ხივის სახანო. მართალია, საბჭოთა ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 1917 წლის ნოემბერში სცნო ორივე სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, თუმცა, ცხადია, ეს არაფერს ნიშნავდა.

გასათვალისწინებელი ფაქტორია, რომ ხივის სახანოს პოლიტიკური ვექტორი თეთრგვარდიელებისკენ გადაიხარა, რომლებიც 1919 წლისთვის ჯერ კიდევ წარმოადგენდნენ რაიმე ძალას და შეეძლოთ წინააღმდეგობა გაეწიათ წითელი რუსეთისათვის. ხივის სახანოში პროცესები ისე წარიმართა, როგორც მოსკოვში აწყობდათ. ჯუნაიდ-ხანის პოლიტიკა, რომელიც, თეთრი მოძრაობის შესუსტების ფონზე, დაკნინებისკენ წავიდა, აღარ აკმაყოფილებდა ხალხს და ეტაპობრივად გაჩნდნენ კომუნისტური დაჯგუფებები. ნაცადი ტაქტიკით, ხივიში ჩამოყალიბდი რევკომი, რომელმაც მოიწვია საბჭოთა ჯარები, ეს უკანასკნელნი უმაღლესი შეიქმნენ ხივის ტერიტორიაზე და 26 აპრილს შეიკრიბა ხივის პირველი საერთო საბჭოთა ყრილობა (ყურულთაი), რომელმაც მიიღო რესპუბლიკის კონსტიტუცია და ის ხორეზმის სახალხო საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადა.

იმავე სცენარით განვითარდა მოვლენები ბუხარის საამიროში. ანექსიის შემდეგ, მის ტერიტორიაზე შეიქმნა ბუხარას სახალხო საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც 1924 წელს გაუქმდა და მისი ტერიტორია გადანაწილდა უზბეკეთისა და თურმქენეთის სს რესპუბლიკებსა და ტაჯიკეთის ასსრ-ზე. ბუხარას სსრ-თან ერთად კომუნისტურმა ხელისუფლებამ ხორეზმის სსრ-ც გააუქმა და მისი ტერიტორია უზბეკეთის სსრ შემადგენლობაში შევიდა.

1920-იანი წლებიდანვე საბჭოთა კავშირის „შექმნის“ პარალელურად მიმდინარეობდა ეროვნულ-ტერიტორიული დელიმიტაცია, რაც რიგი კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორებით იყო განპირობებული და მართული.

იმ პერიოდისთვის, როდესაც საბჭოთა კავშირში მიმდინარე დელიმიტაცია ცენტრალურ აზიას შეეხო, რეგიონის პოლიტიკური რუკა შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი – ყირგიზეთის, ყაზახეთისა და თურქესტანის ასსრ-ები და ბუხარისა და ხორეზმის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. მიუხედავად ამ მარტივი მოცემულობისა, აღნიშნულ რეგიონში ტერიტორიების ადმინისტრაციული მოწყობა ძალიან ხშირად იცვლებოდა, რაც ერთი მხრივ, იმითაც იყო განპირობებული, რომ დელიმიტაციის პროცესმა რეგიონში ბევრი პრობლემაც წამოჭრა და ცხადია, საბჭოთა ხელისუფლება ამ პრობლემების მიჩქმალვას ცდილობდა. საზღვრები, ხშირ შემთხვევაში, ვერ პასუხობდა ეთნიკურ ჯგუფთა განსახლების არეალს, რაც უკმაყოფილებას იწვევდა. 1928 წელს გაზეთში „ზა პარტიუ“ (პარტიისათვის), გამოქვეყნდა სტატია სათაურით „ბუხარას ხალხი და მათი გარშემომყოფები: უზბეკები თუ ტაჯიკები?“ „ბუნებრივია, ვიდრე ეს სამი რესპუბლიკა (თურქესტანის, ბუხარის, ხივის – ნ.ს.) სსრკ შემადგენლობაში იყვნენ, ოფიციალურად ტერიტორიული პრობლემები არ არსებობდა. მაგრამ პირად საუბრებში ტაჯიკები ამბობდნენ, რომ ბუხარა და მისდამი მიკუთნებული ტერიტორია – „მათი მიწა“, უზბეკები ამტკიცებდნენ, რომ მდ. ამურდარიის მარცხენა სანაპიროს მიდამოები – „უზბეკური მიწა“, ხოლო ტაჯიკეთის ლენინაბადის ოლქი უზბეკებით იყო დასახლებული, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ, რომ ქვეყნის სათავეში მოსკოვის ხელისუფლების მოსვლამ ისინი მოწყვიტა მშობლიურ უზბეკეთს“ („ხორეზმული ექსპერიმენტი“ : ) საბჭოთა ხელისუფლების აზრით, ეს ყველაფერი, ფართო დროის პერსპექტივაში განსახილველი პრობლემები იყო, სწორედ ამიტომ ის პირველ ეტაპზე ყურად არ იღებდა ამ მოთხოვნებსა თუ პრეტენზიებს. ამასთან, ვასილი ბარტოლდი თვლიდა, რომ „ცენტრალური აზიის მკვიდრი მოსახლეობა უპირველეს ყოვლისა თავის თავს მუსლიმად აღიქვამს. მათთვის მეორეხარისხოვანია ქალაქი, რაიონი თუ ზოგადად ის ადგილმდებარეობა,

სადაც ისინი სახლობენ, ვინაიდან მათთვის ის აზრი, რომ რომელიმე კონკრეტულ ხალხს, თუ ნაროდს მიეკუთვნებიან, არანაირი მნიშვნელობის არაა“.

აღნიშნული საკითხი, იმდენად მრავალმხრივი კუთხითაა განსახილველი, რომ ჟურნალის ფორმატიდან გამომდინარე, ჩვენ მას ვერ ამოვწურავთ. საბოლოოდ კი უნდა ითქვას, რომ მართალია, საწყის ეტაპზე, საბჭოთა ნომენკლატურა ყურადღებას არ აქცევდა მოსახლეობის სხვადასხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის მოთხოვნებს, საბოლოოდ მათ მაინც მოუწიათ გათვალისწინება და დელიმიტაციის პროცესმა შუა აზიის ახლებურად ჩამოყალიბების პროცესს დაუდო სათავე. სწორედ ამიტომ, მიუხედავად ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმული მოსაზრებისა, დელიმიტაციის პროცესი ცალმხრივად არ უნდა შეფასდეს. სწორედ ამ პროცესის შემდეგ მიეცათ ყაზახ, ყირგიზ, უზბეკ, თურქმენ და ტაჯიკელ ხალხებს შანსი, რათა განვითარებულიყვნენ როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ეთნოსები. ამან კი საბოლოოდ გამოიწვია ის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჩვენ სწორედ ეს ხუთი რესპუბლიკა მივიღეთ. თუმცა ამ პროცესებზე ჩვენ საუბარი შემდეგ ნომერში გვექნება.

*ნიკოლოზ სარაჯიშვილი*

## 1962 წლის სინო-ინდური ომი

ინდოეთი და ჩინეთი დღესდღეობით წარმოადგენენ უდიდეს სახელმწიფოებს, რომელთაც სურთ ჰეგემონობა მსოფლიოში, ამიტომ უფრო მოთხოვნადი და საინტერესოა მათი კომფლიქტების კვლევა და გამომწვევი მიზეზების დადგენა, განსაკუთრებით საყურადღებოა იმ კუთხით, რომ დღეს იმაზე მეტად ძლიერები არიან ვიდრე წარსულში.

სუნ ძიმ ერთხელ თქვა, „გამარჯვებული მეომრები, ჯერ იმარჯვებენ და შემდეგ მიდიან ომში, ხოლო დამაცხებულო მეომრებო ჯერ წადით ომში და შემდეგ ეძიეთ გამარჯვება“ - ეს სიტყვები ზუსტად შეესაბამება 1962 წლის ინდოეთ-ჩინეთის ომს, სადაც ინდოეთის პრემიერ მინისტრი ჯავარჰალალ ნეჰჰუ ყოველგვარი მომზადების გარეშე სამხედრო კონფლიქტში შევიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, მან სამხედრო ძალა გამოიყენა ლადახში მაკმაჰონის ხაზის სამხრეთით, რათა დაეცვა თავისი წარმოდგენა ინდოეთის ტერიტორიული მთლიანობის შესახებ. ამას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდასხმა მოჰყვა 1962 წლის 20 ოქტომბერს, რომელმაც შეიწირა ინდოელი სამხედროები, მეორე შეტევა ჩინეთმა 1962 წლის 16 ნოემბერს განაახლა, შედეგად ლადახის რეგიონში ინდოეთის სამხედრო ძალები სრულიად განადგურდა. 1962 წლის 21 ნოემბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ცალმხრივი ცეცხლის შეწყვეტა გამოაცხადა და თავისი ჯარები რეალური საზღვრიდან 20 კილომეტრის დაშორებით გაიყვანა, ამ ომში ჩინეთმა 1400 ადამიანი დაკარგა, ინდოეთს დაეღუპა 3120 სამხედრო, 3100 ტყვედ ჩავარდა, ხოლო 1000 ადამიანი დაიჭრა. შედეგები რა საკვირველია მნიშვნელოვანია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ომის გამომწვევი მიზეზების ძიებაა, ამისთვის კი აუცილებელია ომამდელი ურთიერთობების გამოკვლევა.

1914 წლის სიმლას კონვენციამ ბრიტანეთსა და ტიბეტს შორის დაადგინა მაკმაჰონის ხაზი, როგორც ოფიციალური საზღვარი ბრიტანეთის ინდოეთსა და ჩინეთს შორის, რომელიც უარყოფდა ჩინეთის სუვერენიტეტს ტიბეტზე. ბრიტანეთმა მაკმაჰონის საზღვრის სულ სხვა რუკა წარუდგინა ჩინეთის ელჩს. 30 წლის შემდეგ კი ბრიტანელებმა დაიწყეს ამ ხაზის



ხელახლა დახაზვა, რითაც ხაზის ლეგიტიმურობა აღადგინეს. როდესაც ინდოეთმა ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა, მემკვიდრეობით ყველა ის შეთანხმებაც გადაიბარა რაც ბრიტანეთს ჰქონდა დადებული, მათ შორის მაკმაჰონის ხაზი, როგორც ჩინეთსა და ინდოეთს შორის საზღვარი. შესაბამისად ინდოეთის წარმოდგენა ხაზის, როგორც ჩრდილოეთის რეალური საზღვრის, თარიღდება 1914 წლის სიმლას კონვენციით და ბრიტანეთის მიერ შედგენილი მრავალი რუკით.

1950-1957 წლებში ინდოეთსა და ჩინეთს შორის საკმაოდ თბილი და გულითადი ურთიერთობები არსებობდა. მაშინ როდესაც ჩინეთი ორ ნაწილად იყო გაყოფილი, ინდოეთმა მხარი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას დაუჭირა და მეორე სახელმწიფოდ იქცა რომელმაც ლეგიტიმურად ცნო ის მმართველობა, ბურმას შემდეგ. ლეგიტიმურობის მინიჭება ერთგვარ თანამშრომლურ გარემოს ქმნიდა ჩინეთთან, მაგრამ უმეტესმა სახელმწიფოებმა მხარი ჩინეთის რესპუბლიკას დაუჭირა ტაივანში. გარდა ამისა ინდოეთი არ იყო კაპიტალისტური ქვეყანა და უფრო გაუადვილდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან კავშირი და მაოისტური წყობის მიღება, შედარებით აშშ-სგან რომელიც ღიად ებრძოდა ყველანაირ სოციალისტურ წყობას. დიპლომატიური და იდეოლოგიური შესაბამისობის ამ საფუძველმა გადაადგმევინა ინდოეთის პრემიერ ნეჰრუს ჩინეთისკენ ნაბიჯი და 1955 წელს გაფორმდა პანჩშეილის შეთანხმება, რომელშიც ხუთ ძირითად პუნქტზე იყო აქცენტი გამახვილებული: 1) ურთიერთპატივისცემა ერთმანეთის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისა; 2) ორმხრივი არააგრესია; 3) ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა; 4) თანასწორობა და ურთიერთსარგებლობა და ბოლოს 5) მშვიდობიანი თანაცხოვრება. ეს შეთანხმება გამომდინარეობს ნეჰრუს ოპტიმიზმიდან, რომ პოსტკოლონიურ ერებს შეუძლიათ გააუქმონ ბიპოლარული სამყაროს დებულებები და რომ აზიის რეგიონალურ ძალებს შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ ტრადიციულ, ძალაუფლების ბალანსის პოლიტიკას. ჩინეთ-ინდოეთის თანამშრომლობის დიპლომატიური და იდეოლოგიური მიზეზები გაძლიერებულია ისტორიული გამოცდილებით. კერძოდ, ჩინეთიც და ინდოეთიც იზიარებენ

ხანგრძლივ და უწყვეტ კულტურულ და ისტორიულ ტრადიციას. რაც მთავარია, ორივე სახელმწიფოში შემოიჭრა დასავლური იმპერიალიზმი და მათ შეურაცხყოფა მიაყენეს, დაამცირეს და გამოიყენეს .დასავლეთის მიერ ამ ოკუპაციამ და ექსპლუატაციამ ინდოეთსა და ჩინეთში მნიშვნელოვანი ნაციონალისტური ძალების ზრდა და დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილი გამოიწვია. ROC – მა დამოუკიდებლობა მიიღო 1912 წელს, ხოლო მოგვიანებით PRC – ის კონსოლიდაციამ 1949 წელს დაიწყო ჩინეთის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ახალი ერა იმპერიალიზმისგან გათავისუფლებისთვის. ანალოგიურად, ინდოეთმა მიაღწია დამოუკიდებლობას ბრიტანეთისგან 1947 წელს. ოკუპაციის ისტორიის გამო, ჩინეთმა და ინდოეთმა ვერ შეძლეს დამოუკიდებელი ინდუსტრიების განვითარება. ეს ნიშნავდა იმას, რომ ჩინეთისა და ინდოეთის ეკონომიკა კვლავ ძირითადად აგრარული იყო და მზა საქონლის იმპორტზე იყო დამოკიდებული. ამან ინდოეთის მთავრობას უბიძგა დემოკრატიული სოციალიზმის ფორმის განხორციელებისკენ, ხოლო PRC აგრარულ კომუნიზმში, ან მაოიზმში იყო ჩართული. მიუხედავად მათი სისტემის განსხვავებებისა, ორივე ერს სძულდა კაპიტალიზმის იდეოლოგია. საერთო ისტორიულმა გამოცდილებამ შექმნა ნაცნობი პერსპექტივა, რომლის საფუძველზეც ინდოელი და ჩინელი პოლიტიკოსები ერთმანეთთან ურთიერთობას შეძლებდნენ. თუმცა დიპლომატიური თანამშრომლობა მათ შორის საფრთხის ქვეშ დადგება მას შემდეგ, რაც ჩინეთი გადაწყვეტს ისტორიული საკუთრების დაბრუნებას. 1950 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტიბეტში შეჭრამ გარკვეული ბზარები გააჩნია ამ ურთიერთობაში. ტიბეტში შეჭრა ინდო-ტიბეტური ურთიერთობების საფუძველზე მოხდა, თუმცა 1951 წელს დაიდო შეთანხმება ჩინეთსა და ინდოეთს შორის.ამ 17 პუნქტიან შეთანხმებაში აშკარა იყო ინდოეთის და ტიბეტის განსხვავებულობა, ტიბეტელები ჩინეთის სუვერენიტეტს აღიარებდნენ, თუმცა იქ მაინც ინდოეთის ეკონომიკური და სოციალური ინტერესები ნარჩუნდებოდა.ამ შეთანხმებამ თითქოს მოაგვარა დაპირისპირება ორ სახელმწიფოს შორის, მაგრამ ინდოეთის პარლამენტში გაჩნდა მემარჯვენე მოსაზრებები, რომლებიც აკრიტიკებდნენ ჩინეთის შეჭრას ტიბეტში. ამ

მოსაზრებებმა კიდევ ერთი პრობლემა წამოწია, ეს კი იყო ჩინეთთან საზღვრის დადგენა ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით. ჩინეთი თვლიდა, რომ საზღვრების საკითხის მოგვარება დიპლომატიურად უნდა მომხდარიყო. ნეჰრუ და ჟოუ ენლაი შეთანხმდნენ, რომ ეს საკითხი შემდგომში შუამდგომლებთან ერთად განეხილათ, რათა გზა გაეხსნათ 1954 წელს დადებული პანჩშელის შეთანხმებისათვის. ამრიგად ეს საკითხი ორივე ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მოუგვარებელ პრობლემად რჩებოდა იქამდე, სანამ 1957 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ სამხრეთით ჩინეთ-ინდოეთის საზღვარ მაკმაჰონის ხაზისკენ არ დაიწყო სვლა. 1954 წლის მოლაპარაკებებისას ნეჰრუმ თავი აარიდა ჩინეთის დაჟინებულ მოთხოვნას, რომ მაკმაჰონის ხაზი იქ აღნიშნულიყო სადაც საჭიროა. მიუხედავად ინდოეთის მიერ აღიარებული ამ ხაზის ლეგიტიმურობისა ჩინეთი არ აპირებდა დათანხმებას, სიმლას კონვენციისთვის მას ხელი არ მოუწერია და არც ბრიტანეთს და ტიბეტს შორის ორმხრივ შეთანხმებას აღიარებდა, რადგან ეს ჩინეთის სუვერენიტეტს არღვევდა. ინდოეთთან შეუთანხმებლობამ ორივე ქვეყნისთვის სასარგებლო საზღვრის ხელშეკრულების დადებაზე, აიძულა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა დამოუკიდებლად ემოქმედა მაკმაჰონის ხაზის პრობლემის მოსაგვარებლად. ამის აუცილებლობას ჩინეთი იმით ხსნიდა, რომ აქამდე ეს ხაზი არაკანონიერი იყო, პრაქტიკული განხორციელება მას შემდეგ გაცხადდა, რაც ინდოეთის პატრულმა აღმოაჩინა გზა აქსაი-ჩინში, რომელიც სინჯინიანს და ტიბეტს აკავშირებდა. ინდოეთის მთავრობამ დიპლომატიური საპროტესტო აქციები დაიწყო მათი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის გამო; თუმცა PRC აქსაი-ჩინს ჩინეთის ისტორიულ ტერიტორიად მიიჩნევდა. ეს საკითხი მოუგვარებელი რჩებოდა, რადგან ინდოეთი უარს ამბობდა მოლაპარაკებებზე იქამდე, სანამ ჩინეთი თავის ჯარს სრულიად არ გაიყვანდა აქსაი-ჩინიდან. ინდოეთი დიპლომატიური მოლაპარაკებების ნაცვლად უფრო კონფრონტაციულად უდგებოდა საზღვრების პრობლემას.

როდესაც ტიბეტი ჩინეთს აუჯანყდა და სახალხო რესპუბლიკამ აჯანყების ჩახშობა დაიწყო, 1959 წლის 31 მარტს დალაი ლამა ტიბეტიდან გაიქცა ინდოეთში, სადაც მან

პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო. მოვლენების ამგვარმა განვითარებამ ინდოელების გაბრაზება გამოიწვია, მათ დაინახეს რომ ტიბეტში ირღვეოდა ვაჭრობის და კულტურული წვდომის შესაძლებლობა, რაც მათ 17 პუნქტიანი ხელშეკრულებით გარანტირებული უნდა ჰქონოდათ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ კი ინდოეთის მიერ დალაი ლამას დახმარება აღიქვა პანჩშილის ხელშეკრულების დარღვევად. ტიბეტის აჯანყება და ჩინეთის მიერ 1957 წელს დაწყებული საზღვრების აღდგენითი საქმიანობა იყო ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიდა დიპლომატიურ ურთიერთობებს ინდოეთსა და ჩინეთს შორის. ამას დაემატა ინდოეთის სამხედრო სტრატეგიის ცვლილება, კერძოდ კი დაიწყო სამხედრო პოსტების მშენებლობა სასაზღვრო ხაზებთან. ეს საგუშაგოები აშენდა ლადახში ინდოეთის პრეტენზიის დასადასტურებლად და აქსაი-ჩინში სინჯიანგ-ტიბეტის გზაზე საფრთხის შესაქმნელად. 1962 წლის სექტემბრისთვის ტიბეტსა და მაკმაონის ხაზთანაც აშენდა მსგავსი პოსტები, რამაც ნათელი გახადა ის ფაქტი, რომ ისინი მხოლოდ ინდოეთის ტერიტორიული მთლიანობის გამო არ შენდებოდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ 1954 წელს დადებული პანჩშილის ხელშეკრულება 1961 წელს აღარ განახლებულა. ორივე სახელმწიფო არღვევდა ერთმანეთის ტერიტორიულ საზღვრებს და ამასთან ინდოეთი უკვე აღარ აღიარებდა ჩინეთის სუვერენიტეტს ტიბეტზე.

ამრიგად ინდოეთის წარმოდგენებმა, რომ შეეძლო საერთაშორისო სისტემა ბიპოლარული სამყაროდან მრავალპოლარულად ექცია და თითქოს ის ერთადერთი მთავარი ძალა იყო მსოფლიო საქმეებში, ხოლო მეორე მხრივ ჩინეთის სურვილმა ტიბეტზე სუვერენიტეტის მოპოვების და მაკმაჰონის ხაზის ლეგიტიმაციისა, ორივე ერთი ომამდე მიიყვანა.



## 1001 ღამე

ათას ერთი ღამე წარმოადგენს არაბული ზღაპრების კრებულს, რომელიც მთელი რიგი საუკუნეების მანძილზე ( 800 ან 900 ან 1500 წლებს შორის) იქმნებოდა არაბეთის აღმოსავლეთის სხვადასხვა მხარეში.

უძველესი ნიმუში „ათას ერთი ღამის“ ტექსტისა შენახულია მეცხრე საუკუნის ფრაგმენტში, რომელიც აღმოაჩინა ნაბია აბოტმა .

ცნობა „ათას ერთი ღამის“ შესახებ გვხვდება X საუკუნის არაბი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ალ-მას'უდის შრომაში. იგი ამბობდა, რომ ზოგიერთი ზღაპარი იმ ამბებს ჰგავს, რომელმაც ჩვენამდე სპარსულიდან, ინდურიდან, ბერძნულიდან მოაღწია და ითარგმნა. მას უწოდებდნენ ჰაზარ აფსანას, რაც ათას ზღაპარს ნიშნავს არაბულად. „ათასი ზღაპარი“ არის ამბავი მეფისა და ვაზირისა და მისი ასულისა და მხევლისა. ამათ ეწოდება შირაზად და დინაზად.

არის X საუკუნის მეორე ცნობაც, სადაც კვლავ ნახსენებია ჰაზარ აფსანა და მოცემულია ამბის ძირითადი ჩარჩო. გარდა ამისა, ნახსენებია „ვაზირთა წიგნის“ ავტორი ალ-ჯაჰშიარი, რომელმაც განიზრახა ათასი ზღაპრის შეგროვება, სპარსული, არაბული, თუ ბერძნული წარმომავლობისა, თუმცა გარდაიცვალა და შეძლო მხოლოდ 450 ზღაპრის შეგროვება.

შინაარსის მიხედვით ტექსტი შედგება სხვადასხვა ხასიათის თხზულებებისგან. მკვლევარი ენო ლიტმანი ასეთ კლასიფიკაციას გვაძლევს:

1) ძირითადი ჩარჩო თხზულებებისა, რომელიც მოიცავს ინდური წარმოშობის ჯადოსნურ ზღაპრებს: ვაჭარი და ჯინი, მეზადური და ჯინი, კუზიანის ზღაპარი. მათგან განსაკუთრებით ცნობილია 'ალა' ად-დინი და ჯადოსნური ლამპარი, 'ალი ბაბა, ჰასან ბასრელი და სხვა.

2) მეორე ჯგუფში შედის სამიჯნურო მოთხრობები და სხვადასხვა ხასიათის რომანები. სამიჯნურო მოთხრობები სამი ჯგუფისგან შედგება: ძველი არაბული ცხოვრება ისლამის წინა

პერიოდის, ბაღდადისა და ბასრის ქალაქელთა ცხოვრება და სატრფიალო რომანები კაიროს ცხოვრებიდან, ზოგჯერ ფრივოლური და ვულგარული ხასიათისა.

ამ ჯგუფში შედის ასევე მოთხრობები მოხეტიალე მოგზაურთა და მეზღვაურთა შესახებ, ყველა ცნობილია სინდბად მეზღვაური.

3) ტექსტის მცირე ნაწილი წარმოადგენს ძველ არაბულ ლეგენდებს, რომლებიც შესულია კრებულში. ასეთია: სპილენძის ქალაქი, ამბავი არაბების მიერ ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის დაპყრობის ისტორიიდან და სხვა.

4) ტექსტში გვხვდება აგრეთვე დიდაქტიკური ხასიათის მოთხრობები, ქილილა და დამანას მსგავსი და ინდური წარმოშობის სხვა არაკები გადაკეთებული არაბულ ყაიდაზე.

5) „ათას ერთი ღამე“ მრავლად მოიცავს აგრეთვე იუმორისტულ მოთხრობებს, რომელთაგან აღსანიშნავია ხალიფა და მეზღვაური, ალი სპარსელი და სხვა.

6) უკანასკნელ ჯგუფში გამოჰყოფენ ანეკდოტებს, რომლებიც მრავლადაა გაბნეული სხვადასხვა ხასიათის მოთხრობებში. ეს ანეკდოტები ეხება მეფეებს, ხალიფებს, მამლუქთა სულტნებს, ვაჭრებს, მდიდრებს უბრალო ადამიანებს და სხვა.

გარდა ამისა, „ათას ერთ ღამეში“ ფიქრისირდება 1420-მდე ფრაგმენტი არაბული პოეზიიდან.

რაც შეეხება სახელწოდებას, სპარსული პროტოტიპის მსგავსად თავიდან მას ჰაზარ აფსანი ანუ ათასი ზღაპარი ერქვა, თუმცა, მას შემდეგ რაც არაბებმა წარმოდგენილი ზღაპრები ერთ ჩარჩოში გააერთიანეს, სახელი შეუცვალეს და დაარქვეს „ათასი ღამე“. სიტყვა „ათასი“ აქ რაიმე კონკრეტულ რიცხვს არ ნიშნავს, მასში იგულისხმება მრავალი, იგივე პრინციპია „ათას ერთი ღამის“ სახელწოდებაშიც, ანუ ნიშნავს მრავალს, მრავალრიცხოვანს. მოგვიანო პერიოდში ეს სათაური პირდაპირი მნიშვნელობით გაიგეს და მოუწიათ სხვა ზღაპრების ჩამატება, რადგან გამხდარიყო 1001.

ფრანგი მკვლევარი სილვესტრ დე სასი ფიქრობდა, რომ ძეგლი შექმნილია არაბულ ნიადაგზე, სპარსული და ინდური გავლენის გარეშე, საკმაოდ გვიანდელ ხანაში. ამასთან

დაკავშირებით მას'უდის ცნობა, სადაც „ათას ერთი ღამის“ გმირები არიან მოხსენიებულნი, მან ყალბად მიიჩნია.

მის საპირისპიროდ იოჰან ჰამმერი სწორედ მას'უდის ცნობას ემყარება და ამის საფუძველზე ასკვნის, რომ X საუკუნეში ბალდადში არსებობდა არაბული თარგმანი სპარსული ჰაზარ აფსანისა. ივარაუდება, რომ ეს კრებული სინამდვილეში მოიცავდა მხოლოდ 200 ზღაპარს, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ ერთ ჩარჩოში მეფისა და შაჰრაზადის ამბავთან დაკავშირებით. ჰამმერის აზრით ამ კრებულ მოგვიანებით დაემატა ინდური და სპარსული წარმოშობის ახალი მასალა, ასევე საკუთრივ არაბული მოთხრობები, რომლებმაც ადრინდელ ტექსტზე დიდი გავლენა იქონიეს. ჰამმერის აზრით ტექსტის ნაწილი კრებულს ეგვიპტეში დაემატა უკვე გვიანდელ საუკუნეში. „ათას ერთი ღამის“ ინგლისურად მთარგმნელი ედვარდ ლენი (E.Lane) არ ეთანხმება ჰამმერს და ფიქრობს, რომ კრებული შედგენილია მთლიანად ეგვიპტეში ერთი ან ორი ავტორის მიერ.

დანიელმა მეცნიერმა ი.ესტრუპმა შედგენილობის მიხედვით ტექსტი 3 ნაწილად დაჰყო: 1) ჯადოსნული ზღაპრები, რომლებიც მომდინარეობენ ჰაზარ აფსანა-დან. 2) ბალდადური წარმოშობის ზღაპრები და 3) შემდეგში დამატებული ზღაპრები, მათ შორის, ეგვიპტური წარმომავლობის. ესტრუპის აზრით არის ერთი წყება ზღაპრებისა, რომლებიც არ ეკუთვნიან მთავარ ტექსტს. ისინი დამოუკიდებლად არსებობდნენ და შემდეგ ჩაამატეს კრებულს.

ამჟამად დამტკიცებულად ითვლება, რომ ძირითადი ჩარჩო ინდური წარმოშობისაა. შეადგეს 3 ძირითად ნაწილს: 1) თავგადასავალს ცოლის ღალატის გამო დამწუხრებულ კაცზე, რომლის მწუხარებაც განქარვებულ იქნა იმის შემდეგ, რაც გაირკვა, რომ იგივე ბედი ეწია იმაზე უფრო დიდი პიროვნას. 2) ისტორია ჯინისა, რომელსაც ღალატობენ ცოლი და მხევალი. 3) ამბავი ჭკვიანი ქალისა, რომელიც ზღაპრების მოხერხებული თხრობით იხსნის თავის თავსა და მამამის დაღუპვისგან.



სპარსული წარმოშობისაა ჯადოსნური ზღაპრები, რომლებშიც სულები და ფერიები გამოყვანილი.

ბაღდადური მოთხრობების დიდი ნაწილი აბასიან ხალიფებზეა, თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ აქ შეიძლება ასახული იყოს კვალი ძველი აღმოსავლური მითოლოგიისა, მაგალითად ხიდრ მარადიული ჭაბუკის ამბავი. დაიძებნება პარალელები ბაბილონურ ეპოსშიც.

ეგვიპტეშია შექმნილი მოთხრობები ქურდებისა და მოხეტიალეების შესახებ, გარდა ამისა, ზღაპრები ჯინებისა და თილისმათა შესახებ, ამბები მამლუქთა და თურქთა ეპოქიდან, გაცილებით ძველი მოთხრობები ქალაქელთა ცხოვრებიდან.

ტექსტში აღინიშნება ბერძნული გავლენაც, სინდბად მოგზაურის ამბავი პარალელს ავლებს ოდისეას ეპოპეასთან.

ამგვარად, „ათას ერთი ღამის“ კორპუსის იშვიათი სიმდიდრეა ინდური, სპარსული, ებრაული, ქრისტიანული, ბაბილონური და ეგვიპტური მასალა შერწყმული წმინდა არაბულ ელემენტებთან უცნობ ხელოვანთა მიერ.

„ათას ერთი ღამის“ დედანი მრავალჯერაა გამოქვეყნებული. ტექსტის ერთი ნაწილი, რომელიც დასაწყის ორას ღამეს მოიცავდა, პირველად გამოქვეყნდა კალკუტაში 1814 წელს. სრული გამოცემა მოგვიანებით 12 ტომად გამოვიდა.

კალკუტის მეორე გამოცემა ოთხ ტომად, ეგვიპტური ხელნაწერის საფუძველზე გამოვიდა 1839-1842 წლებში. სწორედ ამიტომ XX საუკუნის დასაწყისში გამოსული ბულაკისა და კაიროს გამოცემების ტექსტი არსებითად კალკუტის მეორე გამოცემას ემთხვევა.

ეგვიპტისა და კალკუტის გამოცემებში ზუსტად არის ასახული ხელნაწერებში დაცული დედანი. ბეირუთის გამოცემა უფრო დამოუკიდებელია, იგი საგრძნობლადაა გადაკეთებული იეზუიტი გამომცემლის მიერ.

„ათას ერთი ღამე“ ევროპისათვის შუა საუკუნეებიდანვე ცნობილია. მაგრამ მისი მთელი ტექსტი პირველად ევროპელებმა ჟან ანტუან გალანის მეშვეობით გაიცნეს, რომელმაც გამოაქვეყნა მისი ფრანგული თარგმანი.

მან იცოდა ებრაული და არაბული ენები. იყო ელჩის მდივანი სტამბულში. სწორედ აღმოსავლეთში ყოფნის დროს დაიწყო მან მოგზაურობა და გაცნობა აღმოსავლეთის ხალხთა კულტურისა. სწორედ ასე აღმოაჩინა გალანმა „ათას ერთი ღამე“. მან 1704 წლიდან, საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ დაიწყო არაბული ზღაპრების გამოქვეყნება. 1717 წლამდე გამოქვეყნდა 12 ტომი, აქედან 2 გალანის გარდაცვალების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ გალანმა არაბული ზღაპრები საგრძნობლად გადააკეთა და ფრანგულ ლიტერატურულ გემოვნებას შეუფარდა.

როგორც უკვე ვთქვი, ინგლისურად ის თარგმნა ლეინმა. თარმანი ემყარება ეგვიპტურ ვერსიას და არასრულია. თუმცა მნიშვნელოვანია მთარგმნელის მიერ გაკეთებული კომენტარები. გერმანული თარგმანებიდან გამოირჩევა ენო ლიტმანის თარგმანი, რომელიც მეცნიერული დონითა და სიზუსტით სანიმუშოა.

ქართული თარგმანი შესრულებულია არაბული ორიგინალიდან. იგი მიზნად ისახავს ზუსტად ასახოს ქართულ ენაზე არაბული დედნის თავისებურება, ისე რომ ქართული ენის ნორმები არ დაირღვეს. თარგმანში ტექსტი გადმოღებულია უცვლელად, გარდა მცირეოდენი შემთხვევებისა. პირველ ტომში ჩართული არაბული პოეზიის ნიმუშების ერთი ნაწილი გალექსა ვახუშტი კოტეტიშვილმა ნანა ფურცელაძის მიერ ქართულად შესრულებული ბჭვარედის მიხედვით. „ათას ერთი ღამის თარგმანს საფუძვლად უდევს არაბული დედნის ეგვიპტური ვერსია, მაგრამ, გარდა ამისა, გამოყენებულია აგრეთვე სხვა გამოცემები.

*ნინო ბუტიკაშვილი*

## მაჰმუდ დარვიში



XX საუკუნის გამოჩენილი არაბი პოეტი დაიბადა 1941 წლის 13 მარტს, პალესტინაში, გალილეის სამხრეთით მდებარე პატარა სოფელ ალ-ბირვაში, აქას სანაპიროზე. 1948 წელს მისი ოჯახი სხვა პალესტინელი არაბი ლტოლვილების მხარდამხარ იძულებული გახდა ლიბანში გადასახლებულიყო, მაგრამ ერთი წლის შემდეგ დაბრუნდნენ მშობლიურ სოფელში, რომელიც დანგრეული დახვდათ, მის ადგილას კი ებრული დასახლება გაეშენებინათ. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გაწევრიანდა პალესტინის სოციალისტურ პარტიაში და მუშაობდა ჟურნალისტად პარტიულ პრესაში. პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობის გამო იყო მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ და მუდმივად ხდებოდა იძულებული, შეეცვალა საცხოვრებელი მისამართი. 1972 წელს ჩამოვიდა მაშინდელ საბჭოთა კავშირში და რამდენიმე წელს სწავლობდა მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტში, ფილოსოფიის ფაკულტეტზე; მოსკოვიდან ლტოლვილის სტატუსით დაბრუნდა ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში, იქიდან კი მალევე გადავიდა ლიბანში. ლექსების წერა ადრეული ასაკიდან დაიწყო. ითვლება ერთ-ერთ უკანასკნელ დიდ არაბ პოეტად. გარდაიცვალა 2008 წლის 9 აგვისტოს, ამერიკის შეერთებული შტატებში.

## ზაფხული და ზამთარი

ახალი არაფერი, აქ წელიწადის ორი დროა:

გრძელი ზაფხული, როგორც შორეულ ჰორიზონტში გაჩრილი მინარეთი,

და ზამთარი, როგორც მორჩილების ლოცვაში მყოფი მონაზონი.

გაზაფხულს კი არ ძალუძს ფეხზე დგომა,

მხოლოდ გესალმება: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება იესოს ამაღლებაზე!

შემოდგომა კი სხვა არაფერია, თუ არა მარტოობა,


გააზრება იმისა, რაც დავკარგეთ უკან დაბრუნებისას...

სად დავივიწყეთ ცხოვრება?

ვკითხე სინათლეში მოფარფატე პეპელას

და ის ცრემლებით დაიწვა!

*ნინო ფეიქრიშვილი*



## რელიგია და ადამიანი

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე მრავალი რელიგია შეიქმნა და განადგურდა, ისევე როგორც ამ რელიგიის შემქმნელი ტომები თუ ცივილიზაციები. რელიგიის პირველი ჩანასახი პრიმიტიული იყო. შიში და კრძალვა კი მისი განუყოფელი ნაწილი. დროთა განმავლობაში ადამიანის მოთხოვნილებები პირველად საშუალებებს გასცდა. მას მიეცა შანსი საკვების და თბილი კერის გარდა ეფიქრა სხვა, არამატერიალურ საკითხებზეც, როგორცაა ურთიერთობები, სიკეთე, ბოროტება, სიყვარული. ეფიქრა იმაზე, თუ რა არსი დევს ადამიანში, რისთვის ცოცხლობს და ბოლოს, რას ნიშნავს გარდაცვალება? რას ნიშნავს იყო მოძრავი და იყო უძრავი.

ამ კითხვებს ადამიანმა უპასუხა რელიგიაში. პრიმიტიული ჩანასახი განვითარდა, გართულდა და მთელი სისტემა შექმნა. იგი აღარ წარმოადგენდა მხოლოდ ბუნებრივი მოვლენების, დამანგრეველი ძალების უზენაესობას. მართალია გაუაზრებლად მაგრამ ანიმიზმი სწორედ ის პირველი საფეხური იყო რომელზეც ადამიანმა შედგა ფეხი.

ვინ ან რა არის ადამიანი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დღეს უფრო რთულია, ვიდრე ეს იყო ათასწლეულების უკან. ეს არსება მაშინაც ხვდებოდა რომ ერთადერთი ძლიერი ნიშანი, რაც მას ცხოველებისგან განასხვავებს არის გონება, და მისი შესაძლებლობები. ის არის ქმნილება, რომელმაც შეძლო და პირველობა მოიპოვა დანარჩენ სამყაროზე. თუმცა როგორ შეიქმნა ადამიანი? წინა აზიური რელიგიები ამ და სხვა მრავალ ღია თუ დაფარულ კითხვაზე გვცემს პასუხს.

შუმერებისთვის შესაქმნის უშუალო გაგრძელებაა ისტორია. მათი წარმოდგენით ადამიანის შექმნის იდეა ღვთაება მარდუქს მოუვიდა, რომელმაც „მშვენიერ ნივთთა შექმნა განიზრახა“ და სიბრძნის ღმერთ ეას გაანდო თავისი სურვილი. თუმცა ადამიანის შექმნა მოითხოვდა მსხვერპლს და ეს მსხვერპლი არც მეტი არც ნაკლები ღვთაება უნდა ყოფილიყო. ყველამ ერთხმად გადაწყვიტა, რომ სისხლი, რომელსაც მარდუქი შეადეებდა და ძვალს

წარმოქმნიდა ადამიანისთვის, ქინგუსი იქნებოდა, ვინაიდან სწორედ ქინგუ იყო ამბოხებული ღვთაება, რომელმაც თიამათი აამხედრა შვილების წინააღმდეგ. ამ გზით არა მარტო ის არსება შეიქმნებოდა, რომელიც ღმერთებს შრომას შეუმსუბუქებდა, არამედ ქინგუც განწირული იყო ღმერთების სამუდამო მსახურებისთვის, ვინაიდან შეუძლებელია ღვთაება მოკვდეს. იგი მხოლოდ გარდაისახება და ქინგუც გარდაისახა ადამიანში, რომლის მოდგმაც უკვდავია. ამას წარღვნის მითიც ადასტურებს.

ადამიანში ჩადებულია როგორც ქაოსი - ქინგუ, ისე კოსმოსი - ეას მიერ ნაბომები სიბრძნე. მასშია ერთგვარი ბალანსი, რომლის დარღვევამაც გამოიწვია ღმერთებისთვის ესოდენ აუტანელი ხმაური, რასაც მოჰყვა წარღვნა. თუმცა იქამდე უფრო კონკრეტულად რა დაევალა ადამიანს?

ისევე, როგორც ღმერთებმა ერთ დროს შექმნეს მდინარეები, ადამიანებმა უნდა გაიყვანონ სარწყავი არხები, მოიყვანონ მოსავალი და გამოკვებონ ღვთაებები. თავის მხრივ ღვთაებები ადამიანებს ეხმარებიან შეინარჩუნონ „ღურ-ან-ქი“, კავშირი ცისა და მიწისა. ენლილი (ჰაერი) დგას ანუს (ცა) და ქის (მიწა) შორის, ამყარებს ბალანსს. როგორც ვთქვით ადამიანი თვითონ არის ბალანსი და ამ ბალანსით იგი „ღურ-ან-ქის“ გამოხატვას, თუმცა რა ხდება როცა ეს ბალანსი ირღვევა?

ადამიანი აღარ შრომობს, ივიწყებს თავის შემქმნელ ღვთაებებს, მოვალეობებს... მასში იმარჯვებს ამბოხებულ ქინგუს სისხლიხლი და ირღვევა კოსმოსი, რაც ღვთაებებს განარისხებს, ვინაიდან მათ კოსმოსის დასამყარებლად ბევრი იშრომეს და ახლა მათივე ქმნილება (ისევე, როგორც თავის დროზე აპსუს და თიამათის შემთხვევაში) ახლიდან წარმოქმნის ქაოსს, ხმაურობს და სწორედ ეს არის ის „rigmu“, რომელიც აწუხებს ენლილს, მოსვენებას უკარგავს და ძილს უფრთხობს. იგი გადაწყვეტს უმადურ მოდგმას წარღვნა მოუვლინოს და ისევ სიმშვიდე დაამყაროს. მაგრამ განა შეძლებენ ღმერთები ადამიანების გარეშე არსებობას? თითქოს ამას ენლილიც ხვდება და სწორდ ამიტომ იყენებს მათ გასანადგურებლად წყალს. ნივთიერებას და სუბსტანციას, რომელიც არის საწყისი ყველაფრის - „ენუმა ელიშ“ .

ენჯიც ისევე იბრძვის „შვილების“ გადასარჩენად, როგორც ერთ დროს თიამათი იბრძოდა აპსუს წინააღმდეგ. „ჩემს ადამიანთა მოდგმას მისი დაღუპვის დროს მსურს დავეხმარო“ , ამბობს ენჯი ზიუსუდრას მითში. თუმცა არ ჩანს ამის კონკრეტული მიზეზი. თითქოს ენჯისტვის ადამიანი კოსმოსის აუცილებელი ნაწილია. მართლაც, იგი ხომ არ ასვენებს ენლილს და ძილს უფრთხობს მას. ძილს, რომელიც ასოცირდება სიკვდილთან. რა მოხდება თუ ენლილი ღრმა და მშვიდი ძილით იძინებს? იგი დაემსგავსება წაქცეულ ხეს, რომელმაც დაკარგა დურანქის მნიშვნელობა. ცა და მიწა კვლავ შეერთდება და სამყაროს ქაოსი შთანთქავს. ამ ქაოსში კი თიამათის წიაღი მუდმივმოქმედია და იგი შობს სხვადასხვა ურჩხულებს. ამ ყველაფრის ფონზე გასაკვირი არ უნდა იყოს ენჯის დაუზარელი ძალისხმევა, რათა გადარჩეს ის, რაც გადაარჩენს თავად ღმერთებსაც.

წინა აზიურ წარღვნის მითებში რჩეული ადამიანი ზიუსუდრა, ათრახასისი, უთნაფიშთი, მეფე ან ქურუმია. ის, ვინც გაიგებს ენჯის სიტყვებს და სწორად შეიმეცნებს, ის, ვისაც ვრცელი ყური აქვს, ვინც არ შეუშინდება ენლილის რისხვას და მიიღებს ენჯისგან სიბრძნის ახალ გაკვეთილს. ღვთაებები მისით ხარობენ და რა გასაკვირია, რომ ახალ მოდგმას ენჯისთან ერთად ქალღმერთი ინანაც წყალობს. სიყვარულის, ნაყოფიერების და ომის ღვთაება ბრძენ ენჯისაც კი მოხიბლავს. ეს უკანაკნელი კი მშვენიერ ქალწულს უწყალობებს „მეებს“, რომლებსაც ინანა ადამიანებს ურიგებს. უცნაურია, თუმცა ფაქტია, რომ წარღვნა და დამწერლობის გაჩენა თითქმის თანადროულია. როგორც, ჩანს ინანამ ადამიანებს დამწერლობის მეც გადასცა, თუმცა მან თავისთვის დაიტოვა სიყვარულის „მე“. შეიძლება საბედისწერო სიყვარულის ქალღმერთი ამდენადაც არ იყო ადამიანების შესაძლებლობებში დარწმუნებული. როგორ უნდა ჰყვარებოდათ ადამიანებს მარადიულად, როდესაც თავად ქალღმერთს არ შეეძლო ეს? მას თავად სიყვარული უყვარდა. სიყვარულის „მე“ სამუდამოდ მასთან დარჩა და საკუთარ თავზე გამოსცადა ამ გრძნობის როგორც სუსტი ისე ძლიერი მხარეები. „მხოლოდ ჭეშმარიტ ადამიანს აქვს უნარი უყვარდეს და სძულდეს“ . ინანაც ხომ ამ



ორ გრძნობას შორის დაიარება. ვისაც ინანა შეიყვარებს, იგი მოზიარე ხდება ქალღმერთისეული ჭეშმარიტებისა.

მართალია, ხეთურ მითებში ადამიანი და მისი როლი არ აღინიშნება, მაგრამ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რიტუალებსა თუ დღესასწაულებში ერთ ადამიანსაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს. გავიხსენოთ ფურულის დღესასწაული, რომელიც დაკავშირებული იყო საკულტო ცენტრ ქ. ნექირთან და ამინდის ღვთაების კულტთან. ამ დღესასწაულის გადახდა აუცილებელი მოვალეობა იყო მეფეთათვის და თვით მურსილი II-მ ლაშქრობაც კი შეწყვიტა, რომ დღესასწაული გადაეხადა. ამ ხალხისთვის ყოველი ღვთაება უმნიშვნელოვანესი იყო. ახალი ღვთაება კი ახალი ძალა. „არა გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწევს ღმრთისა ძალა“. თუმცა ღვთაებებისთვისაც მნიშვნელოვანი იყვნენ ადამიანები. თელიფინუს მითი ამის მარტივი მაგალითია. დედამიწა, ადგილი რომელიც ადამიანთა საუფლოა, დაჰკნა მას შემდეგ, რაც უნაყოფობის ცქერით განრისხებული თელიფინუ ტოვებს საუფლოს და ღმერთები მის სამეზობლად ფუტკარს გზავნიან, რომელიც თავის ნექტარს აგემებს ამ ღვთაებას რითიც უფრო განარისხებს მას. ღვთაებები წუხან რადგან ადამიანებს აღარ აქვთ საზრდო და მაშასადამე ვეღარც თავად მიიღებენ შესაწირს. იგივე ხდება, როცა ინანა ქვესკნელში ჩადის. მის მხსნელად ისევ ენქი გვევლინება, თუმცა ქვესკნელი თავის წილს ითხოვს და ინანა ვალდებულია შემცვლელი იპოვოს. იგი ვერც ერთ ადამიანს ვერ იმეტებს, რადგან ხედავს ყველა როგორ ხარობს მისი დაბრუნებით.

იგივე მისია და მიზანი აქვს ადამიანს, როდესაც საუბარია არმაზსა და ზადენზე. ეს ორი ღვთაება თავისი შინაარსით და გარეგნობით საკმაოდ ჰგავს ხეთური პანთეონის წევრებს. მათ მიმართ ტარდება მსხვერპლშეწირვა და რიტუალები. რთულია რამე ითქვას ამ ორი ღვთაების სიბრძნესა ან ადამიანის დამომღვრაზე, რასაც ჩვენ ასე აქტიურად ვაწყდებით აპურამაზდას შემთხვევაში.

განსხვავებული სურათი გვაქვს ეგვიპტეში, სადაც ძველი სამეფოს პერიოდში ფარაონი აღქმული იყო როგორც ღმერთი ადამიანთა შორის. შემდეგ კი მის ტიტულატურას დაემატა

„რას შვილი“. აქედან იგი უკვე ნახევრად ღვთაებაა, თუმცა ღვთაებრიობას ისევ ადამიანს, კერძოდ ქალს უნდა უმაღლოდეს, რომელსაც სამეფო სისხლი აქვს, ვინაიდან ღვთაებრიობა სწორედ ქალის ხაზით გადაეცემა. დროთა განმავლობაში ფარაონის ღვთაებრივობა ქურუმებმა თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს და მას შემდეგ სახელმწიფოს ფაქტობრივად თავად მართავდნენ. ფარაონი მხოლოდ მნიშვნელოვან დღესასწაულებს ესწრებოდა.

ეგვიპტე ასეთი დიდებული ააგეს იმ ადამიანებმა, რომლებსაც ღრმად სწამდათ დასავლეთის ქვეყნის. ეს იდეაც ძველი სამეფოს დროს დამკვიდრდა და ვფიქრობ გასაკვირი არც არის. ამ პერიოდში ეგვიპტე ჩაკეტილი სახელმწიფოა, არანირი შიდა თუ გარე დაპირისპრება. იგი წყნარად განაგრძობს აღზევებას საკუთარ ნაჭუჭში. ერთადერთი რაზეც ეგვიპტელმა უნდა იზრუნოს, ეს საიქიო ცხოვრებაა. როგორ წარსდგება იგი ოსირისის და ანუბისის წინაშე? იცხოვრა თუ არა მან ისე, როგორც ამას გარდაცვლილთა წიგნი ასწავლის?

სანამ ანუბისი ეგვიპტელის გულს აწონის, იგი მოვალეა 42 კარი გაიაროს (7 კარი შუამდინარეთში) სიმართლით. წინააღმდეგ შემთხვევაში მას კარის მცველი ღვთაება ან წამებით დასჯის ან უბრალოდ შთანთქავს ისე, რომ დასავლეთის ქვეყანას ვერც იხილავს. თუმცა ეს წარმოდგენები სამუდამო არ არის და მას შემდეგ, რაც ეგვიპტე რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და რაც იგი ჰიქსოსებმა დაიპყრეს, ეგვიპტელი მიხვდა, რომ შეიძლება მას ანუბისისთვის სათქმელი არც არაფერი ჰქონდეს როდესაც გარდაიცვლება ვინაიდან მას რიგიანად არც უცხოვრია. ამ პერიოდიდან ჩნდება წარწერები საიქიო ცხოვრების ამაოებაზე, რომ ადამიანი უნდა დატკბეს ცხოვრების ყოველი წუთით და რომ არანირი გარდაცვლილთა ქვეყანა არ არსებობს.

მაგრამ ყოველივე ამას ხელი მაინც არ შეუშლია ფარაონებისთვის აეგოთ დიდებული აკლდამები, რათა დაეცვათ თავიანთი მუმი, ჭურჭელი, რომელშიც ერთ დღეს დაბრუნდებოდა „კა“ და „ბა“, სული, რომელიც ამ სხეულს იყენებდა მის სიცოცხლეში. ამ მიზნით ისინი სამარხის შესასვლელელებში გამოსახავდნენ მის ნიშანს რათა გზა არ არეოდა და ადვილად მიეგნო საგულდაგულოდ შენახული სხეულისთვის.

როგორი იყო რიგითი ეგვიპტელის ცხოვრება? მეტწილად რელიგიით განსაზღვრული. დღესასწაულები, ლოცვები, შრომა, და ეს უკანასკნელი შეიძლება ითქვას რომ უმთავრესი იყო. გადარჩენისთვის ეგვიპტელს სწორედ შრომა სჭირდებოდა. სარწყავი არხების გაყვანა, გაწმენდა. ნილოსის ადიდების შედეგად დატოვებული შლამი მათთვის ნამდვილად ძღვენი იყო ღვთაებებისგან. აგებდნენ პირამიდებს, მზის ტაძრებს, ობელისკებს, ფორტებს. ყველაფერი ეს იყო ღვთაებებისთვის, რომელთა კეთილი ნებითაც ყოველივე ისევ ადამიანს უნდა დაბრუნებოდა. „გახსოვდეს ღმერთი, რათა მას ყოველთვის ახსოვდე შენ“ ისააკ ასურის ამ სიტყვებს ნამდვილად ამართლებდა ეგვიპტე.

ხეთებთან საერთო სწორედ აქ შეგვიძლია დავინახოთ. ყოველი ღვთაება მეტად მნიშვნელოვანია ეგვიპტელისთვის. ამიტომ არ იყო ადვილი მისთვის ფარაონ ეხნატონის რეფორმა და ნაბიჯი მონოთეიზმისკენ. მართალია ყოველ სადიდებელ ტექსტში ღვთაება მოიხსენიებოდა როგორც ერთადერთი, თუმცა ამ რეფორმამ ეგვიპტეს ფაქტობრივად წაართვა წარსული. ატონის გარდა ყველა ღვთაების სახელი აიკრძალა და ფარაონმა ისიც კი ბრძანა სხვა ღვთაებათა სახელები წარწერებიდან ამოეშალათ. მართალია ეს რეფორმა ამონის ქურუმების წინააღმდეგ იყო მიმართული, თუმცა მან ხალხზე უარყოფითი გავლენა იქონია, ხოლო სახლმწიფოს საგარეო ურთიერთობები მეორეხარისხოვანი გახდა და ეგვიპტემ საკმაოდ მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაკარგა.

დაუსრულებელი ბრძოლა კოსმოსსა და ქაოსს შორის, სინათლესა და სიბნელეს შორის, ბოროტსა და კეთილს შორის ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში გვხვდება. შუამდინარეთში ეს კარგად ჩანს გლიპტიკის მაგალითზე, სადაც ხშირია მზის ღვთაება შამაშის გამოსახულება, რომელიც ორ მთას შორის ამოდის, ან ფეხი აქვს მთაზე შედგმული რაც აღნიშნავს გამარჯვებას და სიბნელის დამარცხებას. ეგვიპტეში ამის მაგალითია ოსირისი და სეთის დაპირისპირება, რომელიც შურმა წარმოშვა. სეთი ჯერ ცდილობს ოსირისი დაამარცხოს, რომელიც მთელი სამყაროს ბატონ-პატრონია, ხოლო მას შემდეგ რაც იგი ქვესკნელში ინაცვლებ, სეთი ოსირისის შვილს, ხორს ებრძვის. ეს ბრძოლა კი დაუსრულებელია რადგან

ყოველ დღე ხორი ამარცხებს სეთს თუმცა სადამოს ჟამს იგი კვლავ ჩნდება და ისევ იწყება ბრძოლა მათ შორის. ეგვიპტელთათვის ეს უარყოფითი ღვთაებაც კი იმდენად მნიშვნელოვანია რომ, იგი ფარაონის კორონაციის დროსაც კი არის გამოსახული ხორთან ერთად, თუ როგორ ლოცავენ ისინი რამზეს მეორეს.

ღუალისტური ბუნებისაა ზოროასტრიზმი, რომელიც მონოთეისტური რელიგიაა. მის მიხედვით ადამიანი (გაიუმარდი) შეიქმნა მას შემდეგ, რაც აპურამაზდამ შექმნა ცა, წყალი, მიწა, მცენარეები და ცხოველები. იგი ადამიანს ქმნის მხოლოდ ბედნიერებისთვის. მისთვის კი განსაზღვრავს მრავალ წესს, რათა ადამიანს არ დაავიწყდეს ღმერთი და არ ჩავარდეს აპრიმანის ბოროტების ხელში. ისევე როგორც ენქი იყენებს ადამიანს რათა კაცობრიობა გადაარჩინოს, აპრიმანიც იყენებს მეძავ ქალს, რათა გაანადგუროს აპურამაზდას შექმნილი არსებები და დაარღვიოს კოსმოსი. იგი მეძავი ქალის დახმარებით ებრძვის ხარს, რომელიც წმინდა ცოველია ზოროასტრიზმში. სწორედ ხარი გვევლინება გილგამეშის მითში იმ ცხოველად, რომელსაც განრისხებული ინანა გზავნის გილგამეშის დასამარცხებლად.

ზოროასტრიზმში გვხვდება პირველი მოციქული ზარათუშტრას სახით, რომელსაც ასე კარგად იყენებს ნიცმე, რათა გადმოსცეს ბრძოლა იდეალიზმსა და მატერიალიზმს შორის. მის ხედვით არა თუ ღმერთის, არამედ ერთმანეთისაც კი აღარ ესმით ადამიანებს. სწორედ უმოქმედობა და უძრაობაა ის, რაც კლავს ადამიანის ბუნებას და კლავს ღმერთს. ტოტალური ნიჰილიზმიდან, რომელსაც ადამიანი იწვევს, ზარათუშტრა შობს ახალს იმედს და ეს იმედი ისევ ადამიანია - „ზეკაცი“. იგი უპირისპირდება „უკანასკნელ ადამიანს“. ზეკაცი შეიქმნება მაშინ, როცა ადამიანი დათრგუნავს საკუთარ თავს, და შეიცნობს გზას, რომელიც დაეხმარება მას გახდეს სრულყოფილი არსება. მისი სული გაივლის სამ სახეცვლილებას: აქლემის, ლომი და ბოლოს იგი იქცევა ბავშვად . მთლიანობაში ნიცმეს „ზარათუშტრა“ უფრო ქრისტიანი ადამიანის კრიტიკაა და არა მაზდეანობის გააზრების ახალი შანსი, ვინაიდან ნიცმე ყველა ადამიანსა თუ გრძნობაში ხედავს ნილაბს და ვერ აღიქვამს მას როგორც ბუნებრივს და დამახასიათებელს ადამიანისთვის. რაც ეწინააღმდეგება მაზდეანობას, რომლისთვისაც

ყველივე ბოროტი უცხოა და რომლის დასათრგუნადაც ადამიანმა საკუთარ გულსა და გონებაში უნდა იბრძოლოს.

ამასთან დაკავშირებით ჯიბრან ხალილი თავის „წინასწარმეტყველში“ ამბობს: „სული ხშირადაა ბრძოლის ველი, რომელზედაც საღი აზრი და გონება ვნებასა და გატაცებებს ეომებიან“. თუმცა იგი არ უარყოფს გატაცებას და სურს, რომ ადამიანებმა ბალანსი იპოვონ საღ აზრსა და გატაცებას შორის. ორივე მათგანს ჰქონდეს ადამიანის გულსა და გონებაში კუთვნილი ადგილი, ისევე როგორც კოსმოსსა და ქაოსს.

წინასწარმეტყველი ადამიანებს მოუწოდებს რომ შეიცნონ სამყარო, შეიცნონ სივრცე და დრო, შეიცნონ ერთმანეთი, რაც დაეხმარება მათ დაინახონ ღმერთის ჭეშმარიტი სახე. და რაც მთავარია იშრომონ: „იმისთვის შრომობთ, რომ არ მოსწყდეთ მიწას და მის სულს, რადგან უსაქმურობა ჩამოგაშორებთ წელიწადის ყველა დროს და გამოგიყვანთ ცხოვრების ფერხულიდან...“.

ქრისტიანობისთვისაც ადამიანის გული და გონება არის ის ადგილი, სადაც ერთმანეთს ებრძვის სიკეთე და ბოროტება. ბიბლიის მიხედვით ადამიანმა სამყარო აკრძალული ხილის საშუალებით გაიცნო. შეიგრძნო ყველაფერი კარგი თუ ცუდი. შემდეგ კი კაენი კლავს აბელს. კაენში იღვიძებს შური, ისევე როგორც სეთში და ღმერთი წყევლის კაენს. ღმერთი ხშირად ცდის ადამიანს. თუნდაც აბრაამის მაგალითი რად ღირს, რომელსაც აღთქმული შვილის შეწირვა სთხოვა უფალმა?

ეს რელიგია არა მარტო მოყვასის სიყვარულს გვასწავლის. მისთვის ყველა ადამიანი მნიშვნელოვანია, ისევე, როგორც იესოსთვის იყო მნიშვნელოვანი იუდა. ადამიანი, რომელმაც იგი გაიმეტა წამებისთვის, თუმცა ორივემ იცოდა, რომ ეს იყო მათი ხვედრი. იუდაც ეწამა, ვინაიდან მან გაწირა ქრისტე, მეგობარი, ძმა, მოძღვარი, ღმერთი. რომ არა იუდა და ქრისტეს ვნება, იქნებოდა კი ქრისტიანობა მსოფლიო რელიგია?

ყველაფერი ახალი და დიდებული მსხვერპლს მოითხოვს. ამას შუამდინარეთი გვიმტკიცებს. ისევე როგორც ჯერ შესაქმეში ღვთაებები სწირავენ ქინგუს, შემდეგ კი წარღვნის

მითში ენქი და რჩეული ადამიანი მთელს კაცობრიობას, რათა შეიქმნას ახალი და უკეთესი, ასევე ადამიანები სწირავენ ქრისტეს გაუაზრებლად იგივე მიზანს. თუმცა თავად იესომ და მამამ მისმა იციან რომ ეს არის ის, რისთვისაც იგი მოველინა ქვეყანას.

„არაფერი ისე არ ცვეთს და ანგრევს ადამიანს, როგორც ხანგრძლივი ფიზიკური უმოქმედობა“ ამბობს არისტოტელე. თუმცა ეს აქამდეც ბევრჯერ თქმულა. შრომა, მოქმედება, აზროვნება არის ღვთიური საქმე, რომელიც ადამიანს დაეკისრა. ეს გახდა „დურ-ან-ქის“ ერთ-ერთი სახე. ღმერთებიც ხომ შრომობდნენ მანამ სანამ ადამიანი შეიქმნებოდა და სწორედ ღვთაებრიობისკენ და სრულყოფილებისკენ, „ზეკაცობისკენ“ მიიღტვის იგი. რელიგია კი მუდამ რუკის ფუნქციას ასრულებდა. სწორედ რელიგიებში ილექებოდა ყოველი სწორი თუ არასწორი ნაბიჯი წინაპრებისა და გადაეცემოდა მომავალ თაობებს. ამიტომ თუ ადამიანის შეცვლა შეუძლებელია, თავად კაცობრიობის შეცვლა, აზროვნების განახლება დალექილი ცოდნით, გარდაუვალია.

*გვანცა ტვილდიანი*

## სუფიზმი - ასკეტურ-მისტიკური მიმართულება ისლამში

სუფიზმი არის ისლამური კულტურული სივრცის ჭეშმარიტი სულიერი გამოვლინება და ასკეტურ-მისტიკური მიმართულება, რომელიც VIII-IX საუკუნეებში ჩამოყალიბდა. სუფიზმის მიმდევრებს რამდენიმე ტერმინით მოიხსენებენ, მათ შორის: „სუფი“, „სპარს“, „დერვიში“. ტერმინ სუფის წარმომავლობა ორ ვერსიას ემყარება. პირველი მათგანის თანახმად, ტერმინი სუფი (არაბ. صُفِيّ ) მომდინარეობს არაბული სიტყვიდან სუფ - (ص ف), რომელიც უხეში მატყლის ქსოვილს აღნიშნავს. სუფიზმის განვითარების ადრეულ ეტაპზე სუფიები ატარებდნენ ცხვრის მატყლისაგან დამზადებულ უხეშ სამოსს. მეორე ვერსიის თანახმად, ტერმინი სუფი მომდინარეობს არაბ. სიტყვიდან - საფა(ص ف), რაც სიწმინდეს ნიშნავს. შუა საუკუნეების ირანელი სწავლულის ალ-ბირუნის თანახმად, სიტყვა სუფი მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან სოფია (σοφία), რაც ნიშნავს სიბრძნეს. ზემოხსენებული მნიშვნელობები გააერთიანა აბუ ალი არ-რუდჰაბარიმ, რომელმაც განმარტა, რომ „სუფი ის არის, ვინც ატარებს მატყლის სამოსს თავისი სიწმინდის მწვერვალზე“.



სუფიზმის მიმდევრებს ასევე მოიხსენებენ ტერმინით „დარვიშ“ (არაბ. درويش ), რაც მოხეტიალე მუსლიმი ბერის მნიშვნელობას ატარებს. თუმცა ეს იმას არ გულისხმობს, რომ ყველა სუფია მოხეტიალე ან მათხოვარია. ეს იმ კაცის სიმბოლოს წარმოადგენს, რომელიც სუფიათა გზას შემდგარი, შეიცნობს საკუთარ მწირ ბუნებას ღმრთის სიმდიდრესთან/სიდიადესთან მიმართებაში. ერთ-ერთი არაბული ტერმინი ფაკირ (ღარიბი) მუსლიმი სუფი ასკეტი ადამიანის მიმართ გამოიყენება. ზოგადად, სიღარიბე თან სდევს სუფიების უბრალო ცხოვრების წესს.

სუფიზმის მიმდევრებს ასევე მოიხსენებდნენ ტერმინით „თასავვუფ“. ტერმინები - თასავვუფ, სუფიზმი, ფაკრ - პირველად გამოიყენა ჰუსაინ ბ. ალიმ. XIII საუკუნეში დაიწყო სუფიზმის საჯარო განხილვა. პირველი სწავლული მუსლიმი, რომელმაც ხელი მიჰყო ამ საქმიანობას იყო იბნ არაბი. მან 200-მდე წიგნი მიუძღვნა სუფიზმს.

„ისლამური მისტიციზმის, სუფიზმის, ერთ-ერთი ტრადიციული სახელწოდება ირფანი (ან სპარსული წარმოთქმით: ერფანი) კი არაბული ‘არაფა ძირიდან მომდინარეობს და შეცნობას, შემეცნებას აღნიშნავს. ეს სახელწოდება, ერთი შეხედვით, ეწინააღმდეგება სუფიათა იმ აღიარებულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც ღვთის ჭეშმარიტი ბუნების შესაცნობად საჭიროა გონების, ლოგიკისა და აზროვნების სრული იგნორირება. შემეცნების ერთადერთ წყაროდ სუფიები გულს, გრძნობის მამოძრავებელ ძალას აღიარებენ.“

თავდაპირველად მიიჩნევდნენ, რომ ისლამური მისტიკის, ანუ სუფიზმის ფესვები წარმოიშვა ანტი-ისლამური წყაროებიდან, ძველ ევროპასა და ინდოეთში. ახლა უკვე საჯაროდ აღიარებულია, რომ აღნიშნული მიმდინარეობა განვითარდა ადრეული ისლამური ასკეტიზმისგან, რომელიც ვითარდებოდა მუსლიმური საზოგადოების მზარდი ამქვეყნიური ცხოვრების საპირწონედ.





სუფიზმის ისტორიაში გამოიყოფა 4 ძირითადი ეტაპი: 1.VIII-IX ს-ის ბოლო — ეს არის პერიოდი სუფიზმის, როგორც მოძღვრების ჩამოყალიბებისა. ამ დროს სუფიზმი ყალიბდება რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებად. თავდაპირველ ეტაპზე სუფიზმი, უმთავრესად, ასკეტიზმის იდეების გამომხატველი იყო. ტერმინები „თასავუფი“ და „სუფი“ ჯერ არ გამოიყენებოდა. ადრეული სუფიებისთვის დამახასიათებელი იყო გარესამყაროს ასკეტური უარყოფა, „ამ სამყაროდან გაქცევა“, სიმდიდრის, ფუფუნების გმობა, ყურანისა და მოციქულის სუნას მითითებათა უმკაცრესი დაცვა ყოველდღიურ ცხოვრებაში, ხშირი ლოცვა და დამატებითი მარხვა, როგორც სულის გადარჩენის იდეალური საშუალება. ასკეტებს წესად ჰქონდათ მხოლოდ ერთი დღის სამყოფი მოწყალების შეგროვება, რადგანაც საზრდოს მომარაგება თავაქულის პრინციპის დარღვევად ითვლებოდა. სუფიას საზრდო მხოლოდ საკუთარი შრომით ან მოწყალების თხოვნის გზით უნდა მოეპოვებინა. სუფიზმის არსებობის პირველი ეტაპის დასასრულს სუფიების ასკეტური მსოფლმხედველობა თანდათან შეივსო და გამრავალფეროვნდა მისტიციზმის ელემენტებით. ამ სახის სუფიზმის ერთ-ერთ ჩამომყალიბებლად ითვლება ჰასან ალ-ბასრი.



სუფიზმის მეორე ეტაპი მოიცავს პერიოდს X საუკუნიდან XII ს-ის ბოლომდე. ეს არის ძირითადი მისტიკური სკოლების ჩამოყალიბებისა და მოძღვრების სრულყოფის პერიოდი. IX ს-დან სუფიზმის ისტორიაში სრულიად ახალი ეტაპი იწყება. გარდა ბასრისა, დიდი მნიშვნელობა შეიძინა ბაღდადის და ხორასნის სკოლებმა. შეიქმნა სუფიზმის სხვადასხვა, ერთმანეთისგან დაშორებული მიმდინარეობები. სუფიზმის უპირველესი ინტერესის სფერო გახდა მისტიკოსის შინაგანი სულიერი ცხოვრება. მისტიკოსი მიუყვება გზას (არაბ. الطارق-ატ-ტარიკ), რომლის გავლისას იგი განიწმინდება ამქვეყნიური სიბინძურისგან და ამ გზით უახლოვდება ღმერთს. სუფიზმი გავრცე-ლებული იყო ძირითადად ქალაქებში, უმთავრესად ხელოსანთა და წვრილ ვაჭართა წრეებში.

X-XI საუკუნეები სუფიზმის ისტორიაში აღმავლობის ხანაად ითვლება. ამ დროს სუფიურმა მსოფლმხედველობამ და ტრადიციამ ჩამოყალიბებული სახე მიიღო. განვითარების უფრო მაღალ საფეხურს მიაღწია სუფიურმა მეცნიერებამ. სუფი ღვთისმეტყველები ხაზს უსვამდნენ ისლამში სუფიზმის არსებობის კანონიერებას, ისლამური თვალსაზრისით თასსავუფის თეორიისა და პრაქტიკის გამართლებას. ალისა და მუჰამადის პირველი მიმდევრების სახელს უკავშირდება სუფიური ცოდნის სისტემატიზაცია. მათ მიერვე იქნა

შემოდებულ მხოლოდ სუფიებისთვის დამახა-სიათებელი, მისტიკური გზის აღმნიშვნელი და მისტიკოსის სულიერი მდგომარეობის გამომხატველი სპეციფიკური ტერმინოლოგია.



სუფიზმის განვითარების ისტორიის მესამე ეტაპი მოიცავს პერიოდს XIII საუკუნიდან XV საუკუნემდე. XIII საუკუნეში სუფიზმი მუსლიმური საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი ელემენტი ხდება, რაშიც დიდია ალ-ღაზალის წვლილი. სწორედ მის სახელს უკავშირდება სუფიების მიერ შემუშავებული მორალურ-ეთიკური პრინციპების ფასეულობის აღიარება. ასევე ისლამისთვის რწმენის მისტიკური აღქმის ღრმა მნიშვნელობის მინიჭება. სუფიზმის მესამე ეტაპი არის „სამმოების“ ანუ „სუფიური ორდენების“ - ტარიკატების ჩამოყალიბების პერიოდი. თორმეტ უმთავრეს სუფიურ სამმოდ ითვლება: კადირია, შაზილია, რიფაია, სუჰრავარდია, იასავია, ნაკუმბანდია, ჩიშტია, კუმბრავია, მავლაავია, ბადაავია, ბექთაშია და ჰალვათია.

სუფიური სავანეები (ზავია, ხანაკა, რიზატი) მისიონერული პროპაგანდისა და რელიგიური ცხოვრების ცენტრებად იქცნენ. სწორედ მათ გარშემო ჩამოყალიბდა აღნიშნული სუფიური სამმოები. ამ უკანასკნელთ ნაწილობრივ ქრისტიანულ ორდენებს ამსგავსებენ. პირველი ასეთი სამმოები იყო სუჰრავარდია და კადირია, რომლებიც აბდ ალ-კადირ ალ-ჯილანისა და უმარ ას-სუჰრავარდის მოწაფეებმა დააარსეს. სამმოთა მსოფლმხედველობითი საფუძვლების შექმნა მიეწერებათ უმარ ას-სუჰრავარდისა და აბდ ალ-კადირ ალ-ჯილანის. სუფიებს შორის არსებობდა იერარქია. ყველაზე დიდ სუფი შაიხებს წმინდანებს უწოდებენ.

იერარქიულად დაბლა მყოფნი აღიარებენ აღიარებდნენ მათ უზენაეს ავტორიტეტს რელიგიურ და საერო ცხოვრების სფეროში. ასევე მათ მიიჩნევენ უცოდველებად და ღვთის რჩეულებად. წმინდანთა საფლავები პილიგრიმობის ადგილებად მიიჩნეოდა. დღევანდელი მონაცემებით, მსოფლიო მასშტაით 70-მდე სუფიური სამმო არსებობს.

სუფიზმის განვითარების მესამე ეტაპზე, სუფიზმი საკმაოდ გავრცელებული იყო თბილისის მუსლიმურ მოსახლეობაშიც. სუფი იყო თბილისიდან გამოსული არაერთი მუსლიმი მოღვაწე ათ-თიფლისის ნისბით, მათ შორის სახელგანთქმული შაიხების აბუ ნაჯიბ ას-სუჰრავერდისა და შიჰაბ ად-დინ ას-სუჰრავერდის მიმდევრები. არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი სუფიებს ასახელებს იმ მუსლიმთა შორის, რომლებსაც პატივს მიაგებდნენ მეფეები დავით IV და დემეტრე I.

სუფიზმის მეოთხე პერიოდი მოიცავს XVI-XVII საუკუნეებს. ეს არის სუფიზმის გავრცელების მოგვიანო ეტაპი. მე-16 საუკუნიდან დაწყებული სუფიზმი ისლამური ცივილიზაციის სოციალური სტრუქტურის საყრდენი იყო და მას შემდეგ იგი გავრცელდა როგორც მუსლიმურ სამყაროში, ასევე ჩინეთში, დასავლეთ აფრიკასა და შეერთებულ შტატებში. სუფიზმის გავრცელებისთანავე მას მოერგო ადგილობრივი კულტურისა და რწმენის ელემენტები, რაც მას პოპულარულ პრაქტიკად აქცევს. საუკუნეების განმავლობაში სუფიზმი შეიცვალა თავისი მანიფესტაციებით, ეგუებოდა ადგილობრივ კულტურებს და იღებდა სხვადასხვა ენას, თავის მხრივ აძლევდა მათ იდეებს და კონცეფციებს, რომლებიც გახდნენ ენის, ლიტერატურისა და პოპულარული კულტურის ნაწილი.

სუფიები ღმერთთან მიახლოებას, მასთან შეერთებას ასკეტიზმითა და მედიტაციით ცდილობენ. სუფიზმის მიზანი აბსოლუტური რეალობის წვდომაა. სულიერი თვითგანწმენდის გზაზე მოწაფეს ეხმარება მასწავლებელი, მოძღვარი, რომელიც მას ასკეტიზმისა და სულიერი ცხოვრების საიდუმლოებებს უზიარებს. მას ასწავლის ხორციელი ვნებების დაძლევა, წვრთნის საკუთარი ეგოს გადალახვაში, რაც მუსლიმურ ფილოსოფიაში “ალ-ჯიჰად ალ-აქბარ“-ის ტერმინით აღინიშნება. სუფისტური პრაქტიკა ყურადღებას

ამხვილებს ამქვეყნიური, მატერიალური ნივთების უარყოფაზე, სულის განწმენდასა და მისი ბუნების მისტიკურ ჭვრეტაზე. როგორც უკვე ითქვა, სუფიზმის მიმდევრები ცდილობენ დაუახლოვდნენ ღმერთს, ტარიკის სახელით ცნობილ სულიერ სწავლებას.

სუფიზმის თეორეტიკოსმა იბნ არაბიმ სუფიური პრაქტიკის 4 საფეხური გამოყო: შარიათი (რელიგიური კანონი), ტარიკათი (განწმენდისკენ მიმავალი გზა), ჰაკიკათი (მისტიკური ჭეშმარიტება) და მა'რიფა (მისტიკური ცოდნა – შინაგანი, ინტუიტიური ცოდნა). ვისაც ღმერთთან მეტი სიახლოვე სურს, დაადგება ჭეშმარიტების გზას ანუ ტარიქათს. ამის შემდეგ მთლიანად უნდა უარყოს მიწიერი საზოგადოება და გაემზადოს მესამე საფეხურისთვის- მა'რიფათისთვის, რომელზეც ის განსაკუთრებული სულიერი ტექნიკის ზიქრის (ზიქრი - ღმერთზე მოგონებები) მეშვეობით აღწევს უმაღლეს სიბრძნეს და საგანთა არსს სწვდება. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ღვთაებრივი ჭეშმარიტების სრული შეცნობა შესაძლებელია მხოლოდ მეოთხე საფეხურზე-ჰაკიკათზე. ეს კი მხოლოდ წმინდანებს, ზაჰიდებს ხელეწიფებათ. სუფიებს მიაჩნიათ, რომ ამ გზის მიღწევა შესაძლებელია რიგი რიტუალებისა და პრაქტიკის საშუალებით, რომლებიც განსხვავდება სხვადასხვა მისტიკურ სკოლებში. ამ გზის სიმბოლოდ სუფიზმში მიღებულია ვარდი - მისი ეკლები შარიათს, ღერო ტარიქათს, ყვავილი მარიფათს, სურნელი კი ჰაკიკათს განასახიერებს.



სუფიზმმა განსაკუთრებული გავლენა იქონია კულტურაზე, კერძოდ, კლასიკურ სპარსულ და თურქულ პოეზიაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია „მასნავი“, მოცულობითი პოემა, რომელიც სპარსულენოვან სამყაროში ცნობილია როგორც "ყურანი სპარსულად". მისი ავტორია ჯალალ ად-დინ რუმი, სუფიური პოეზიის ერთ-ერთი უდიდესი ვარსკვლავი. „მასნავი“ იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული ყურანთან და მის მისტიკურ ინტერპრეტაციასთან, რომ იგი შეიძლება ჩაითვალოს სუფიურ პოეტურ შედევერად, რომელიც წარმოადგენს ყურანის ეგზეგეზის დამოუკიდებელ ნაწარმოებს. სუფი შემოქმედებიდან ჯალალ ად-დინ რუმის გვერდით აუცილებლად უნდა ვახსენოთ ომარ ხაიამი, ჰაფეზი, ნიზამი განჯელი, აბდულრაჰმან ჯამი და სხვა.

სუფიზმის მთავარი პერსონაჟი, რომელიც შეგვიძლია აღვნიშნოთ ტერმინით „ეზოთერიზმი“ (ძველი ბერძნულიდან *esōtērō*, „შემდგომი შინაგანი“), დარჩა სუფიზმის მრავალი მანიფესტაციის საერთო მნიშვნელობად თითქმის ნებისმიერ დროსა და ადგილზე. სუფიზმის ეზოთერული არსი მიუთითებს ორმაგ მნიშვნელობაზე, რომ იყოს ინდივიდუალური ერთგული და არჩეულთა შიდა წრეში. სუფიური ტერმინოლოგიაში გამოიყენება დამატებითი ტერმინები *zahir* ("რაც გარეა", ეგზოტერული) და *batin* ("რაც შინაგანია", ეზოთერული); ეს ტერმინები აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ყველაფერს, რაც არსებობს, აქვს გარეგნული სახე და შინაგანი რეალობა. კოსმოსის ბუნებრივი მოვლენებიდან დაწყებული ადამიანებით და თვით ყურანით, ყველაფერს აქვს პირდაპირი, პირდაპირ აღქმადი მნიშვნელობა და უფრო ღრმა, ჭეშმარიტი რეალობა. სუფის მიზანია ამ ჭეშმარიტი რეალობის მიღწევა და, შესაბამისად, სუფიზმი აღწერილია, როგორც ეგზოტერულიდან ეზოთერულამდე მიმავალი გზა, რომლის დასასრულს წარმოადგენს ღმერთის ცოდნა (მა'რიფა) და მასთან კავშირი.

არსებობს სუფიზმის ორი სახე: „უასრულობის მისტიკა“ და „პიროვნულობის მისტიკა“. პირველ მათგანში ღვთაებრივი გამოიხატება, როგორც უკიდევანო ზღვა. მასში


ინდივიდუალური "მე" ისე იკარგება, როგორც წყლის ერთი წვეთი. ხოლო „პიროვნულობის მისტიკაში“ კი მსახურისა და უფლის ურთიერთობაა აქტუალური.

სუფიზმი არ არის ორიენტირებული გარეგნულ ფორმებზე. სუფია ყოველ ადამიანს შეუძლია გახდეს მიუხედავად რელიგიური, ეროვნული თუ სოციალური კუთვნილებისა და შეუერთდეს ჭეშმარიტ მოგზაურობას, რომელიც ყოველთვის შინაგანისკენ მიემართება.

საბოლოო ჯამში დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ VIII-IX საუკუნეებში ჩამოყალიბებული ასკეტურ-მისტიკური მიმართულება სუფიზმი დღესაც აქტიურად ჰანაგობს არსებობას. მან უდიდესი გავლენა იქონია სპარსულ და თურქულ მწერლობაზე, ასევე კულტურასა და ზოგადად, მუსლიმთა ცხოვრებაზე.

*სალომე მაჭარაშვილი*

# კულტურა და ცივილიზაცია





## ნიკლის გალერეაში შენახული ბორჩალოური ხალიჩის ანალიზი

ხალიჩა ეს არის მხატვრულ-დეკორატიული ნაწარმი, რომელზეც წარმოდგენილია მრავალფეროვანი ორნამენტული კომპოზიცია. მკვლევართა აზრით, ხალიჩის ისტორია ძვ. წ. 7000 წლის წინ იწყება, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ადამიანები მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ. ალბათ, ხალიჩის ქსოვისას ამ მომთაბარეების მთავარი მიზანი საკუთარი თავის დაცვა იყო სიცივისგან და ამიტომ ამ ხალიჩებს მათთვის ყოფითი დანიშნულება ჰქონდა, რომელიც შემდგომ უკვე ტრადიაცაში გადავიდა და ვიზუალურადაც დაიხვეწა – ესთეტიური დანიშნულება შეიძინა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდში ხალიჩები ცხოველის მატყლისაგან კეთდებოდა და საცხოვრებელში სითბოს შენარჩუნების ფუნქციას ასრულებდა.




საქართველო ხალიჩის ქსოვის ისტორიაში მნიშვნელოვან როლს იკავებს. ჩემი კვლევის საგანსაც საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული მხრის ბორჩალოს მაზრას, ბორჩალოური ხალიჩა წარმოადგენს. უწინ ადმინისტრაციული დაყოფის შესაბამისად ბორჩალოს მაზრა თბილისის გუბერნიაში შედიოდა, საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს ფარავდა, რომლის დიდი ნაწილი ამჟამინდელი ქვემო ქართლია. ისტორიული ცნობების მიხედვით, ბორჩალოს მაზრა სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში მდებარეობდა. აქ მცხოვრები აზერბაიჯანულენოვნები თავის დროზე მომთაბარეობას ეწოდნენ. ბორჩალოელები მესაქონლეობით და მეცხვარეობით იყვნენ დაკავებული. მოგეხსენებათ, საქონელი ისეთი ცხოველია, რომელსაც შეგიძლია ერთი ადგილი მიუჩინო და იქვე მოუარო, მაგრამ ცხვარი ერთ ადგილას არასდროს ჩერდება. ამიტომაც ვისაც ცხვრის ფარა ჰყავდა, უწევდა ზაფხულში სამოვრებში, იაილალში, ზამთარში კი ბარში (ყიშლალში) ყოფნა. ასეთი სახის მომთაბარეობა ახლაც შენარჩუნებულია საქართველოს აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობაში. მაგალითად, ქვემო ქართლის მოსახლეობა (ძირითადად მარნეული და ბოლნისი) ზაფხულში დმანისში, წალკაში და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში გადადის. კახეთის რეგიონის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ნაწილი ზაფხულში დმანისი-წალკა-ნინოწმინდაში, ნაწილი ბაკურიანში და ფშავში გადადის. ამ საზაფხულო რეზიდენციებში მომთაბარეებს მუსლიმთა სასაფლაოები ან წარმართული სალოცავებიც გააჩნიათ, რომელიც ამ ტერიტორიებში მათ არსებობას გვიმტკიცებს.

ახლა კი უშუალოდ მივლინა გესაუბროთ იმ ბორჩალოურ ხალიჩაზე, რომელიც 1890 წლით არის დათარიღებული. იგი კანადაში, კალგარის უნივერსიტეტის ტექსტილის მუზეუმში, "Nickle"-ის გალერეაში ინახება. აღწერაში ვკითხულობთ, რომ ბორჩალოური ხალიჩის ამ სტილს ფახრალის უწოდებენ. იქვე წერია, რომ ფახრალი საქართველოში მდებარე სოფელია. 90-იან წლებში ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელი ფახრალის სახელი შეცვალეს და დღეს ის ტალავერის სახელით არის ცნობილი.

ფახრალოს დიზაინის იდენტური ხალიჩა გვხვდება ბარონ დე ბაის (ამურ ოგიუსტ ლუი ჟოზეფ ბერტელოს) მიერ დაახლოებით ერთი საუკუნის წინ საქართველოში, კერძოდ ძველ ტიფლისში გადაღებულ ფოტოებს შორის (ფოტო 1. 2).

„ბარონი ჟოზეფ ბერტელო დე ბაი იყო ფრანგი არქეოლოგი და ეთნოგრაფი (1853-1931) საქართველოში პირველად 1897 წლის შემოდგომაზე გრაფი შერემეტიევის მოწვევით ჩამოვიდა. საქართველოთი მოხიბლული ფრანგი მოგზაური სამშობლოში დაბრუნებისას წერილს აგზავნის საფრანგეთის სახალხო განათლებისა და ხელოვნების სამინისტროში და ოფიციალურ მივლინებას ითხოვს კავკასიის რეგიონის შესასწავლად. 1903 წლამდე ბარონი დე ბაი ყოველ წელს ჩამოდიოდა საქართველოში და თითქმის ყველა მხარე მოიარა: კახეთი, ქართლი, იმერეთი, გურია, აჭარა, სამეგრელო, აფხაზეთი. მოგზაურობისას იგი ფოტოებს იღებდა და საფრანგეთში დაბრუნებისას მათ საკუთარი წიგნების ილუსტრირებისათვის იყენებდა. ბარონ დე ბაის მიერ საქართველოზე დაწერილ წიგნებში საინტერესოდ არის აღწერილი მისი თვალით დანახული XIX-XX საუკუნეების მიჯნის საქართველო.“

ბარონ დე ბაის მიერ გადაღებულ ფოტოზე ვხედავთ, რომ იქ მყოფებს ხალიჩა გაუმლიათ, ერთ-ერთ მათგანს ხელში ჯოხიც უჭირავს, როგორც ჩანს ხალიჩის პიქტოგრამებსა და ელემენტებს განიხილავენ. აქედან გამომდინარე კიდევ ერთხელ შეიძლება დავადასტუროთ ის ფაქტი რომ ხალიჩაზე არსებულ ყველა ორნამენტსა და სიმბოლიკას თავისი ფილოსოფიური მნიშვნელობა გააჩნია.



ხალიჩაზე ასახული ორნამენტებისა და ელემენტების შესწავლისას გავითვალისწინე სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომი, სადაც ამა თუ იმ პიქტოგრამის მნიშვნელობის შესახებ მოსაზრებები იყო შეჯამებული. მკვლევრებმა ეს მასალები რეგიონებში მცხოვრებ ხანდაზმულ მქსოველებთან ფოკუს-ჯგუფების ჩატარების მეშვეობით მოიპოვეს. წიგნებში არსებული მონაცემების შესამოწმებლად დავგეგმე ექსპედიციები ქვემო ქართლის სხვადასხვა სოფლებში. და მაშინ, როცა ქვემო ქართლში ვიმყოფებოდი შევეცადე იქ მყოფი მქსოველი ქალების დამოკიდებულება და აზრი გამომეკითხა პიქტოგრამების დანიშნულების შესახებ. ასე რომ, ამ ხალიჩაზე ასახული ელემენტების შესახებ ინფორმაცია არამარტო ენციკლოპედიებიდან მოვიპოვე, არამედ ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციაც გამოვიყენე.

ქვემოთ წარმოგიდგენთ ხალიჩის პიქტოგრამების აღწერას.

1. ფოთოლი ხალიჩებზე დამოუკიდებელი ან დამხმარე ელემენტია. გეომეტრიული ელემენტებით შექმნილ ხალიჩებზე ვხვდებით ფერად და სტილიზებულ ფოთლებს. ამ ტიპის ხალიჩებზე ფოთოლს თაობის, გენეალოგიის, შთამომავლობის და ბარაქის მნიშვნელობით იყენებდნენ.



2. ისარი ბორჩალოურ ხალიჩებზე ფართოდ გამოყენებული ელემენტია. ჩვენ ვხვდებით სხვადასხვა ფერის საშუალო ან პატარა ისრებს, რომლებიც რთულ ქსოვილებში გამოიყენება, როგორც საყრდენი ელემენტები. როგორც ხედავთ ამ სურათზე ოთხი ისარია და ოთხივე მიემართება ცენტრისკენ, იქ კი კვადრატს ქმნიან, რომელიც თვალის ელემენტია. ზოგჯერ ისრების წვერები მიმართულია არა ცენტრისკენ, არამედ კიდეებისკენ. ისრებისა და მისი

წვერების ფერი მქსოველის შემოქმედობითობაზეა დამოკიდებული (მაგალითად: თეთრი ისრის წვერი წითლად არის ნაქსოვი, წითელი ისრის წვერი ყვითელით და ა. შ.). ეს თვისება აძლიერებს ისრების ესთეტიკურ როლს ხალიჩის საზღვრებთან. ხალიჩებზე ისრები დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო ენერჯის და ძლიერი წადილის სიმბოლოა.

ხალიჩის კიდეებში ვხედავთ განსხვავებული ფორმის ისრებს, ეს ისრები ორჯერ მეორდება და თითქოს ისევე როგორც გაღავანი მტრისგან იცავს ხალხს, ეს ისრები ამ ხალიჩაში გატარებულ აზრს და იდეას იცავს.



3. “სიცოცხლის ხე” ბორჩალოურ ხალიჩებში საკმაოდ გავრცელებული პიქტოგრამია. იგი ოჯახის, საგვარეულოს, გენეოლოგიური კავშირის აღმნიშვნელია. ეს ხე გენეოლოგიური ხე ანუ საოჯახო ხეა - ჯერ ოჯახი იქმნება, შემდეგ ტოტები იშლება, შემდეგ შვილები ქმნიან ოჯახს ასე იზრდება ოჯახი, როგორც ხის ტოტები. საყურადღებოა აზერბაიჯანული ფრაზა “min budaq ol”- (სიტყვასიტყვით: მრავალი ტოტი მოისხი), რაც ნიშნავს რომ გამრავლდი, ასე ულოცავენ ახლად დაოჯახებულებს ქორწილის დღეს. მქსოველი ამ ელემენტს მიზანმიმართულად იყენებს, რითაც თავის ვაჟს/ქალიშვილს გამრავლებას უსურვებს. შემდგომ კი ამას მზითევად ატანს.



4. ორთავა, სამფეხა ცხოველს ბორჩალურ ხალიჩაზე ხშირად ვხვდებით. ეს პიქტოგრამა ოჯახის გამრავლების და ჯანმრთელი ნაყოფის სიმბოლოა.



5. ბორჩალურ ხალიჩაზე კიდევ ერთ საინტერესო პიქტოგრამას “თვალს” ვხვდებით. ეს არის დამცავი ამულეტი და რწმენა, რომელიც ამ პიქტოგრამის მფლობელს, ოჯახს, თემს იცავს ცუდი თვალისგან, უბედურებისგან, ბოროტი ძალებისგან და მტრისგან. თვალის პიქტოგრამა ბორჩალოურ ხალიჩებში სხვადასხვა ფორმისაა. აქ მოცემულია რომბული ფორმის თვალი, რომელიც იყოფა ოთხ თანაბარ და ფერად ნაწილად.



6. ბეჭედი ოჯახის, სოფლის, ტომის სიმბოლოა. ეს არის ერთგვარი ხელმოწერა მქსოველისა ხალიჩაზე. ბეჭედი ნიშანია იმისა თუ ვინ შექმნა ეს ხალიჩა. ძველ დროში მქსოველი ხალიჩაზე თავის ინდივიდუალურ ხელმოწერას ტოვებდა (მისთვის შესაბამისი ბეჭედის ფორმაში.) გარკვეული დროის შემდეგ კი, ბეჭედების მნიშვნელობა გაიზარდა და სხვადასხვა გაერთიანების, ტომების, საგვარეულოების სიმბოლოდ იქცა.

მაგრამ დროთა განმავლობაში, ამ ბეჭედების ზუსტი მნიშვნელობა დაიკარგა, რადგან ვისთვისაც ეს ნიშანი რაიმეს ნიშნავდა გარდაიცვალა. სწორედ ამიტომ დღეს ამ ბეჭედების სწორი განმარტება არ არსებობს. შეუძლებელია მისი ვინაობის და რაობის დადგენა, თუ კი სხვა წერილობით წყაროებში ან სხვაგან სადმე მის მგსავს არ აღმოვაჩენთ.

ბეჭდის ნაწილებით შესაძლებელია დაახლოებითი ინფორმაციის თქმა იმ ოჯახზე, საგვარეულოზე, სოფელზე თუ ტომზე, რომელმაც ეს ხალიჩა შექმნა. თუმცა ეს ინფორმაცია ზუსტი ვერ იქნება, უბრალოდ ჩვენებური, თავისებური განმარტება ექნება.



6. კიდევ ერთი ელემენტი, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბორჩალოურ ხალიჩაზე გახლავთ სვასტიკა (čarxi falak - ცის ბორბალი). სხვადასხვა ფორმის სვასტიკა საქართველოში აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობით დასახლებულ ადგილებში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებში, ნაგებობებში, საფლავის ქვებზე და ბორჩალოურ ხალიჩაზეც გვხვდება. ეს ელემენტი ცხოვრების მარადიულობის ნიშანია.



7. ამ ხალიჩაზე ვხვდებით ორი სახის დრაკონს ერთ-ერთ მათგანს ლათინური ასოს “s-ს” ფორმა აქვს, ხოლო მეორეს რომბის ფორმა. დრაკონი, როგორც აღმოსავლურ მითოლოგიაში, ასევე საერთო თურქულ კულტურაში და მათ შორის ბორჩალოურ ხალიჩებში სიმრავლის სიმბოლო და სახლის, ოჯახის და ტომის მფარველია. ამ ელემენტს დამცველის, მფარველის მნიშვნელობა აქვს, რომელიც ადამიანს, ოჯახს, თემს და კერძოდ ამ ხალიჩის მფლობელს იცავს ბოროტი ძალებისგან, მტრისგან. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ისტორიულად, ბორჩალოურ ხალიჩებზე უარყოფითი სახის სიმბოლოები არ არის წამოდგენილი. თითოეულ მათგანს პოზიტიური დატვირთვა აქვს.



8. ვერძის რქა ზოომორფული ელემენტია. ცხვრის, ვერძის, თხისა და სხვა ცხოველების გამოსახულებები, რომელსაც ხალიჩაზე ვხვდებით არის სამიწათმოქმედო საქმიანობის, სიუხვის, სიმდიდრის სიმბოლო. ვერძი წარმოადგენს გადამრჩენს მითებში, ლეგენდებსა და ზღაპრებში.



9. ვარსკვლავს ბორჩალოურ ხალიჩებში დეკორატიულ ელემენტად იყენებენ. ამასთან, კომპოზიციის განმტკიცების მიზნით, ვარსკვლავი გამოიყენება, როგორც სინათლის, ინტელექტის, ბედნიერებისა და სიახლის სიმბოლოდ. ეს უშუალოდ უკავშირდება ხალხის იდეებსა და რწმენებს.

ბორჩალოური ხალიჩის ელემენტების განხილვის შედეგად შეიძლება, ითქვას რომ ხალიჩას არამარტო ესთეტიური მნიშვნელობა აქვს არამედ ის ატარებს ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ნიშნებს.

ბორჩალოური ხალიჩის ცალკეული ნაწილების პიქტოგრამები უკვე განვიხილე, ახლა კი შეჯამების სახით წარმოგიდგინთ ამ ელემენტების ერთობლივ ახსნას. ხალიჩის მთლიანი კომპოზიცია რამდენიმე ნაწილად იყოფა. ტრადიციულად, მქსოველის მიერ გადმოცემული აზრი ცენტრალურ ნაწილშია დამალული. ამასობაში ხალიჩა სამი გარე ხაზებითაა შემოსაზღვრული. პირველი და მესამე შრე ისრებია, რომელიც დამცველი ელემენტია. მოცემულ შემთხვევაში ისრები ციხე-სიმაგრისა და გალავნის შთაბეჭდილებას ტოვებს. ანუ მქსოველი ხალიჩის ცენტრში გამოხატულ სურვილს, ლოცვას, აზრს თუ ფილოსოფიას, ამ გარე ხაზებით იცავს. გარე ხაზების მეორე შრეზე გვხვდება ფოთლებისა და ისარ-თვალეების



კომბინაცია. ფოთლები მოცემულ შემთხვევაში ბარაქის გამოხატულებაა, ისრებსა და მათ შორის თვალს დამცველის ფუნქცია აქვს.

რაც შეეხება ცენტრალურ სივრცეს, მოცემულ შემთხვევაში ფახრალის ხალიჩებისათვის დამახასიათებელი ე.წ. ტბა, მედალიონი გააჩნია, რომელიც ძლიერი ოჯახის აღმნიშვნელია. მედალიონი აერთიანებს ვარსკვლავებს, სიცოცხლის ხეს, დრაკონს, თვალს და ასე შემდეგ. ცენტრალურ სივრცესთან კი დამატებითი პიქტოგრამებია, როგორებიცაა დრაკონი, სამფეხა ორთავა ცხოველი, ვარსკვლავი, სვასტიკა და სხვა.



*საბინა კაზიმოვი*

## კაიროს ალ-აზჰარის უნივერსიტეტი

მსოფლიოში პირველი უნივერსიტეტი დაარსდა ევროპის ტერიტორიაზე, XI საუკუნეში. მოგვიანებით, XIII საუკუნიდან საგრძნობლად გაიზარდა მათი რიცხვი და გასცდა ევროპის საზღვრებს. ისლამურ სამყაროში პირველი უნივერსიტეტი გაცილებით ადრე, X საუკუნეში დაარსდა. ეს უკანასკნელი ცნობილია ალ-აზჰარის უნივერსიტეტის სახელით, არაბ. الأزهر الشريف (ალ-აზჰარ ალ-შარიფ) ქართულად „ღირსეული აზჰარის“ მნიშვნელობით ითარგმნება.


ალ-აზჰარის უნივერსიტეტი დაარსდა 970 წელს. იგი არის ერთ-ერთი უძველესი წამყვანი ეგვიპტური უნივერსიტეტი კაიროში, განთქმული მსოფლიოში მისი ისლამური კვლევისა და განათლების ცენტრით. უნივერსიტეტის სახელი უკავშირდება ალ-აზჰარის მეჩეთს ძველ კაიროში, რომელსაც, თავის მხრივ, სახელი ფატიმა აზ-აჰარას, წინასწარმეტყველი მუჰამედის ქალიშვილის პატივსაცემად დაერქვა. ფატიმიდების ეპოქაში (972-1171), ალ-აზჰარი იყო საშუალო უნივერსიტეტი, იგივე მედრესე, რომლის მიზანი იყო შიიტური სწავლების გავრცელება ეგვიპტეში. მას უნივერსიტეტის სტატუსი 1961 წელს მიენიჭა.

ალ-აზჰარის უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი დაიწყო 975 წელს, რამადანის თვეში. უნივერსიტეტის თავდაპირველი მიზანი იყო ისლამური კულტურისა და არაბული ენის (ყურანის ენა) პოპულარიზაცია. ალ-აზჰარი პირველ ეტაპზე, ისლამური სწავლების დაწესებულება იყო და განათლების პროცესი არაფორმალურად მიმდინარეობდა. არ არსებობდა უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღებისთვის განსაზღვრული კრიტერიუმები. აგრეთვე დაწესებულებას არ ჰქონდა ოფიციალური სასწავლო გეგმა და არც სხვა დამატებითი კვალიფიკაციები. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ თავდაპირველ ეტაპზე არ გაიცემოდა სწავლის დასრულების დამადასტურებელი დიპლომები.

უნივერსიტეტს ჰქონდა ისლამური სამართლისა და იურისპრუდენციის ფაკულტეტი. ისწავლებოდა არაბული ენა, ისლამური ასტრონომია, ისლამური ფილოსოფია, მედიცინა და

ლოგიკა. ახლად დაარსებულ სასწავლებელში თვდაპირველად სწავლება რელიგიის გარშემო ტრიალებდა. ეს უნივერსიტეტი მსოფლიოში ერთადერთი არსებული აკადემიური დაწესებულებაა, რომელიც ორგანიზებულია მისი ორიგინალური ისლამური მოდელის საფუძველზე.

ალ-აზჰარის სასწავლებელმა ბევრ პოლიტიკურ თავდასხმას გაუძლო. თავდასხმებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი მე-12 საუკუნეში ახალი დინასტიის შემოტევა იყო, როდესაც 100,000-ზე მეტი ტექსტი განადგურდა. ალ-აზჰარის უნივერსიტეტი XII საუკუნის II ნახევარში დაეცა აიუბიდების დინასტიის დამაარსებლის, სალადინის მიერ ეგვიპტის აღების შედეგად. დაცემის შემდეგ უნივერსიტეტი გადაიქცა სუნიტების სწავლების ცენტრად. აიუბიდების მიერ ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ, ალ-აზჰარი გადაკეთდა სუნიტურ ისლამურ სასწავლებლად. მაგრამ ეგვიპტეში აიუბიდური სკოლების დაარსებისთანავე, ისლამურ სამყაროში ალ-აზჰარის პოზიციამ მოწინავე რიგებიდან უკან გადაინაცვლა. იგი მხოლოდ უმნიშვნელო სასკოლო დაწესებულებად ითვლებოდა ეგვიპტის, ბაღდადის, სირიისა და ანდალუსიის მრავალ სკოლას შორის. დაზიანებული ალ-აზჰარის უნივერსიტეტი მამლუქების დროს (1250–1517) აღდგა. ამის შემდეგ დაიწყო განვითარება, როგორც სუნიტების სტიპენდიის ცენტრი. იგი კვლავ დაზიანდა 1300-იანი წლების დასაწყისში მომხდარი მიწისძვრის შედეგად, შემდეგ კი კვლავ რეაბილიტირდა.



უნივერსიტეტში სტრუქტურული დამატებები, ცვლილებები და განახლებები დაიწყო XIV-XV საუკუნეებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მამლუქების პერიოდი, როდესაც ალ-აზჰარი მათი პირდაპირი პატრონობის ქვეშ იმყოფებოდა. მამლუქთა სულთან ბაიბარსისა და პრემიერ მინისტრის იზ ალ-დინ აიდმერის დროს ალ-აზჰარი აღორძინების მოწმე გახდა, რის შედეგადაც ის გახდა ისლამური განათლების უმაღლესი რანგის ინსტიტუტი. აიდმერი ცხოვრობდა ალ-აზჰარის მეზობელ სასახლეში. მან ბაიბარსს შესთავაზა მეჩეთის განახლების გეგმა. სულთანი მიესალმა აღნიშნულ იდეას და მეჩეთის განახლებისთვის გარკვეული ოდენობის თანხა გამოყო. ამ საქმეში აიდმერს ფინანსურად მხარს უჭერდნენ გავლენიანი მამლუქები. ამის შემდეგ, აიდმერმა ბაიბარსს შესთავაზა ალ-აზჰარში პარასკევის მთავარი ლოცვის შესრულება და დადებითი პასუხი მიიღო. აიდმერმა მეცნიერებს უფლება მისცა ალ-აზჰარის მეჩეთი გამოეყენებინათ თავიანთ მთავარ სასწავლო დაწესებულებად. დაიწყო მუსლიმი მეცნიერების ეგვიპტეში შემოდინების პროცესი, რაც ალ-აზჰარის უნივერსიტეტის ისტორიაში, ოქროს ხანის სახელით არის ცნობილი.

მამლუქების დამარცხების შემდეგ, 1517 წელს, XVII საუკუნის შუა ხანებამდე რამდენიმე მნიშვნელოვანი არქიტექტურული პროექტი განხორციელდა ალ-აზჰარის უნივერსიტეტში. ოსმალეთის იმპერიის მმართველობის პირობებშიც კი მან მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ეგვიპტის საგანმანათლებლო დაწესებულებათა შორის. მე -18 საუკუნის ბოლოს ფრანგების წინააღმდეგობამ 1798 წელს აჯანყება გამოიწვია, რომლის მიზანიც იყო ალ-აზჰარის ხელში ჩაგდება. ფრანგებმა დაბომბეს ალ-აზჰარის უნივერსიტეტი და დროებით შეწყვიტა ფუნქციონირება.

1952 წლის ივლისის რევოლუციითა და აღმავლობით თანდათან დამკვიდრდა არაბული სოციალიზმი, შესაბამისად, უნივერსიტეტი ნაციონალური მთავრობის გავლენის ქვეშ მოექცა. უფლებები ჩამოერთავთ სასულიერო პირებს და გადაეცათ პრეზიდენტებს.

უნივერსიტეტს ნელ-ნელა საბოლოოდ ჩამოსცილდნენ რელიგიური პირები და დამოკიდებული გახდა ეგვიპტის სახელმწიფოს დაფინანსებაზე.

მუჰამედ ალის ხელისუფლებაში მოსვლით (1811 წელი) და მისი ცენტრალიზებული სახელმწიფო კონტროლის პოლიტიკის გატარების შემდეგ, ალ-აზჰარი იძულებული გახდა მიეღო ცვლილებები მის ტრადიციულ ავტონომიაში. მან შიდა რეგულაციური ცვლილებები განიცადა. ასევე შეიმუშავა მოსამზადებელი სკოლების ქსელი მთელ ეგვიპტეში, საიდანაც მას შეეძლო სტუდენტების დაკომპლექტება და აგრეთვე გავლენის გავრცელება სახელმწიფო რელიგიურ განათლებაზე.

მე-19 საუკუნიდან დაიწყო უნივერსიტეტის რეაბილიტაცია. გატარდა უამრავი რეფორმა, რომელიც ჯამილ ალ-დინ ალ-აფდანის სახელთანაა დაკავშირებული. დაიწყო სწავლებისთვის ოფიციალური სახის მიცემა. ამ დროიდან დარეგულირდა უნივერსიტეტში ჩარიცხვის პრინციპები და მოთხოვნები, დაწესდა გამოცდები. 1960-იან წლებში დაიწყო რეფორმიზაციის პროცესი. დაემატა სამედიცინო და საინჟინრო ფაკულტეტები. თანდათანობით, ალ-აზჰარმა მკვეთრი ცვლილება განიცადა, რაც გულისხმობდა მის გაფართოებას, ტრადიციულად ორიენტირებული ავტონომიის მოპოვებას, საგანმანათლებლო რეფორმასა და ინტელექტუალურ ცვლილებას. 1961 წელს უნივერსიტეტის სტატუსის მინიჭების შემდეგ, ალ-აზჰარში დაიწყო აკადემიური რეფორმა, ახალი მიმართულებებისა და დისციპლინების შექმნა. აქ უკვე სწავლა შეეძლოთ უცხოელ სტუდენტებსაც, შეიქმნა ასევე ქალთა კოლეჯიც, 1962 წელს მიიღეს პირველი ქალი სუდენტი. ფუნქციონირება დაიწყო შემდეგმა ფაკულტეტებმა: ინჟინერიის, მედიცინის, ბიზნესის ადმინისტრირების, ისლამური სამართლისა და არაბული ენა და ლიტერატურის მიმართულებამ. დაიწყო საუნივერსიტეტო ჟურნალების გამოცემა. გაფართოვდა მისი გავლენა სუნიტურ მულტიმურ სამყაროში და ბევრმა მომავალმა საერთაშორისო რელიგიურმა ლიდერმა თუ მასწავლებელმა გადამზადება აქ გაიარეს.



ჯამილ ალ-დინ ალ-აფღანი, 1883 წელი.

მეოცე საუკუნის დასაწყისში უნივერსიტეტი წარმოადგენდა ისლამის შესახებ რეფორმატიული შეხედულებების გამავრცელებელ დაწესებულებას, რაც გამოიწვია მუჰამედ აბდუჰის გავლენამ. იგი ასწავლიდა ალ-აზჰარში. მოუხედავად იმისა, რომ მისმა მოსაზრებებმა ვერ მიიღო საყოველთაო მოწონება, ამ ინტელექტუალურმა გარდატეხამ მაინც ჰპოვა გავრცელების ძალა. მეოცე საუკუნის დასაწყისში უნივერსიტეტი ქადაგებდა ისლამის შესახებ რეფორმატულ შეხედულებებს.



1990-იანი წლებში ალ-აზჰარში სამოცდათხუთმეტი ქვეყნის დაახლოებით ექვსი ათასი სტუდენტი ჩაირიცხა. შუა აღმოსავლეთში და სუნიტურ სამყაროში მუსლიმთა სწავლების სხვა რელიგიური დაწესებულებების გაჩენის შემდეგ, ალ-აზჰარმა დაკარგა თავისი საუკეთესო პროფესორი. მიუხედავად ამისა, იგი მაინც პირვანდელ პოზიციებს არ თმობდა. ამჟამად, ალ-

აზკარის უნივერსიტეტში არის საბაკალავრო, სამაგისტრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამები. უნივერსიტეტს აქვს 81 ფაკულტეტი, 9 ინსტიტუტი, 359 აკადემიური განყოფილება, 42 ცენტრი, 6 საუნივერსიტეტო საავადმყოფო და 27 ზოგადი ადმინისტრაციული ერთეული. ალ-აზკარი მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგში 701 პოზიციაზეა, ხოლო არაბეთის რეგიონის უნივერსიტეტებში 37-ე ადგილს იკავებს. უნივერსიტეტის სტუდენტთა რაოდენობა 20,000 -ს აღწევს. ტრადიციულ სწავლებებთან ერთად, უნივერსიტეტში – ბიზნესის, ეკონომიკის, მეცნიერების, მედიცინის, ინჟინერიისა და აგროკულტურის პროგრამები მოქმედებს.

საბოლოო ჯამში დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კაიროს ალ-აზკარის უნივერსიტეტი არის ერთ-ერთი უძველესი უმაღლესი სასწავლო დაწესებულება მსოფლიოში. ალ-აზკარის უნივერსიტეტი არის ერთადერთი უძველესი ისლამური სასწავლო დაწესებულება, რომელმაც დღემდე მოაღწია. იგი ერთ-ერთი წამყვანი უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ისლამურ სამყაროში.

*სალომე მაჭარაშვილი, სოფო მოლაშხია*

## კოლონიალიზმის ბრიტანული ხელოვნება ინდოეთში

ინდოეთი ბრიტანულ კოლონიად ოფიციალურად 1876 წელს იქცა, თუმცა ბრიტანული კოლონიალიზმის გავრცელება ინდოეთში უფრო ადრე დაიწყო, კერძოდ 1757 წელს. ბრიტანეთის საზღვაო ფლოტი და ვაჭრები ინდოეთში ჩავიდნენ და 1760-იანი წლების დასაწყისში ინდოეთი მოგოლის იმპერატორისგან შეიძინეს და მომდევნო 200 წლის განმავლობაში მათ დაქვემდებარებაში იყო. ბრიტანეთი წარმოადგენდა ინდოეთისთვის მმართველ სისტემას, რომელიც აკონტროლებდა როგორც პოლიტიკას, ისე სამხედრო სფეროს, ასევე მან აქტიურად დაიწყო ბრიტანული დასახლებების გაშენება. იგი ეცადა გაეუმჯობესებინა კანონთა სისტემა და შემოიტანა ჯერემი ბენტამის იდეები, როგორც უზენაესი კანონი და თავისუფლების პრინციპი. ეს კანონები, კერძოდ ერთგვაროვნების შეგრძნების, შემდგომში ინდოელების აჯანყებების ჩასახშობად გამოიყენეს. ინგლისმა მოგოლის სასამართლო გააუქმა და არისტოკრატების  $\frac{3}{4}$  მოხსნა თანამდებობიდან. გაუქმდა ფეოდალური სისტემა და შემოიღეს ინგლისური ბიუროკრატია, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ელიტური კლასი, მათ შეითვისეს ბრიტანული კულტურა, ინგლისური ენა, ჩვევები და იქცნენ ბიოლოგიურად ინდოელ, მაგრამ კულტურულად ინგლისელებად.

ბრიტანეთმა ინდოეთში „დაყავი და იბატონეს“ პრინციპი შეიმუშავა, რომელსაც ინდუისტებსა და მუსლიმებს შორის მტრული განწყობის შესაქმნელად იყენებდა. ინგლისელებმა გააცნობიერეს, რომ ინდოეთი სოციოკულტურულად მრავალფეროვანი ქვეყანა იყო და ამიტომ საჭირო იყო მიწების დაყოფა, რომელსაც ბრიტანეთის მიერ დანიშნული მმართველი უნდა ჰყოლოდა. პლესის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, ინგლისმა წამოიწყო კამპანია, რომელიც ძირს უთხრიდა ინდოეთის ეროვნულობას. ბრიტანეთის მთავარი სამიზნე მუსლიმები იყვნენ, რომლებიც ყველაზე მეტად აყენებდნენ ექვემდებარებას საიმპერატორო მმართველობას. ამიტომ ისინი ყველა მმართველ ძალას ჩამოაშორეს და ჰინდუსებს უჭერდნენ



მხარს, რამაც მუსლიმები უფრო გააუცხოვა, თუმცა შემდგომში იგივე ტაქტიკას იყენებდნენ ინდუისტების მიმართ და მუსლიმებთან ჩამოაყალიბეს კარგი ურთიერთობა. ამ კამპანიამ ინგლისელებისთვის სასარგებლო შედეგი გამოიღო და დღემდე იგრძნობა დაპირისპირება ამ ორ კულტურას შორის. რაც შეეხება განათლების სისტემას კოლონიურ პერიოდში, ისიც საფუძვლიანად შეიცვალა და გადავიდა ბრიტანულ სტილზე. ინგლისის ჩამოსვლამდე განათლების სისტემა მცირე მასშტაბის, თუმცა კარგად ორგანიზებული იყო. მუსლიმი ბავშვები სწავლობდნენ მედრესეებსა და მაკტაბებში, ხოლო ინდუისტი ბავშვები პათშალებსა და ტოლებში. ამ ინსტიტუტებში ბავშვებს ასწავლიდნენ არაბულს, სპარსულს, სანსკრიტს, თეოლოგიას, გრამატიკას, ლოგიკას, სამართალს, მათემატიკას, მეტაფიზიკას, მედიცინას და ასტროლოგიას. როგორც აღვნიშნე, ბრიტანეთმა სრულიად შეცვალა ეს სისტემა და მისი მთავარი მისია ინგლისური ენის გავრცელება გახდა. შეიქმნა კომიტეტი, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა სწავლება ინგლისურ ენაზე გაგრძელდებოდა თუ დარჩებოდა აღმოსავლურზე. კომიტეტი ორ ჯგუფად, ანგლისტებად და აღმოსვლეთმცოდნეებად გაიყო. საბოლოოდ კი ელიტური კლასისთვის სავალდებულო გახდა ინგლისურ ენაზე სწავლება, ხოლო საშუალო და დაბალ ფენებს კი მშობლიურ ენაზე უნდა გაეგრძელებინათ სწავლა. ამან გამოიწვია საზოგადოების ფენებად დაყოფა და გაჩნდა უპირატესობის შეგრძნება ხალხში, ბრიტანეთის მიზანსაც სწორედ ეს წარმოადგენდა. ორგვარმა განათლების სიტემამ უდიდესი გავლენა იქონია საზოგადოებაზე, რომელიც დღემდე გრძელდება და არაერთი დაპირისპირების მიზეზიც ხდება. მაგალითად ჩვეულებრივ სასწავლებლებში მყოფები თავის თავებს უფრო ზემდგომად მიიჩნევენ, ვიდრე მედრესეებში მყოფებს, ხოლო მედრესეების მოსწავლეებს კი მიაჩნიათ, რომ უკეთესად ერკვევიან თეოლოგიასა და ლოგიკაში ვიდრე ამინსტრიპის მოსწავლეები, შედეგად ორივე მხარე დაუპირისპირდა ერთმანეთს. განათლების ამგვარი სისტემის ჩამოყალიბებამ წარმოშვა ექსტრემიზმი და რადიკალიზმი, რაც გამოიხატება იმაში, რომ კვლევების მიხედვით იმ მოსწავლეები რომლებიც „ელიტარულ“ საზოგადოებას განეკუთვნებიან, მოკლებულნი არიან ეროვნულ კულტურას და შესაბამისად უფრო მეტად

არიან შემჩნეულნი ტერორისტულ საქმიანობაში. ეს განსხვავება დასაქმებაშიც იჩნეს თავს, დამსაქმებლებს ურჩევნიათ ისეთი ადამიანები დაასაქმონ რომელთაც ინგლისურად აქვთ განათლება მიღებული და შესაბამისად ეს მოქმედებდა და დღემდე მოქმედებს სოციალურ უთანასწორობაზე. ინგლისმა ეს ხერხი გამოიყენა როგორც საზოგადოების დაყოფისთვის, ისე ჩაგვრისათვის, რადგან ინდოელი ინგლისურად ვერ აყალიბებდა საკუთარ აზრს სრულყოფილად, ამასთან მათი კულტურა და ენა დამცირდა, რადგან ინგლისმა განაცხადა რომ ის უპირატესი იყო ინდოეთის კულტურაზე, შედარებისთვის შეიძლება გამოდგეს უმაღლესი სასწავლებლები, სადაც უნივერსიტეტამდელი სწავლა უგულებელყოფილია და პროფესორები შენს ხელახლა ჩამოყალიბებას ცდილობენ. ინგლისმა ჩაახშო ადგილობრივი კულტურები და გააქრო ხალხის პოლიტიკური ცნობიერება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დასავლური ცოდნის მიღებამ შემდგომში ინდიელთა ცნობიერებაში გააჩინა თავისუფლების იდეა, რაც დაეხმარა ბრიტანეთისგან გათავისუფლებაში.

რაც შეეხება კანონებს, აქაც იმავე ტაქტიკით შეუდგა ინგლისი თავისი ინტერესების გატარებას, მათი აზრით მუსულმანებისთვის ცალკეული თავიანთი კანონი უნდა დარჩენილიყო, ხოლო ინდუსებისთვის ინდუსისტური, საბოლოო ჯამში კი ამტკიცებდნენ, რომ ეს კანონები სამართლიანობას ამყარებდა ინდოეთში. ამასთან ერთად ინგლისი ინდური და მუსლიმური კანონების და რელიგიური ტექსტების რომანტიზირებასაც ცდილობდა, არაერთი წიგნი (ფატავა და ჰედაია; დჰარმა სასტრა) ითარგმნა ინგლისურ ენაზე უილიამ ჯონსის და ნილ ბეილის მიერ. თუმცა ეს იდეალიზირება მალევე დასრულდა და ინგლისელმა ფილოსოფოსმა ჯეიმს მილმა ძირძველი ინდური კანონები დიდ გაუგებრობად და უაზრობად მიიჩნია და განაცხადა რომ ისინი ბურუსისმომცველნი იყვნენ და რეალურად არაფერს ასწავლიდა. ინგლისმა თანდათან გააცნობიერა რომ მკვიდრ მოსახლეობას სხვაგვარი მიდგომა სჭირდებოდა და რომ თავიანთი დასავლური პოზიტივისტური სწავლება ამ ხალხზე ვერ იმქომედებდა თუ ბრიტანეთიც დათმობებზე არ წავიდოდა, ამიტომ ისინი შეეცადნენ ხალხის ცნობიერებიდან „კატიმრობის“ შეგრძნება კოლონიზატორთა „კარგ ეფექტიანობაზე“

შეეცვალათ. 1857 წლის წარუმატებელი ამბოხების შემდეგ, მიიღეს ბრიტანული ინდოეთის აქტი, რომლის მიხედვითაც ინდოეთის მმართველობა უშუალოდ ბრიტანეთის სამეფოს გადაეცა. 15 კაციანი საბჭოს მიერ ინდოეთისთვის შეირჩა 14 სახელმწიფო მდივანი. ეს იყო პირველი ნაბიჯი, რომელიც ამტკიცებდა ინგლისის სრულ კონტროლს ინდოეთზე. 1860 წელს გამოიცა ინდოეთის ახალი სისხლის-სამართლის კოდექსი, რომელიც კრძალავდა მრუშობას და ამ კანონის მიხედვით მხოლოდ ქალები დაისჯებოდნენ მრუშობისთვის. ასევე ამ კანონის მიხედვით ინდოელ მოსამართლეებს აკრძალავდათ დაპატიმრების ორდენის გამოწერა დანაშაულის ჩამდენ ბრიტანულ ან ევროპულ ადამიანზე. ამასთანავე ევროპელ ან ბრიტანელი მსჯავდებულის გასამართლება მხოლოდ და მხოლოდ ბრიტანეთში დაბადებულ მოსამართლეებს შეეძლოთ და თუ სიკვდილით დასჯა იქნებოდა საჭირო, ნაფიც მსაჯულებს რომელთა უმეტესობა ასევე ბრიტანელებისგან შედგებოდა, უფლება ჰქონდათ შეეცვალათ განაჩენი და გაესამართლებინათ დამნაშავე. ეს რასაკვირველია იყო „სამართლიანობის“ პრინციპებიდან გადახვევა, რომლითაც თავდაპირველად წარსდგა ინგლისი ინდოეთში. ბრიტანელები საკმაოდ დაუნდობლები იყვნენ ინდოელების მიმართ, როდესაც საქმე დანაშაულს და კანონმდებლობას ეხებოდა. 1900-1947 წლებში ინგლისი ინდოეთს „უკანონო კანონებით“ მართავდა. მაგალითად ინდივიდის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის მთელი ტომი ან სოფელი შეიძლება დასჯილიყო. ინდური პრესის აქტით აიკრძალა ჟურნალ-გაზეთებში ყველანაირი ნეგატიური და შეურაცხმყოფელი სტატიის დაბეჭვდა, რომელიც ბრიტანეთის მიმართ იყო დაწერილი, ასევე აიკრძალა საჯარო შეკრებები. სამწუხაროდ ამ კანონებიდან ბევრი დღემდე მოქმედია. 1908-1909 წლებიდან ინგლისმა გადაწყვიტა, რომ მმართველობის სადავეების გაყოფა ინდოელებზეც შეიძლებოდა და გატარდა რეფორმები სახელწოდებით მინო-მორლი, რომლის მიხედვითაც ინდოელები აირჩნენ საკანონმდებლო საბჭოებში. ამ რეფორმება მუსლიმებსაც ცალკეული ელექტორატის უფლება მისცა. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ინგლისურმა კოლონიალიზმმა დაანგრია ინდური სოციალური სტრუქტურები, ძირითადი ინსტიტუტები და თვითკმარი სოფლის სისტემა. ინდოეთი

ინგლისის ბაზრის ნედლეულით მოამრავების კარგ საშუალებას წარმოადგენდა. განსახლების აქტმა ძალზედ შეარყია გლეხთა მიწის საკუთრება. ამ პერიოდში გაკეთდა რკინიგზა, რომელიც საქონლის საექსპორტოდ გამოიყენებოდა, შიმშილიც კი ხელოვნურად შექმნეს კოლონიზატორებმა, რათა მუშა ხელი გაეზარდათ, ინდოელთა ხარჯზე. მათ გაავრცელეს დასავლური სწავლება ყველა სფეროში, ეს კი მიმართული იყო იმისკენ რომ ინდოელებს თავი უუნაროდ ეგრძნოთ, ეს პროპაგანდა კი იმდენად ძლიერი იყო, რომ დღემდე მოქმედებს რაჯის კანონები ინდოეთში, რომელიც ბრიტანეთისგან ერგო მემკვიდრეობით.

*მარიამ ნადირაძე*

## მატენადარანი - ძველ ხელნაწერთა საცავი სომხეთში



„მატენადარანი“ ძველი სომხური ხელნაწერების საცავი და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტია ერევანში. სიტყვა მატენადარანი ძველ სომხურად ხელნაწერთა საცავს ნიშნავს. მატენადარანი დაარსდა 1920 წელს ეკმიაწინის ხელნაწერთა კოლექციის ბაზაზე. 1939 წელს ხელნაწერთა კოლექცია ეკმიაწინიდან გადატანილ იქნა ერევანში. დროთა განმავლობაში ეკმიაწინის ხელნაწერთა ბაზა შეივსო, მოსკოვიდან დაიბრუნეს 4060 ხელნაწერი, მიიღეს ახალი კოლექცია თბილისის ნერსესიანის სკოლიდან, ერევნის ლიტერატურული მუზეუმიდან და სხვადასხვა დაწესებულებიდან. მატენადარანი დრო და დრო ივსებოდა ახალი ხელნაწერებით, ისტორიული დოკუმენტებით, სხვადასხვა ენოვანი ხელნაწერებით მსოფლიოს სომხური დიასპორებიდან. მატენადარანი 1959 წლიდან ახალ შენობაში განთავსდა და მან შეიძინა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სტატუსი. 1962 წლიდან მატენადარანი სომხური ეროვნული ანბანის შემქმნელის, მესროპ მაშტოცის სახელობისაა. მატენადარანის მთავარი შენობა ამჟამად სამუზეუმო კომპლექსს წარმოადგენს. 2011 წელს ექსპლუატაციაში შევიდა

ახალი თანამედროვე ტექნოლოგიებით შექმნილი შენობა საცავით, სარესტავრაციო ოთახებით, საკონფერენციო დარბაზებითა და თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის. მატენადარანში დაცული ხელნაწერები მოიცავს ძველი და შუა საუკუნეების სომხეთის ცოდნის თითქმის ყველა სფეროს - ისტორია, გეოგრაფია, გრამატიკა, ფილოსოფია, მედიცინა, მათემატიკა, კოსმოლოგია, მინიატურა, მუსიკა, თეატრი და სხვა.



ამჟამად მატენადარანის ფონდი 17 ათასამდე ძველ ხელნაწერსა და 100 ათასამდე ძველ საარქივო დოკუმენტს ითვლის. სომხური ხელნაწერებიდან 11 230 სრულია და 2200 ფრაგმენტული), იქვე ინახება 3000-მდე ხელნაწერი არაბულ, სპარსულ, თურქულ, ქართულ, ბერძნულ, ლათინურ, ეთიოპიურ, ინდურ, იაპონურ, აზერბაიჯანულ და სხვა ენებზე. ფონდებში ინახება 2281 ძველნაბეჭდი (1800 წლამდე) წიგნი. იქ შეიძლება შევხვდეთ ისეთ თარგმანებსაც, რომელთა ორიგინალებიც დაკარგულია.

მატენადარანში დაცული ხელნაწერებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ლაზარევის სახარება“ (887 წ.) და „ეჩმიაწინის სახარება“ (989 წ.) .

სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან არსებობს მუზეუმი, სადაც ექსპონირებულია როგორც სომხური მწერლობისა და მინიატურების, ისე უცხოური მწერლობის საუკეთესო ნიმუშები. მატენადარანის კოლექცია დღემდე ივსება სომხური დიასპორების წარმომადგენელთა შემოწირულობების წყალობით. ერთ-ერთმა სომეხმა შემომწირველმა ნიუ-იორკიდან არუთიუნ აზარიანმა მარტო 395 სომხური და უცხოენოვანი ხელნაწერი აჩუქა მატენადარანს.

მატენადარანში დაცული კოლექცია მნიშვნელოვან ისტორიულ და სამეცნიერო-კვლევით ბაზას წარმოადგენს არა მარტო სომხეთის ისტორიისა და კულტურის, არამედ მეზობელი ქვეყნების, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის, პოლიტიკისა და კულტურის შესასწავლად.

### **მატენადარანის ქართული ხელნაწერების კოლექცია**

მატენადარანის ქართულ ხელნაწერთა კოლექციამ დიდი ხანია მიიპყრო სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება. ქართული კოლექცია განსხვავებულ მასალა შეიცავს, აქ შედის 35 ხელნაწერი, 80-ზე მეტი საცავი ფურცელი, 56 ფრაგმენტი და ორენოვანი ისტორიული დოკუმენტები.

მატენადარანის ქართული მასალის ქრონოლოგიური ჩარჩო IX-XIX საუკუნეებით განისაზღვრება. შინაარსობრივად მოიცავს შუა საუკუნეების ლიტერატურის თითქმის ყველა ჟანრს: სახარებები, კურთხევანი, ფსალმუნი, ჟამნი, ქადაგებები, კრებულები, კარაბადინები, ავგაროზები და ა.შ.

ქართულ მასალა მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიის, ძველი ქართული სასულიერო და საერო მწერლობის, ქართულ-სომხური ისტორიული, ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობის შესასწავლად. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართულ კოლექციაში პალიმფსესტების დადასტურება, ქართული ფრაგმენტების ფონდში 5 პალიმფსესტური ხელნაწერი გამოვლინდა, მათ შორის, ერთი ფრაგმენტის ქვედა ფენაში სომხური ტექსტია

წარმოდგენილი, ზედა კი - ქართულია. ხელნაწერებს შორის გამორჩეულია ტაო-კლარჯეთში გადაწერილი მე-13 საუკუნის სახარება, რომელიც მდიდრულად არის ილუსტრირებული.

2019 წელს საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და მატენადარანს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლები, ფრანგ ორიენტალისტ ბერნარ უტიესთან ერთად, ჩაერთვნენ ქართული ხელნაწერების, საცავი ფურცლებისა და ფრაგმენტების სამენოვანი (ქართული, სომხური, ფრანგული) აღწერილობის მომზადების საქმეში. მატენადარანის ქართული კოლექციის სრულყოფილი და კომპლექსური შესწავლა ნათელს მოჰფენს და ახლებურად წარმოაჩენს ქართულ-სომხურ კულტურულ-პოლიტიკურ და საეკლესიო ურთიერთობების მრავალ ასპექტს.



სომხეთში ჩემი მრავალწლიანი ცხოვრების პერიოდში (ჩემი ოჯახი ერევანში იყო სამუშაოდ მივლინებული) დავრწმუნდი, რომ მატენადარანი სომეხი ერის ეროვნულ საგანძურს



წარმოადგენს და მას განსაკუთრებული კულტურული ძეგლის სტატუსი აქვს. თითოეული სომეხი თავს ვალდებულია თვლის შეძლებისდაგვრად წარმოაჩინოს ეს საგანძური. ყოველწლიურად სკოლის მოსწავლეები სტუმრობენ მატენადარანს, ისმენენ ლექციათა ციკლს, ადგილზე ეცნობიან სომხურ ხელნაწერებს, მადენადარანის სიახლეებს. საზოგადოებრივი მაუწყებელი კი გადაცემაში „ჩვენი დიდი ადამიანები“ სისტემატურად აშუქებს მატენადარანის საგანძურს და საზოგადოებას აცნობს მასთან დაკავშირებულ სიახლეებსა და შემომწირველთა საქველმოქმედო საქმიანობას. მატენადარანის მონახულება, როგორც წესი, ასევე ჩართულია ყველა ოფიციალური ვიზიტის პროგრამაში.

*ნიკოლოზ ოვსიანიკოვი*

# პოლოტიკა



## საქართველოსა და თურქეთის სოციალურ- ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები XX საუკუნის 90-იან წლებში

თურქეთის რესპუბლიკა საქართველოს მეზობელი, მეგობარი და სტრატეგიული პარტნიორია. ამ ორ სახელმწიფოს ხანგრძლივი ისტორიული ურთიერთობა აკავშირებთ. საუკუნეთა მანძილზე საქართველოს ურთიერთობა ოსმალეთის იმპერიასთან არაერთგვაროვნად ვითარდებოდა: იყო დაპირისპირებისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების, სამხედრო-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობების პერიოდები. თანამედროვე ეპოქაში ვითარება რადიკალურად შეცვლილია. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991 წლის 9 აპრილი) თურქეთის რესპუბლიკა იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც საქართველო აღიარა საერთაშორისო სამართლის სუბიექტად და მძიმე მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას დახმარებს ხელი გაგვიწოდა. ამ ფაქტს, ჩვენ უკვე მივუძღვენით მოკრძალებული ნაშრომი, ამავე ჟურნალის წინა ნომერში. დღევანდელი თემა შეიძლება, ერთგვარ გაგრძელებად ჩაითვალოს ზემოთთქმული საკითხის. საბჭოთა კავშირთან ერთად დასრულდა ე.წ. ცივი ომიც - კონფრონტაცია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ამან ახალი შესაძლებლობები მისცა თურქეთის რესპუბლიკას, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი გახდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში ლიდერის როლის მოპოვება და თავისი გავლენის გაზრდა. როდესაც აღნიშნული რეგიონის სამმა სახელმწიფომ (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) მოიპოვა თავისუფლება, ანკარამ ქვეყნის ახალი საგარეო-პოლიტიკური დოქტრინის თანახმად, დაუყოვნებლივ აღიარა მათი დამოუკიდებლობა, რითაც ღიად დაუჭირა მხარი დასავლეთის, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ხელშეკრულების ე. წ. „გაფართოების კონცეფციას“.

საბჭოთა საფრთხის გაქრობასთან ერთად დასავლეთ ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები სულ უფრო და უფრო მეტად რწმუნდებიან იმაში, რომ თურქეთის ადრინდელი როლი და მნიშვნელობა არსებითად შემცირებულია და ხდება მათი გადანაწილება ალიანსის სხვა ახალ წევრებზე. ამან გამოიწვია, თურქეთის რესპუბლიკის გააქტიურება.

საბჭოთა კავშირის დაშლამ ანკარას მისცა საშუალება შეეცვალა თავისი ტრადიციული საგარეო პოლიტიკური ქცევა და ახალი სტრატეგიული ორიენტირები ჩამოეყალიბებინა. მან დაიწყო თავისი ეთნიკური, ისტორიული და კულტურული კავშირის ხაზგასმული დემონსტრირება პოსტსაბჭოთა სამხრეთის ქვეყნებთან. თურქეთი თავისებურ მორალურ საფუძვლად იყენებდა იმ ფაქტს, რომ ის თავს დასავლური ტიპის დემოკრატიულ რეჟიმად მიიჩნევდა, საერო სახელმწიფო სისტემით, საბაზრო ეკონომიკით და პრეტენზიას აცხადებდა ამ ღირებულებების სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ექსპორტზე და ამ საქმეში დასავლეთის, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერაზე, რამაც გარკვეული დამაბულობა გამოიწვია რუსეთთან ურთიერთობებში. რა თქმა უნდა, თანამშრომლობით დაინტერესება იყო ორმხრივი. საქართველოს ინტერესი თურქეთის მიმართ განპირობებული იყო იმითაც, რომ ეს უკანასკნელი არის ნატოს წევრი ქვეყანა და იგი განიხილებოდა, როგორც ერთგვარი ხიდი ამ გზაზე. თურქეთს კი უფრო შორს მიმავალი და გლობალური გეგმები გააჩნდა, რისთვისაც აქტიურად იყენებდა ე.წ. „რბილი ძალის“ პოლიტიკას, რამაც ჩამოყალიბებული სახე XXI საუკუნის დასაწყისში მიიღო.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს გარშემო განვითარებულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა კრიზისმა (სამხედრო გადატრიალება, ეთნიკური კონფლიქტები, ეკონომიკური კრიზისები და ა.შ.) ხელი შეუწყო თურქული ზეგავლენის გაძლიერებას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. სახელმწიფოს მხრიდან არასწორმა მიდგომამ რეგიონში გამოიწვია ეკონომიკური სიდუხჭირე, მნიშვნელოვანი კაპიტალის გადინება, უმუშევრობა, სოფლის მეურნეობაში გაჩენილი პრობლემები, ჯანდაცვის ხელმიუწვდომლობა, განათლების დაბალი ხარისხი და ა.შ. ეს ყოველივე კი გახდა თურქული

რბილი ძალის გააქტიურების საფუძველი, რამაც გაზარდა მისი ზეგავლენის ხარისხი. თავად თურქი ავტორების შეფასებით, თურქეთმა შეძლო რეგიონში სტაბილურობის ჩამოყალიბება და განმტკიცება. სამხრეთ კავკასიის შემთხვევაში, თურქეთმა სცადა რეგიონის რეკონსტრუქცია და იქ უსაფრთხოების გარანტიის შექმნა. თურქი ავტორის მერჰან კამარვას შეფასებით, „რბილი ძალის გამოყენება იყო და არის ინსტრუმენტი თურქეთისთვის, რათა დაამყაროს ურთიერთობები და შეაღწიოს სამეზობლოში.“




საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პირველი ოფიციალური ვიზიტის დროს, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ჰიქმეთ ჩეთინისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარის ედუარდ შევარდნაძის შეხვედრისას, განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული საკითხები. ამ შეხვედრის ლოგიკური გაგრძელება იყო უმაღლესი დონის დელეგაციის სტუმრობა თბილისში. 1992 წლის ივლისის ბოლოს საქართველოში ჩამოვიდა თურქეთის მთავრობის ოფიციალური დელეგაცია პრემიერ-მინისტრ სულეიმან დემირელის მეთაურობით. ამ ვიზიტის შესახებ ჩვენ უკვე შემოგთავაზეთ ნაშრომი. ვიზიტისას მას ახლდნენ ჰიქმეთ ჩეთინი, ჯავით ჩაღდარი – სახელმწიფო მინისტრი და თურქეთის ეროვნული მეჯლისის დეპუტატები.

ურთიერთობების პირველი წლები შედარებით პასიური იყო, რაც იმით იყო განპირობებული, რომ თურქეთი აზერბაიჯანთან და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან დაახლოებით იყო დაინტერესებული, ხოლო საქართველოსთან ურთიერთობებში მისი,

როგორც კორიდორის, სტაბილურობა აინტერესებდა. 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან ქართულ-თურქული ურთიერთობები უფრო აქტიური ტემპებით განვითარდა, რასაც სტიმული საქართველოს დსთ-ში გაერთიანებამ მისცა. ეს კი პოტენციურად რეგიონში რუსეთის გაძლიერებას მოასწავებდა და ექვქვემ აყენებდა თურქულენოვან სახელმწიფოებში „თურქული მოდელის“ განხორციელების შესაძლებლობას. 1993 წელს ტრასეკას პროექტის ფარგლებში საქართველომ გააფორმა ხელშეკრულება თურქეთთან ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს უმოკლესი სარკინიგზო მარშრუტის შექმნის თაობაზე. 1994 წელს შედგა შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტი თურქეთში, რასაც მომდევნო წელს მოყვა პრემიერ თანსუ ჩილერის საპასუხო ვიზიტი. 1994 წლის მაისში დაიდო უკვე პირველი თურქულ-ქართული შეთანხმება ვაჭრობის შესახებ, თანამშრომლობა საბაჟო სფეროში.

თურქულ-ქართული ურთიერთობები უფრო აქტიურ ფაზაში 1996 წლის შემდეგ შევიდა, რაც დაკავშირებულია სწორედ სულიეიმან დემირელის სახელთან. ამან კიდევ უფრო შეუწყო ხელი მხარეთა შორის ვაჭრობას, რომელიც 1990-იან წლებში უკვე არსებითი ხასიათის იყო და თურქეთი 1995 წელს საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი გახდა მთლიანი ვაჭრობის მოცულობის 20 პროცენტამდე დონით. 1990-იან წლებში მთლიან უცხოურ ბრუნვაში მისი 15 პროცენტის წილი შენარჩუნდა მომდევნო დეკადების განმავლობაშიც, რაც ორჯერა აღემატებოდა საქართველოს მეორე ყველაზე მთავარ სავაჭრო პარტნიორთან - უკრაინასთან ვაჭრობის წილს. მომავალი ორი დეკადის განმავლობაში 1995 წლიდან თურქულ-ქართული ვაჭრობა საშუალოდ საქართველოს მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 15 პროცენტს აღწევდა და 2016 წლისათვის 2 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა. თურქულმა მხარემ 1 - 76 - მილიარდ ამერიკულ დოლარზე მეტი ინვესტიცია განათავსა ქართულ ეკონომიკაში.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა და მასში  
თურქეთის მნიშვნელოვან როლი (საქსტატი, 1,000 აშშ \$).



თურქეთის მაშინდელმა ხელისუფლებმა ბევრი ნაბიჯი გადადგა იმისთვის, რომ საქართველო-თურქეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები ინტენსიურად განვითარებულიყო. ხელი მოეწერა 76 ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებას ვაჭრობის თავისუფლების, ვიზების ფასილიტაციის და გაუქმების, საბაჟო და გადასახადების, საზღვრის გადაკვეთის პროცედურების, ბუნებრივი გაზის და ნავთობის მილსადენების, მაღალი ძაბვის ელექტროენერჯის გადამცემი ხაზების და რკინიგზის ინფრასტრუქტურის მშენებლობის შესახებ და სხვ. შაჰ-დენიზის ბუნებრივი გაზის მილსადენმა საქართველოს საშუალება მისცა მისი ენერჯის მომარაგების დივერსიფიკაციის და რუსულ წყაროებზე დამოკიდებულების გაუქმებისთვის. თურქულმა კომპანია TAV-მა ძალიან ეფექტიანი კონტრიბუცია გააკეთა ორი ქართული აეროპორტის რეკონსტრუქციაში თბილისსა და ბათუმში, რომლებიც გადაიქცნენ მცირე, მაგრამ ეფექტიან მრავალ ევროპულ და აზიურ აეროპორტთან დაკავშირებულ სატრანსპორტო ჰაბად, რამაც საქართველოში მოგზაურობა გაცილებით უფრო კომფორტული გახადა, ვიდრე მანამდე იყო. მრავალი თურქი მოქალაქე იყენებს ბათუმის აეროპორტს სამოგზაუროდ, თუ ისინი საზღვართან ახლოს, ხოფას რეგიონში ცხოვრობენ.

90-იან წლებში თურქეთის სავაჭრო ბრუნვა საქართველოსთან გაიზარდა რამდენჯერმე და გადააჭარბა აქ რუსეთის წილს. 1995 წლიდან საქართველოში ეკონომიკური სტაბილიზაციის შემდეგ ორ ქვეყანას შორის განვითარდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა. თურქეთიდან საქართველოში შემოჰქონდათ სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტები და სამშენებლო მასალები, ხოლო საქართველოდან გაჰქონდათ სოფლის მეურნეობის პროდუქტები და ფოლადის პროდუქცია. მაგალითისათვის გეტყვით, რომ საქართველოში თურქეთის ექსპორტის საერთო ღირებულებამ 1998 წლის იანვრიდან ივლისამდე, დაახლოებით 98 მილიონი დოლარი შეადგინა, ხოლო იმავე პერიოდში თურქეთის იმპორტმა საქართველოდან 50 მილიონი დოლარი.

ოფიციალური მონაცემებით, 90-იანი წლებიდან 2000 წლისათვის საქართველოში მოქმედებდა კვების მრეწველობის 45 თურქული ფირმა, კომუნიკაციების, ტრანსპორტის, მშენებლობისა და სხვა სფეროებში. საქართველოში შექმნილი სიძნელების გამო, 90-იანი წლების დასაწყისში ზამთრის პერიოდში, საქართველო თურქეთიდან იღებდა დაახლოებით 250-300 მილიონ კილოვატ ელექტროენერგიას, რომელსაც საქართველოს მთავრობა უბრუნებდა შეთანხმების საფუძველზე ზაფხულის თვეებში.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გააქტიურდა თანამშრომლობა თურქეთთან, საქონლითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობის, ერთობლივი საწარმოების შექმნის, რეგიონული და სტრატეგიული თანამშრომლობის სფეროებში. საქონელგაცვლითი ოპერაციები საქართველოს ძირითადად ჰქონდა თურქეთთან. გაჰქონდა: ლითონი, ხე-ტყე, ჯართი, ელექტროენერგია და სხვა სანედლეულო საქონელი. შემოდიოდა: ერთჯერადი მოხმარების საქონელი ფართო ასორტიმენტით. თურქი პარტნიორების თანამონაწილეობით საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრაცია გაიარა უამრავმა ერთობლივმა საწარმომ. საქართველოს თურქეთთან აკავშირებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენიც. თურქეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, რომელთანაც მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი. თურქეთის კერძო სექტორი საქართველოს ეკონომიკაში ერთ-ერთი



უმსხვილესი ინვესტორია. ამასთან, საქართველო დაინტერესებულია გაზარდოს ექსპორტი თურქეთის ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის რესპუბლიკა არ მოქმედებდა ალტრუისტული შეხედულებით, ვფიქრობთ, რომ ასეთი შეხედულება სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში შეუძლებელია, თურქეთის რესპუბლიკამ და მისმა ურთიერთობამ საქართველოსთან უდიდესი როლი შეასრულა ქართული სახელმწიფოს განვითარებაში და იმაში, რომ ქვეყანამ მოახერხა ყოფილიყო ღირსეული სუბიექტი მსოფლიო პოლიტიკაში. სწორედ თურქეთის ეკონომიკური ინტერვენციების შედეგად მოხდა სასიკვდილოდ განწირული ეკონომიკის გაჯანსაღების დაწყება. საბედნიეროდ, დღესაც საქართველოსა და თურქეთს შორის თანამშრომლობა სტრატეგიულ ხასიათს ატარებს და წარმატებით ვითარდება, როგორც პოლიტიკურ, ასევე სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ-ჰუმანიტარულ სფეროებში.

*ფუად მუსაევი, მათე ქარდავა, თამთა შონია*

## ჩინეთი, როგორც გლობალური აქტორი

ისეთი თემის განსახილველად, როგორც არის ჩინეთი, როგორც გლობალური აქტორი, საჭიროა ჯერ ზოგადად ჩინეთის თავისებურებებზე და მის მნიშვნელოვან ტრანსფორმაციაზე გავამახვილო ყურადღება. ჩინეთი დღევანდელ მსოფლიოში მისი კულტურითა და ისტორიით, ასევე გეოგრაფიული და დემოგრაფიული მასშტაბურობით გამოირჩევა. ის განსაკუთრებული ქვეყანაა, რომელსაც აქვს საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული კულტურა და ინდივიდუალიზმი. ამასთანავე, ჩინეთი ცივილიზაციაა. რა თქმა უნდა, არსებობს ევროპული ცივილიზაციაც, მაგრამ ჩინეთი ერთადერთი სახელმწიფო - ცივილიზაციაა. მისი ისტორია საკმაოდ საინტერესოა, თუმცა ყველაზე გარდამტეხი პერიოდი მაინც იმპერიალიზმის დამხობა იყო, რომელიც გახდა ერთგვარი პირველი ნაბიჯი ჩინეთის აღმავლობის დაწყებისკენ. ამასთანავე, ისინი იბრძოდნენ ძლიერი გლობალური სახელმწიფოების წინააღმდეგ. ერთ-ერთი მათგანი დიდი ბრიტანეთია, რომელთანაც პირველ და მეორე ოპიუმის ომებში მწარედ დამარცხდა ჩინეთი, და ეს პერიოდი მის ისტორიაში ცნობილია, როგორც „ჩაგვრის საუკუნე“. „ჩაგვრის საუკუნეში“ ყველაზე მეტად ხალხი დაზარალდა, რადგან ამ დროს ქვეყანა იძულებული იყო ისეთ ხელშეკრულებებზე მოეწერა ხელი, რომელიც მას აზიანებდა. ეს ეხებოდა ძირითადად ეკონომიკურ სფეროს, რადგან ის პორტებს უხსნიდა უცხოურ საქონელს და მის დახლებზეც ყველაზე მეტი ადგილი უცხოურ ნაწარმს ეკავა. ასეთი პროდუქტი იყო ოპიუმიც, რომლის გაყიდვაც ცინის დინასტიაში იკრძალებოდა, თუმცა ინგლისს მისი სავაჭრო არეალების გაფართოება სურდა. ჩინეთმა ამის შემდეგ კიდევ უამრავი აჯანყება გამოსცადა, ასევე გადაიტანა „კულტურული რევოლუცია“ და მხოლოდ რეფორმების გატარებისა და პოლიტიკის გახსნის შემდეგ გამოვიდა მსოფლიო ასპარაზზე. მისი ეს გამოსვლა განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო, რადგან მან მსოფლიოს შესთავაზა აქამდე არათუ პრაქტიკაში, არამედ თეორიაშიც არარსებული - „ერთი სახელმწიფო, ორი სისტემის“ პრინციპი, რისი დახმარებითაც მან დაიბრუნა ჰონკ-გონგი. დენ

სიაოპინმა, ცნობილმა, როგორც თანამედროვე ჩინეთის შემოქმედმა მარგარეტ ტეტჩერთან შეხვედრისას ძალიან საინტერესო სიტყვები წარმოთქვა - „ ჩინეთი არც ისე სულელია, რომ შეაგდოს ღუმელში ქათამი, რომელიც ოქროს კვერცხებს დებს“. ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ ჩინეთი დაიწყებდა ბრძოლას საკუთარი დაკარგული ტერიტორიების ადრე თუ გვიან შემოსაერთებლად და საკმაოდ საფუძვლიანად შეინარჩუნებდა ყველაფერს, რაც მას დასჭირდებოდა როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური და კულტურული სტაბილურობისათვის.

იმისათვის, რომ ჩინეთი გლობალური სამყაროს ნაწილად აღვიქვათ, ვფიქრობ, გლობალიზმის თემასაც უნდა შევხებო, რომელიც არც თუ ისე კონკრეტულია. ტერმინი „გლობალიზმი“ თავდაპირველად მხოლოდ ეკონომიკურ ჭრილში გამოყენებოდა, თუმცა შემდეგ ამ სიტყვამ იმაზე დიდი დატვირთვა შეიძინა, ვიდრე ამას თავად მისი პირველად გამომყენებელი ფიქრობდა. გასაკვირი არცაა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი პროცესების აღსაწერად სწორედ ეკონომიკასთან დაკავშირებული ტერმინი გამოიყენება, რადგან ეკონომიკა მსოფლიოს ღერძია, მისი მამოძრავებელი და სასიცოცხლო წყარო. დღესდღეობით გლობალიზაციის ძალიან ბევრი განსაზღვრება და აღქმა არსებობს, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ გლობალიზაცია ძირითადად მაინც სამყაროს დაპატარავების პროცესად უნდა აღვიქვათ. ეს დაპატარავება ეხება როგორც კულტურულ სფეროს, ასევე ეკონომიკურსა და სოციალურს. რაც შეეხება აღქმას, გლობალიზაციას აღმოსავლეთ ნახევარსფეროში ძირითადად აღიქვამენ როგორც „ამერიკანიზაციას“, რადგან დღეს სამყაროში ერთერთი ყველაზე ძლიერი ქვეყანაა სწორედ ამერიკაა. ხალხს მიაჩნია, რომ ეს პროცესებიც ზუსტად ამერიკას უკავშირდება. ჩემთვის, ჩინეთი სწორედ ამიტომ არის საინტერესო, რომ იგი ის ქვეყანაა, რომელიც დასაწყისში მსოფლიომ და მათ შორის ვერც ამერიკამ ჯეროვნად ვერ შეაფასა, ვერ განსაზღვრა მისი პოტენციალი, და დროდათაგანმავლობაში ჩინეთი დადგა ამერიკის წინ, როგორც ერთ-ერთი ძლიერი, ანგარიშგასაწევი სახელწმიფო. ამ ორ ქვეყანას შორის. თავად მათი ლიდერები, სხვადასხვა დროს თითქმის ერთნაირად აფასებდნენ

ურთიერთკავშირს. „შეერთებული შტატები მხოლოდ მიესალმება ჩინეთის მზარდ როლს საერთაშორისო ასპარაზზე. ჩინეთის მშვიდობიანი განვითარება მომგებიანია, როგორც ამერიკისთვის, ასევე დანარჩენი მსოფლიოსთვის. ამავე დროს, ჩინეთმა ამერიკასთან ერთად უნდა გაინაწილოს ლიდერობის ტვირთი და პასუხისმგებლობა” - ბარაკ ობამა. თითქმის იმავეს ამბობს ჩინეთის პრეზიდენტი, სი ძინ პინი – „ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობაში ერთი ქვეყნის დანაკარგი მეორე ქვეყნის მოგებას არ ნიშნავს. ჩვენ ისეთი თანამშრომლობა უნდა დავამყაროთ, რომლის დროსაც ერთმანეთის მიმართ სტრატეგიულ და გრძელვადიან ნდობას გავაღვივებთ. ჩვენ იმაზეც უნდა ვიფიქროთ, რომ საერთო ინტერესების დაცვას ერთობლივი ძალისხმევით შევუდგეთ და ამასთან თანამშრომლობა ყველა მიმართულებით გავაღრმავოთ”. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ 2010 წელს, ცნობილმა ამერიკელმა პოლიტოლოგმა ზბიგნევ ბჟეზისკიმ ბარაკ ობამას შესთავაზა „Great -2” სისტემა, რომლის ფარგლებშიც ჩინეთისა და ამერიკის ლიდერები არაფორმალური შეხვედრებისას განიხილავდნენ, როგორც მათი ქვეყნების ურთიერთობას, ასევე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს. ეს სისტემა უფრო მეტად ვაშინგტონისთვის იყო კარგი, თუმცა სი ძინ პინმა ამ შემოთავაზებას მოხერხებულად აარიდა თავი, რადგან ჩინეთი ემხრობა მრავალპოლარული მსოფლიოს იდეას და არა მხოლოდ ორი ან ერთი ქვეყნის გლობალურ აქტორობას.

გლობალიზაცია ადამიანების ცხოვრებაში სხვადასხვა სფეროებში ვლინდება და განსხვავებულად იჩენს თავს, ამიტომ ჩინეთს, როგორც გლობალურ აქტორს, განვიხილავ გლობალიზაციის ყველა ფორმაში. პირველ რიგში, გლობალიზაცია ვლინდება კომუნიკაციაში, რაც გულისხმობს შესაძლებლობას „ადამიანები მომენტალურად დაუკავშირდნენ ერთმანეთს მიუხედავად მათი ადგილმდებარეობისა და სახელწმიფო საზღვრებისა”. კომუნიკაციის საკითხში ერთ - ერთი ყველაზე დიდი გიგანტი ჩინური კომპანია „ჰუავეია”, რომელიც განსაკუთრებით ჰეგემონობს სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე. მეორე სფერო ორგანიზაციებია, რომლებიც ტრანსნაციონალურ ფუნქციებს ასრულებენ. ამ საკითხთან დაკავშირებით ზურაბ დავითაშვილი საკუთარ წიგნში - „ნაციონალიზმი და გლობალიზმი”

წერს, რომ ტრანსნაციონალურ კორპორაციებში ჩინეთის როლი უმნიშვნელოა. რაც შეეხება ჩინეთის მონაწილეობას ეკოლოგიურ პროცესებში, რაც გლობალიზმის გამოვლენის მესამე ფორმაა, შემოდის ვთქვა, რომ თავად ჩინეთი საკუთარ ქვეყანაში საკმაოდ საფუძვლიანად ებრძვის გარემოს დაბინძურებას და გლობალურადაც ამ საკითხით ხშირად ინტერესდება. მეოთხე სფერო ეს პროდუქტების მსოფლიო ბაზარზე გავრცელებაა. ჩინეთი ამ მხრივ ნამდვილად ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მეწარმე ქვეყანაა, რომელმაც არამხოლოდ სხვა ქვეყნებში დაარსა საკუთარი ქარხნები, არამედ საკუთარ ტერიტორიაზე შექმნა სხვადასხვა სავაჭრო ზონები, რამაც ხელი შეუწყო ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, კაპიტალის დაბანდებას და ეკონომიკის განვითარებას. მეხუთე სამხედრო სფეროა, რომელშიც ჩინეთი ნამდვილად ნათლად იჩენს თავს. როგორც ვიცით, ის ფლობს ბირთვულ იარაღს და არის გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი. ამ ქვეყანას საკმაოდ მრავალრიცხოვანი არმია ჰყავს, რომლის განვითარებაზეც სულ უფროდაუფრო მეტი იუანი იხარჯება ჩინეთის ბიუჯეტიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ სამხედრო საკითხში ჩინეთი ხშირად დამკვირვებლის როლს იკავებს და საერთაშორისო კომფლიქტებში არ ერევა. იგი ყველა დაპირისპირებულ სახელმწიფოს დიპლომატიის გზით კონფლიქტების მოგვარებისკენ მოუწოდებს.

როგორც დავინახეთ, ჩინეთი რიგ გლობალიზაციის სფეროებში საკმაოდ წარმატებულად ავლენს თავს, თუმცა, ყველა მათგანში მისი აქტიურობა არ იგრძნობა. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ჩინეთის ურთიერთობები აფრიკასა და სამხრეთ ამერიკასთან. ჩინეთს სჭირდება საკმაოდ იაფი ნედლეული, რისი ძირითადი მომწოდებლებიც სწორედ ეს არეალებია, ამიტომ ის საკმაოდ ტაქტიკურად იღებს ამ ქვეყნებისგან სარგებელს, თუმცა ეხმარება კიდევ მათ. ასევე გასცემს კრედიტებს, რასაც შემდეგ ქვეყნები ნავთობის სახით აბრუნებენ. აზიური სახელმწიფო საკმაოდ დაინტერესებულია აფრიკის კონტინენტით და უნდა ითქვას, რომ იგი თანმიმდევრულ ნაბიჯებს დგამს ამ ტერიტორიაზე პოზიციების გამყარებისთვის. ჩინეთის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ჩინეთი უკავშირდება პარტნიორ ქვეყანას ეკონომიკურად, თუმცა არ ერევა მის პოლიტიკასა თუ კულტურაში, უფრო მეტად

მიზიდველია განვითარებადი ქვეყნებისთვის, ვიდრე სხვა ძლიერი სახელმწიფოების ჰეგემონობა, სწორედ ამიტომ აფრიკის ნავთობის მწარმოებელი ქვეყნები: ალჟირი, ნიგერია, ანგოლა, სუდანი, გაბონი ჩინეთის პარტნიორთა ჩამონათვალშია. საინტერესოა, რომ ამ კონტინენტზე კონტროლის დაწესება არა მხოლოდ ჩინეთის მიზანია, არამედ ამერიკისა და დასავლეთის ქვეყნებისაც. ამ მოსაზრებას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მხოლოდ სუდანში ჩინეთმა 20 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა, რაც ხელს უწყობდა მთელ ქვეყანაში ნავთობის წარმოებაზე კონტროლის მოპოვებას, თუმცა სუდანი ორად გაიყო. მკვლევრების ნაწილი ფიქრობს, რომ სუდანში არეულობა სწორედ დასავლეთის მიერაა გამოწვეული, რათა ხელი შეეშალათ ჩინეთის ამ რეგიონში გაბატონებისთვის. ასეთივე სიტუაცია გვხვდება ლიბიაშიც, სადაც კადაფის რეჟიმის საპირისპიროდ დაწყებულმა კამპანიებმა ოფიციალურ პეკინს საკმაოდ შეუცვალა გეგმები. ასეთივე ურთიერთობა აქვს ჩინეთს სამხრეთ ამერიკის ქვეყნებთანაც, რომლებიც კარგი პლაცდარშია ჩრდილო ამერიკასთან მიმართებით. ჩინეთის ინტერესი ლათინური ქვეყნების მიმართ 2000 წლიდან გაიზარდა, რაც განპირობებული იყო ეკონომიკური რესურსების მზარდი მოთხოვნილებით.

2020 წელს ჩინეთის საგარეო მინისტრმა ვინ იმ ყოველწლიურ ბრიფინგზე განაცხადა, რომ: „გლობალიზაციას მეტად ინკლუზიური და ყველასთვის სასარგებლო განვითარება სჭირდება. გლობალიზაცია წარმოადგენს გარდაუვალ ტრენდს, რომელიც მსოფლიოს განვითარებასა და ადამიანთა პროგრესის ძლიერ ტალღას უზრუნველყოფს. გლობალური ეკონომიკა უამრავი წყაროსგან წარმოშობილი ოკეანეა და შეუძლებელია, წყაროების ერთმანეთისგან იზოლირება. გლობალიზაციაზე უარის თქმას და პროტექციონიზმის აღზევებას მომავალი არ აქვს“. ამ განცხადებაში, ვფიქრობ, ნათლად არის გამოხატული ჩინეთის მზაობა იყოს გლობალური აქტორი მსოფლიოში.

## ქალის როლი მუსლიმურ სამყაროში

მოგეხსენებათ, მუსლიმთა რელიგიურ, პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ყოფაცხოვრებას ისლამური შარიათი (კანონი) განსაზღვრავს. ის თავის მხრივ მოიცავს ყურანსა და ჰადისებს, რაც მთელი რიგი შეზღუდვებითა და აკრძალვებით ფორმულირდება. საინტერესოა, როგორ ცხოვრობენ ქალები იმ ქვეყნებში, სადაც მათი უფლებები უკიდურესად შეზღუდულია?

არის მთელი რიგი აკრძალვები, რომლებიც აკნინებს და უთანასწორობის სახეს ტოვებს ამ სახელმწიფოებში. გოგოს დაბადება ოჯახში დღემდე დიდ სირცხვილად და ტრაგედიად მიიჩნევა. ქალს არ აქვს უფლება დამოუკიდებლად გადაადგილდეს ქუჩაში მაჰრამის (იგივე მეურვის) გარეშე და მით უმეტეს, იმგზავროს საზოგადოებრივი ტრანსპორტით. სქესობრივი სეგრეგაციის პრინციპით ცხოვრობენ ადგილობრივები. გენდერულად არის დანაწევრებული არა მარტო სახლები, არამედ საჯარო სივრცეები. 4 ქალის სიტყვა ერთი მამაკაცის სიტყვას უდრის. შეუძლიათ ქალი დასაჯონ იმ დანაშაულისთვის, რომელიც მას არ ჩაუდენია. სომალელი 13 წლის გოგონა აიშა ორმოცდაათამდე მამაკაცმა ქვებით ჩაქოლა, რადგან მას ბრალი ედებოდა მრუშობაში. სინამდვილეში კი მრუშობად ჩაუთვალეს, ის, რომ გოგონა სამმა მამაკაცმა გააუპატიურა. მანდილოსნები ვალდებულნი არიან „უცხო თვალისაგან დასაცავად“ დაიფარონ სახე და სხეული. ჰიჯაბი, იგივე საბურველი ან ჩადრი უძველესი დროიდან მუსლიმური სამყაროს სილამაზის ინდუსტრიაში ქალის მორთულობის, სიწმინდისა და უმანკოების სიმბოლოს წარადგენს. ქალები ვალდებულნი არიან დიდი შავი კაბა (ფარანჯა) ატარონ და ისე იყვნენ დაფარულნი, რომ არაფერი უჩანდეთ. ეს სამოსი, ერთის მხრივ, მათ ტრადიციას, კულტურასა და ეთიკურ ნორმებს წარმოაჩენს, თუმცა მეორეს მხრივ, ქალის კარჩაკეტილობას გამოხატავს. როცა ადამიანები ყურადღებას ამახვილებენ მუსლიმი ქალის ჩაცმულობაზე, ფიქრობენ, რომ ისლამი და ყურანი ჩაგრავს და აკნინებს მათ როლს ამ სახელმწიფოებში. სინამდვილეში კი, არა რელიგია, არამედ მთავრობა და სახელმწიფოები

ზღუდავენ მდებრობითი სქესის წარმომადგენლებს. ქალი არ არის აღქმული, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრი. მაშინ, როცა შავი ფარანჯა მუსლიმურ სახელმწიფოებში აუცილებელ, დადგენილ სამოსს წარმოადგენს და მისი უარყოფა დაპატიმრებით ისჯება, ყურანში ქალის ჩაცმულობის სტილზე არაფერია დაწერილი. მასში აღნიშნულია, რომ მკერდის ნაწილები და თმები უნდა ჰქონდეთ დაფარული. ჰიჯაბი ქალის სიწმინდისა და უმანკოების სიმბოლოს წარმოადგენს და მიჩნეულია, როგორც „სწორი ჩაცმა“. მაგრამ, განა რა იცის სხვა ადამიანმა და მით უმეტეს, სახელმწიფომ, რა არის ქალისთვის „სწორი ჩაცმა“? დღესდღეობით ბევრ მუსლიმურ სახელმწიფოში მთავრობა არ აძლევს ქალს არჩევანის თავისუფლებას და დემოკრატიის წინააღმდეგ წასვლად მიიჩნევს ჰიჯაბზე უარის თქმას. მაშინ, როცა ქალები დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებას ირანში, ხდებიან ძალადობისა და ჩაგვრის მსხვერპლნი. მარიამ შარიფი არის 31 წლის ირანელი ქალთა უფლებათა აქტივისტი, რომელიც სასტიკად სცემა და სიტყვიერად შეურაცხყო სრულიად უცნობმა მამაკაცმა, რადგან ჰიჯაბს არ ატარებდა და თმას ხშირად იღებავდა. ქუჩაში მამაკაცი საზარლად გაჰყვიროდა „დამორჩილე წესებს, არარაობა ხარ!“, მარიამი კი არ თმობდა თავის პოზიციას და მომარჯვებული ტელეფონით ვიდეოს იღებდა, რათა ხალხს სცოდნოდა, როგორ ექცევიან ქალებს თავისუფალი არჩევანის გამო ირანში. სამართალდამცავებმა, ამ ვიდეოს ნახვის შემდეგ, მისი დევნა დაიწყეს წესების დარღვევის მოტივით და დაპატიმრების მიზნით გოგონას სახლში შეიჭრნენ. საბედნიეროდ, მარიამს უკვე დატოვებული ჰქონდა ქვეყანა და დღეს საქართველოში ლტოლვილის სტატუსით ცხოვრობს. ორი წლის წინ სოციალურ ქსელში გავრცელებული ვიდეო ორ მილიონზე მეტმა ადამიანმა ნახა. ის ერთ-ერთმა ცნობილმა აქტივისტმა და ქალთა უფლებების დამცველმა მასიპ ალინეჯადმა ატვირთა. მან ჯერ კიდევ 2014 წელს დაიწყო კამპანია „ჩემი საიდუმლო თავისუფლება“, სადაც ყოველდღიურად იტვირთებოდა უპიჯაბო, გაშლილი თმებით გოგონების ფოტოები. თან დართული ჰქონდა წარწერა ჰეშთეგით: „ქარი ჩემს თმებში“, თუმცა თეირანელ ქალთა უფლებების დამცველებს ასეთი განცხადებების შემდეგ, აღარ დაედგომებათ თავის ქვეყანაში და მასიპიც ამერიკაში გადაცხოვრდა. ქალებს არ



აქვთ ძალაუფლება ტოტალიტარულ გადაწყვეტილებებს აღუდგნენ. აქტივიზმი ყოველთვის დაპატიმრებებით სრულდება, ზოგ აქტივისტს კი ისე უკვალოდ აქრობენ, მის შესახებ არავინ არაფერი იცის. ირანელმა კაცებმა 2010 წელს წამოიწყეს კამპანია სოციალურ ქსელში, სადაც განათავსეს თავსაფრით გადაღებული პირადი სურათები წარწერით: „ჰიჯაბი არის ჩემი ციხესიმაგრე და არა ციხე“, მაგრამ ცხადია, ყველა ადამიანს ისე უნდა ეცვას, როგორც თავად მიიჩნევს საჭიროდ. როცა არ აქვს ადამიანს არჩევანის თავისუფლება, ის თავისდაუნებურად ციხეში ექცევა. ერთ-ერთმა აფროამერიკელმა აქტივისტმა, ოდრი ლორდემ აღნიშნა: „მე ვწერ იმ ქალებისთვის, რომლებიც არ ლაპარაკობენ, რომლებსაც არ აქვთ ხმა, რადგან ძალიან ეშინიათ. ჩვენ გვასწავლეს, რომ შიშს პატივი საკუთარ თავზე მეტად უნდა ვცეთ. ჩვენ გვასწავლეს, რომ სიჩუმე გადაგვარჩენს, მაგრამ ეს ასე არაა“.

ზემოთ ხსენებული ფაქტების მიუხედავად, არ ნიშნავს, რომ ყველა მუსლიმურ ქვეყანაში ერთი და იგივე სიტუაციაა და ქალს არ აქვს არჩევანის თავისუფლება. შეუძლებელია, არ აღვნიშნო კატარის შეიხა მოზა, რომელმაც დაარღვია ისლამური ეტიკეტით გათვალისწინებული სტერეოტიპები, მოიხსნა ჰიჯაბი და აქტიურად ჩაერთო პოლიტიკურ პროცესებში. რომ არა კატარის შეიხი, რომელმაც ხელი შეუწყო შეიხა მოზას გადაწყვეტილებას და მხარდაჭერა გამოუცხადა მეუღლის სურვილს, ქალი ვერ გაუმკლავდებოდა საზოგადოების კრიტიკასა და ბრალდებებს ტრადიციის შეურაცხყოფის მოტივით. მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ წარმოშობით სომალელ, მუსლიმ მოდელ ჰალიმა ეიდენზე, რომელიც გახდა პირველი მუსლიმი მოდელი, ვინც ჰიჯაბითა და ბურკინით იპოზიორა ერთ-ერთი ცნობილი სპორტული ჟურნალისათვის. მას მიაჩნია, რომ რელიგია, კულტურა და ტრადიცია არ უნდა განსაზღვრავდეს ქალის საქმიანობას: „ახალგაზრდა ქალები, რომლებსაც ჰიჯაბი აცვიათ, უნდა ხედავდნენ ქალებს, რომლებიც აქტიურობენ ნებისმიერ სფეროში“. მუსლიმი ქალის მოდის ინდუსტრიაში გამოჩენა ჰიჯაბითა და ბურკინით, ერთგვარი მოწოდებაა, რომ ადამიანი არ არის შეზღუდული თავისუფალ არჩევანში.